ლეგა ბუ



უკაცრიელი ქოხის

მოთხრობები

ლეგა ბუ

უკაცრიელი ქოხის მოთხრობები

თბილისი 2014 წელი

ლეგა ბუ. უკაცრიელი ქოხის მოთხრობები

94 გვ. თბილისი, 2014 წელი

თარგმნა მარინე ამბარდნიშვილმა

ცნობილი ინდიელი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და ბუნების ქომაგის ლეგა ბუს სახელი და გვარია არჩიბალდ სტეფანი ბილეინი. ინდიელებმა დაარქვეს ვეშა–კუონეზინი ანუ ღამით მონადირე.

ლეგაბუ დაიბადა 1888 წლის 18 სექტემბერს კანადაში. მისი დაბადების ადგილი უცნობია და ოჯახის საიდუმლოდ დარჩა. მამა შოტლანდიელი ჰყავდა, დედა კი ოჯიბუეის ტომის ინდიელი. მის ადრეულ ბავშვობაში მის მამას, როგორც კოლონიზატორთა ჯარის მზვერავს, დაავალეს ინდიელთა დასჯა, რაზედაც უარი განაცხადა და ოჯახმაც ინგლისს შეაფარა თავი. ლეგა ბუ ადრე დაობლდა. მას ზრდიდა გაუთხოვარი მამიდა, რომელმაც შეასწავლა ისტორია, გეოგრაფია და ინგლისური ენა. ცამეტი წლის ასაკში ლეგა ბუ იუნგად მოეწყო გემზე და ასე დაბრუნდა კანადაში. აქ ის შეიფარა ონტარიოს შტატში მოხეტიალე ოჯიბუეის ტომმა. ლეგა ბუმ შეითვისა მათი ადათ–წესები და მთელი თავისი სიცოცხლე მათი მადლიერი იყო.

კანადის ბრიტანულმა მთავრობამ ლეგა ბუ I იმპერიალისტურ ომში გაიწვია. ის სნაიპერი იყო. ომში ორჯერ დაიჭრა და 1917 წელს კანადაში დაბრუნდა.

ლეგა ბუ ნადირობდა ბეწვიან ცხოველებზე, ტურისტულ ჯგუფებთან მუშაობდა გამყოლად. ომიდან დაბრუნებულს ბუნება, ტყეები გაჩანაგებული დახვდა. კოლონიზატორები ჩეხდნენ და წვავდნენ ტყეებს, რათა რკინიგზა გაეყვანათ და ქალაქები გაეშენებინათ. ლეგა ბუ ორ წელზე მეტხანს დაეხეტებოდა, ეძებდა ხელუხლებელ ტყეს ანუ დაუფრთხობელი ნადირ–ფრინველის ქვეყანას. ამ ხეტიალისას მან ცოლად შეირთო ნაცნობი ქალიშვილი გერტრუდა ბერნარდი, რომელიც იროკეზების ტომის ბელადის შთამომავალი იყო. მას ინდიელთა ენაზე ანახარეო ერქვა ანუ პონი.

გვიან შემოდგომით, როცა ყინვები იწყებოდა, ცოლ–ქმარმა მიაგნო თვალწარმტაც არყების ტბას. აქ, ტბის პირას, ფიჭვნარში რამდენიმე ვერხვიც ერია. აქვე თახვებიც ბინადრობდნენ.

ერთი შემხთვევის გამო ლეგა ბუს სულში გარდატეხა მოხდა. მის მიერ თახვებისთვის დაგებულ ხაფანგში დედა თახვი გაება, რომელსაც პატარა შვილები ძუძუს წოვდნენ. ამ სულისშემძვრელი სურათის ხილვის მერე ლეგა ბუმ აღთქმა დადო, რომ თახვებზე აღარ ინადირებდა და დაობლებული პატარა თახვები თავის ქოხში წამოიყვანა და გაზარდა. ესენი იყვნენ მისი პირველი მოშინაურებული თახვები: მაკ–ჯინისი და მაკ–ჯინტი. მაგრამ რითიმე ხომ უნდა ეარსება? ის ნადირობდა წავებზე, ონდატრებზე, ცხენ–ირემზე და სხვა.

ცოლის რჩევით ლეგა ბუმ ნარკვევი დაწერა ბუნების შესახებ და ლონდონში ერთ ცნობილ ჟურნალს გაუგზავნა. მისი ნარკვევი მოიწონეს და თანამშრომლობა შესთავაზეს. ამის მერე სისტემატურად უგზავნიდა ნარკვევებს სხვადასხვა ჟურნალებს, ბუნების შესახებ ლექციებს კითხულობდა მრავალრიცხოვანი მსმენელის წინაშე.

კანადის ეროვნული პარკების სამმართველომ ლეგა ბუს ტყისმცველის თანამდებობა შესთავაზა სასკაჩევანის შტატში მდებარე პრინც ალბერტის ეროვნულ პარკში. აქ, აჟაუანის ტბის პირას ლეგა ბუმ ზუსტად ისეთივე ქოხი ააგო, როგორიც თვალწარმტაცი არყების ტბის პირას ედგა. აქ დაწერა მან თავისი წიგნები: ინდიელთა საზღვარი, ტყიურები, საჯო და მისი თახვები და უკაცრიელი ქოხის მოთხრობები.

1936 წელს მასზე და მის თახვებზე გადაიღეს დოკუმენტური ფილმი “თახვების ერი”.

1938 წელს ლეგა ბუ მიწვეული იყო თავისი წიგნების პრეზენტაციაზე ლონდონში. იგი მიიღეს ბრიტანეთის სამეფო კარზე.

ლეგა ბუ მალე პნევმონიით დაავადდა და კანადაში დაბრუნებული თავის ქოხში გარდაიცვალა 1938 წლის 13 აპრილს. დაკრძალულია იქვე, ქოხთან ახლოს.

1999 წელს რეჟისორმა ატენბორომ გადაიღო მხატვრული ფილმი “ლეგა ბუ”.

თარგმანს ვუძღვნი ჩემს ძვირფას წერაქველ მოსწავლეებს, რომლებთანაც ჩემი ცხოვრების ათი რომანტიკული წელი მაკავშირებს.

უკაცრიელი ქოხის მოთხრობები

ეძღვნება ინდიელთა უკანასკნელ საზღვარს და მათ, ვინც ამ მოთხრობებს თანაგრძნობითა და გაგებით წაიკითხავს, განსაკუთრებით მათ, ვისაც გული გაშლილი სივრცეებისკენ მიუწევს და მათაც, ვინც ბედისწერით მოკლებულია ველურ ბუნებაში ცხოვრების ბედნიერებას და მხოლოდ წიგნიდან შეიტყობს მის საოცრებათა შესახებ.

მოგონებებში ჩაძირული ადამიანი ჩანავლებულ ცეცხლთან ზის. მის თვალწინ მოკიაფე ნაპერწკლებივით წარსულის სურათები ცოცხლდება. მილიდან კვამლის ბოლქვები ისე მოძრაობს, როგორც სცენაზე არტისტები. აი, ადამიანი თხრობას იწყებს. ჯერ ნელა, ნაღვლიანად, ხშირად ჩერდება, თითქოს მეხსიერების სუსტ ექოს აყურადებს. უცებ ახსენდება ჩუმი, ნაღვლიანი, სევდიანი ხმა, რომელიც თანდათან ძლიერდება, სანამ თავს დამტყდარი ასწლოვანი უსამართლობის გამო არ აქვითინდება. მერე ხმა ნელ–ნელა ჩაცხრება და დროდადრო შორეული ექოსავით ისმის, სანამ მდუმარება არ გამეფდება. ბოლოს და ბოლოს ადამიანი კვლავ აგრძელებს თავის “უკაცრიელი ქოხის მოთხრობებს”. ცეცხლი გაფიცხდება, მერე მინავლდება. წარსულის არჩდილები აქეთ–იქით დაფარფატებენ, ადამიანი კი თხრობას აგრძელებს.

უკაცრიელი ქოხი

ჩრდილოეთით, ნისლიანი შორეთისკენ გადაჭიმულ სერებს შორის, ღრმა ღარტაფში მდებარეობს მომცრო უსახელო ტბა.

თვალწარმტაცს ვერც კი ვუწოდებთ ამ ვიწრო და წყალმარჩხ ტბორს, სადაც ჭაობს ლელი მოსდებია და სადაც სალი კლდეების ოდესღაც წყლით დაფარული მწვერვალები დღეს მიტოვებული სასაფლაოს ჩაშავებული ძეგლებივით გამოიყურება.

ამ პატარა ტბის ნაპირიდან ოდნავ შესამჩნევი ბილიკი მიიკლაკნება, რაზეც ადამიანს დიდი ხანია ფეხი არ დაუდგამს. წაქცეული ხეებით ჩახერგილი ბილიკი დიდ ტბასთან მიგიყვანთ, რომელიც მდინარეს უერთდება. ამ მდინარეში კი დიდი წყალგამყოფი ქედიდან უამრავი ღელე და ნაკადული ჩაედინება.

ტბები და მდინარეები შორს, ჩრდილოეთისკენ უწყვეტი ძეწკვივით გადაჭიმულა და ბოლოს მქუხარედ ჩაედინებიან ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში.

ამ უღიმღამო, სანახევროდ დამშრალი ტბორის ნაპირზე, რომელიც ოდესღაც ნამდვილი ტბა იყო, მიტოვებული ჯებირი მოჩანს, როგორც მისი აღმშენებლების შრომისმოყვარეობისა და მოთმინების ძეგლი. ჯებირი ტბორის წყლის დონეზე ხუთი ფუტით[1] მაღალია. ჯებირის სანახევროდ დაგმანული ხვრელიდან პატარა ნაკადული მოჩუხჩუხებს და გეჩვენებათ, რომ ნაკადული ბუტბუტებს, როგორც ადამიანი სიზმარში, თუმცა სიტყვებს ვერ არჩევთ.

ირგვლივ ძველი ნაგებობები მოჩანს, მტკიცედ და გონივრულად ნაშენი, მაგრამ არც ერთი ადამიანის ნახელავი არაა.

ტყიდან ტბისკენ და ნაპირის გასწვრივ თახვების ოჯახის დიდი ხნის წინათ კარგად დაგეგმილი მიტოვებული ბილიკებია შემორჩენილი (მიუხედავად დროის მსახვრალი ხელისა), რაც მათ დიდ შრომისმოყვარეობასა და ოსტატობაზე მიუთითებს.

ტყეში, იმ ადგილას, სადაც ბილიკები იწყება, უამრავი ძირკვია. მათ ჯერ კიდევ ეტყობათ ოთხფეხი ხის მჭრელების ნაკბილარები. იქვე, შორიახლოს თახვების მიტოვებული ფაცხაა. მისი პატრონები ამ ქვეყნად აღარ არიან. ფაცხა დამშრალი ტბორის დონეზე მაღლაა და მისი იდუმალი შესასვლელი მტაცებელი ნადირისთვის მისაწვდომია.

[1] ფუტი – ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 30,48 სმ–ს.

ოდესღაც გულდასმით გალესილი ფაცხის კედლები აბალახებულა და ტირიფის ყლორტებს დაუფარავს. მიუხედავად ამისა მტკიცედ ნაგები ფაცხა კვლავაც დიდხანს იდგება, როგორც მისი მშენებლების საოცარი შრომისმოყვარეობის უტყვი და სევდიანი მოწმე. თახვების ფაცხის პირდაპირ ფიჭვნარია. ამ მხარეში იშვიათია ასეთი ტანმაღალი ფიჭვები, ნამდვილი გოლიათები, ამიტომაც ჩანან ამაყნი და და შეუდარებლად თვალწარმტაცნი. ფიჭვნარში აქა–იქ არყის ხეები თეთრად ქათქათებენ. ტანწვრილი არყის ხეების მზისკენ აწვდილი ღია მწვანე კენწეროები ძლივს წვდება გოლიათი ფიჭვების ქვედა ტოტებს. ტყის ამ კორომის ჩრდილში დგას მორებისგან აგებული პატარა ქოხი, როგორც ადამიანის აქ ყოფნის ერთადერთი ნიშანი.

ქოხი უკაცრიელი და სევდიანია. ხავსი, რითაც მორებს შორის ნაპრალები იყო დაგმანული, დიდი ხანია უკვე დაიგლიჯა და ჩამოცვივდა. კარი ყურთამდე გაღებულა, ჩამტვრეული სარკმელი კი უმწეოდ გასცქერის შორეთს. ეს ქოხი თავისი არსებობის ბედნიერ დღეებშიც კი მოკრძალებული საცხოვრებელი იყო, თუმცა მის აგებაზე და სიმყუდროვის შექმნაში ბევრი შრომა–გარჯა იყო გაწეული. აქა–იქ ემჩნევა მარტივი, მაგრამ გემოვნებიანი ჩუქურთმის კვალი.

აქ ადრე სიხარული და მხიარულება სუფევდა. შეიხედეთ და დაინახავთ კუთხეში მდგარ გამხმარ საახალწლო ნაძვის ხეს, რასაც ტოტებზე სათამაშოების ჩამოსაკიდი თასმები შერჩენია. მიტოვებული ქოხი ნელ–ნელა დანგრევისთვისაა განწირული. ოდესღაც აქ, დაუვიწყარ დღეებში იმედითა და ძიებით აღსავსე სიცოცხლე ჩქეფდა. ამ ქოხში მხოლოდ ადამიანები არ ცხოვრობდნენ. აი იქ, დანგრეულ საწოლთან გამხმარი თიხის ნაგებობა ჩანს. იოლი მისახვედრია, რომ აქ თახვებს უღვაწიათ. თახვებმა ტბორთან ფაცხაც აიშენეს.

ეს მოკრძალებული საცხოვრებელი ოდესღაც სახელგანთქმული ადგილი იყო. ტყის ბევრი ბინადარი ქოხის პატრონს დაუმეგობრდა. ზოგმა ქოხის ზღურბლს გადააბიჯა და თავი ისე იგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. სხვები ქოხთან გროვდებოდნენ, თითქოს გრძნობდნენ, რომ არავინ ავნებდა. ზოგნი ჯგუფებად მოდიოდნენ, ზოგნი წყვილ–წყვილად, ზოგიც მარტო. აქ დიდ ცხოველებსაც ნახავდით და პატარებსაც. თითოეული მათგანი სასურველი სტუმარი იყო და მიწის ამ ნაგლეჯის ისტორიაში თავისი სიტყვა თქვა. როლი შეასრულა და წვლილი შეიტანა.

ტყე ყველას კარგად სცნობდა, მაგრამ ასწლოვანი ფიჭვები[2] თითქოს გულგრილად დასცქეროდნენ მიწას და ამაყ კენწეროებს არხევდნენ. ვინ იცის, იქნებ სულაც ვერ ამჩნევდნენ პატარა არსებებს, რომლებიც აქ, მათ ძირას ხანმოკლე დროით დასახლდნენ.

უკვე დიდი ხანია, რაც ქოხი გაუკაცრიელდა და მდუმარებამ დაისადგურა.

ნუ გაგიკვირდებათ, რომ ქოხი თავისებური იდუმალებით ცხოვრობს. აქ თითქოს აჩრდილნი დასახლებულან, დროდადრო შორეული წარსულის ექოს ნაზი აკორდი ისმის, მიუხედავად იმისა, რომ ქოხი უკაცრიელია. ექო მაინც ისმის და ჰაერში ირხევა.

სიო არხევს ტანმაღალ არყის ხეებს და ფოთლებს აშრიალებს. არყის ხეები ტანწვრილი, მორცხვი, მოკრძალებული ქალიშვილებივით გაფანტულან მედიდურ, პირქუშ ფიჭვნარში, კენწეროებს არხევენ, ფოთლებს აშრიალებენ, თითქოს ერთმანეთს ეჩურჩულებიან. ტოტები ზემოთ აუწვდენიათ, რათა უმზეოდ დაბურულ უღრანში არ დაიღუპონ და გეჩვენება, რომ თითქოს ირგვლივ ფიჭვებს უკაცრიელი ქოხის ნაამბობს ეჩურჩულებიან.

ამ მოთხრობებში აღწერილი ამბები ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ ადგილებლში მოხდა. მე მათ სუსხიან ზამთარში ჩემს ახალგაზრდა ცოლს, ანახარეოს ვუყვებოდი, როცა კერას ვუსხედით და გაღვივებული ნაკვერჩხლების ცქერით ვტკბებოდით. თვალწინ გვედგა წარსულის ამბები და პიროვნებები, თითქოს პატარა არსებები ცეცხლის ალით განათებულ აუდიტორიაში დაეხეტებოდნენ და გვახსენებდნენ გარდასულ დღეებსა და სულ ახლოს წარსულს. ყველა ამ ნაამბობს არყის ხეები ისმენდნენ და რა თქმა უნდა დაამახსოვრდათ.

აქ ბევრი რამ მოხდა. ადამიანებმა, ნადირ–ფრინველმა, ვინც აქ ბინადრობდა ანდა სტუმრობდა ანდა შემოიარა, აქაურობას თავისი კვალი დაამჩნია. არაფერი დავიწყებულა და არაფერი დაკარგულა. ყველამ და ყველაფერმა წარუშლელი კვალი დატოვა ხნიერი სერების ხსოვნაში, მოთხრობებად შემორჩა და ლეგენდებად და მოგონებებად გადაიქცა. ამ მოგონებებს არავინ დაივიწყებს, სანამ მოშრიალე არყის ხეები ერთმანეთს ეჩურჩულებიან და კლდოვანი მთები, როგორც მკაცრი, პირქუში დარაჯნი დგანან და ყველას იცავენ.

ეს დაუვიწყარი მოთხრობები და ლეგენდები ხეთა კენწეროების მოლამუნე ქარში წარმოიშვა, ლაქაშით დაფარულ ჭაობიან ტუნდრაში ცოცხლობენ და ტბათა სარკეზე

[2] კანადური ფიჭვი ცოცხლობს 700 წელს.

ირეკლებიან და მეორდებიან ნაკადულის გაურკვეველ ბუტბუტში და ველური ბუნების ხმიანობაში.

ამ მოთხრობათა გმირები – ადამიანები და ნადირ–ფრინველი არასდროს გაქრებიან, მაშინაც კი, როცა მათი ამბავი ლეგენდად იქცევა მოგონებებით მდიდარ ველზე. ისინი არასდროს მიატოვებენ წყნარად მოლივლივე ტბას, დანგრეულ ჯებირს, თახვების ფაცხას და უკაცრიელ ქოხს, სადაც ამდენი სიხარული, სევდა და ოცნება აკავშირებთ.

იქნებ ის, ვინც აქ შემთხვევით აღმოჩნდება, გარიჟრაჟის მოლოდინში, უცებ ბინდბუნდში ტბაზე შეამჩნევს, რომ თითქოს რაღაც მუქი მოცურავს თახვების მიტოვებული ფაცხისკენ და წყალზე კვალს ტოვებს. იქნებ ადამიანის ყურს მიწვდეს გრძელი, შესაბრალისი ყვირილის ექო. იქნებ მოეჩვენოს, რომ ნისლიან შორეთში უხმოდ ლანდივით მოცურავს ბერესტის[3] ნავი.

და თუ ის ჩუმად, გარინდებული იჯდება, შეიძლებამხარზე მსუბუქი შეხებაც კი იგრძნოს, თითქოს ვიღაც უჩინარი ებაასება. ნაკადულის უწყვეტი რაკრაკი ხან ძლიერდება, ხან მისუსტდება, ხანაც შორდება, უცებ დადუმდება და შორეთიდან მის ყურს მისწვდება მისთვის გაუგებარ ენაზე მოსაუბრეთა ხმები ან იქნებ ზურგს უკან ოდნავ შესამჩნევი მოძრაობა იგრძნოს, შემობრუნდეს და მობაასე ლანდები შენიშნოს. მოფარფატე ლანდებს მოგზაურის არ შეეშინდებათ, ლერწმისა და არყის ხის ფოთლების ნაზ შრიალში მიეახლებიან მას, ვინც მათი დაბინდული ცნობიერება გააღვიძა.

ვიცი, ეს სინამდვილეა. იქ ხშირად ვყოფილვარ და ყური დამიგდია გარიჟრაჟის მდუმარებისთვის. მესმოდა ნაზი, შორეთიდან მოღწეული ექო, ისმოდა ნაზი შრიალისა და პაწაწინა ფეხების ბაკუნის ხმა. ვგრძნობდი როგორ მელამუნებოდა სახეზე ნაზი სიო, თითქოს უამრავი უჩინარი სტუმარი მოსულიყოს ჩემი მოთხრობების მოსასმენად, რომლებსაც არყის ხეები შეუსვენებლად უჩურჩულებდნენ დიდებულ და სიტყვაძუნწ ფიჭვებს.

იქნებ მითხრათ, რომ ეს ლანდების საზოგადოება, დარდითა და მშობლიური ადგილების მონატრებით გამოწვეული ჩემი წარმოსახვის ნაყოფია და რომ მე ღამის უკუნში ყურს ამაოდ ვუგდებ ოდესღაც დადუმებულ ხმებს.

[3] ბერესტა – არყის ხის ქერქი, რისგანაც ინდიელები კანოეს აკეთებდნენ.

თუ ასე ფიქრობთ, მკაცრად ნუ განმიკითხავთ, რადგან ეს გარდასულ დღეთა დაუვიწყარი მოგონებებია, იმ ადამიანთა და ოთხფეხა მეგობრების, რომელთაც ველარასდროს ვიხილავ.

ყველაფერს ვერ მოგიყვებით. ყველაზე ძვირფასი მოგონებები ჩემს გულში, სხვისგან დაფარულად დარჩება. ვშიშობ, რომ თუ ჩემს საიდუმლოს გავამხელ, წარსულის წარმოდგენის უნარს დავკარგავ.

თუმცა მინდა ბევრი რამ გაგიზიაროთ. ასე, ჩემო უჩინარო მკითხველებო, ძვირფასო მეგობრებო, თუ დრო არ დაგენანებათ, ჩემს გვერდის ჩამოჯექით და მოგიყვებით "უკაცრიელი ქოხის მოთხრობებს".



კი–უეი–კენოს ვაჟები

ჩვენს დროში, როცა რადიომ და სრაფმავალმა ორთქმავლებმა იმდენად მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთს ინგლისის დომინიონი კანადა და ძველი ინგლისი, რომ აკეანის გაღმიდან შეიძლება მოისმინო და ლივერპულიდან გალიფაქსამდე კი მგზავრობა ოდნავ ძნელია ზღვის სანაპიროზე სეირნობასთან შედარებით და ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ წინწასულ და აყვავებულ კანადაში გადაჭიმულია პირველყოფილი ველური მხარე. ეს ასეა.

ცივილიზაციისაგან ხელუხლებელი ეს მხარე კანადის უმეტესი ნაწილია და დიდი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს. ეს წყალგამყოფი ქედი კანადას გადაჰკვეთს და მდინარეებს ჰყოფს. ერთნი სამხრეთისაკენ მიედინებიან, მეორენი კი ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში ჩაედინებიან. ბევრმა არ იცის, რომ წყალგამყოფის სამხრეთ ფერდობს ცივილიზაცია ნაწილობრივ შეეხო და აქ მცხოვრებნი ჩრდილოეთის ველურ ტერიტორიას თავიანთ ენაზე კიუეიდინს უწოდებენ, რაც "ჩრდილო–დასავლეთის ქარების ქვეყანას" ნიშნავს. სახელწოდება მიანიშნებს ამ ტერიტორიების უკიდეგანობასა და მკაცრ იდუმალებას.

ველური ჩრდილოეთის ბინადართათვის წყალგამყოფის სამხრეთის მჭიდროდ დასახლებული ფერდობი განსაკუთრებული სამყაროა. მასზე კი, ვისაც ერთხელ მაინც უმგზავრია მატარებლით, ამბობენ, რომ ისინი კანადაში გაემგზავრნენ, თითქოს საზღვარგარეთ იმოგზაურეს.

ჩრდილოეთის ქარების მხარის უკიდეგანო ტყეებში მომთაბარეები თავიანთი წინაპრების ადათ–წესებს მისდევენ. ისინი აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ და კვლავ ინდიელთა ძველებურ იარაღსა და სანადირო საშუალებებს იყენებენ, ზოგიერთ საქონელს კი ფერმკრთალკანიანებთან ცვლიან.

ტბათა სილიან ნაპირებზე აქა–იქ მოჩანს კონუსურ ვიგვამთა[4] გაბოლილი წვერები. მათ სუსხისაგან ბოცვერის ბეწვის საბნები იცავთ, ირმისა და ცხენ–ირმის ტყავისგან შეკერილი მსუბუქი და მოხერხებული მოკასინები კი ტყის უღრანში ხეტიალისას შეუცვლელია. ამ მხარეში ხშირად ნახავთ ძველებურ შუბს, შვილდ–ისარს, ხის ხაფანგებს და ძველებურ

[4] ვიგვამი – ინდიელთა კონუსის ფორმის ღრმის ტყავისგან გაკეთებული კარავი.

ზუმბიან თოფს, რომელიც ლულიდან იტენება. შორს, მიყრუებულ, მივარდნილ ადგილებში კი, სადაც იოლი არაა იშოვოთ ახალი სამოსი, ინდიელები თვითონ იკერავენ ირმისა და ცხენ–ირმის ტყავისაგან. ეს ხალხი ცივილიზებულ ხალხთა რიცხვს არ მიეკუთვნება, მაგრამ ველურსაც ვერ ვუწოდებთ, რადგან მათი ველურებად მიჩნევა უსამართლობა იქნებოდა. ამ საოცრად ალალ–მართალი, უბრალო და კეთილი ადამიანებისთვის სტუმართმოყვარეობა წმინდათაწმინდა მოვალეობაა. ისინი ნებისმიერ ინდიელს მიიღებენ, მაგრამ გადამთიელებისაგან თავი შორს უჭირავთ და ერიდებიან. ვაჟკაცი და მედგარი ინდიელი მტკიცედ მიიწევს დასახული გზით, წინააღმდეგობასა და ხიფათს არ შეუშინდება და თუნდაც სიცოცხლის ფასად მიაღწევს დასახულ მიზანს.

მინდა ოჯიბუეის ტომის ორ ბიჭზე მოგიყვეთ. მათთან ერთად ვნადირობდი ერთ ადგილას, რომელსაც ინდიელები მანიტუ–პი–პაჟიას ეძახიან ანუ “ადგილი, სადაც ეშმაკი ხარხარებს”. ამ ბიჭების მამას კი–უეი–კენო ერქვა ანუ “ჩრდილოეთის ქარის კაცი”. სხვა მხნე და მამაცი ინდიელებისაგან კი–უეი–კენო ზღაპრული ძალითაც გამოირჩეოდა. მაღალი, ბრგე, ათლეტური აღნაგობის (მიუხედავად იმისა, რომ მისი თანატომელები ჯმუხები არიან), მას საჭაპანო ბილიკზე 600 ფუნტის[5] ტვირთი გადაჰქონდა, მთელს იმ მხარეში ცნობილი იყო, როგორც შესანიშნავი მონადირე და ტვირთის მზიდავი.

ფოთოლცვენის დრო იყო. ქარი ფიჭვნარზე დათარეშობდა. ინდიელებს თავიანთი სოფელი დაეტოვებინათ და საზამთრო–სანადირო ადგილებისკენ გზას დასდგომოდნენ. ისინი იქ მთელ ზამთარს ატარებდნენ, ზამთარი კი 6–7 თვე გრძელდებოდა. დიდ და პატარა ტბებზე ტვირთი საჭაპანო ბილიკებით 200 მილის[6] მანძილზე გადაჰქონდათ. ზოგი ოჯახი ამ გზას ორჯერ გადიოდა, რადგან ტვირთს ჰყოფდნენ და ნაწილ–ნაწილ გადაჰქონდათ ჩვეულებრივი 16 ფუთიანი[7] კანოებით. მაგრამ კი–უეი–კენო ამ მეთოდს არ სცნობდა. ის მთელ თავის ტვირთს დიდ პიროგაში[8] ალაგებდა, რათა ტვირთის წასაღებად უკან არ დაბრუნებულიყო,. ასეთ ნავს ორი მამაკაციც ძლივს ასწევდა, მაგრამ ღონიერ კი–უეი–კენოს საჭაპანო ბილიკზე მარტოს გადაჰქონდა. მას ბერესტის[9] პატარა კანოეც ჰქონდა, რითაც მის

[5] ფუნტი – ინგლისური წონის ერთეული, უდრის 453,6 გრამს.
[6] მილი – ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული, სახმელეთო მილი უდრის 1,609 კმ–ს. საზღვაო მილი უდრის 1,852 კმ–ს.
[7] ფუთი – ინგლისური წონის ერთეული, უდრის 16,3 კგ–ს.
[8] პიროგა – ინდიელთა გრძელი და ვიწრო ნავი.
[9] ბერესტის კანოე – არყის ხის ქერქისგან გაკეთებული ნავი.

ორ ვაჟს შედარებით მსუბუქი ტვირთი გადაჰქონდათ. ამ კანოეს შემოდგომობით ნადიროისასაც იყენებდნენ.

ყველაფერი თავისი რიგითა და წესით მიდიოდა, როგორც ჩვეულებრივად ასეთი მომთაბარეობისას ხდება ხოლმე. ზოგჯერ დღეში 5 მილს გაივლიდნენ, ზოგჯერ 20–საც, გააჩნია გზის სიძნელეებს. მალე იყო თუ გვიან ზამთრის სადგომს მიაღწიეს. დრო არ დაუკარგავთ და მაშინვე ბანაკი მოაწყვეს, ითევზავეს, თევზი დაამარილეს, ინადირეს, ხორცი დაიმარაგეს და უვალ ადგილებში ბილიკები გაკვალეს. მალე ტბორებთან, სადაც თახვები ბინადრობდნენ, ბალახი თრთვილმა დაფარა და მასზე მელიებისა და ფოცხვრების ნაკვალევი შეემჩნა. ჭაობებს ყინულის ქერქი გადაეკრა, ხაფანგები დაალაგეს და ნადირობაც გაჩაღდა.

ერთ დილას, როცა უკვე ყინვიანი ამინდები იდგა, კი–უეი–კენო ბერესტის პატარა კანოეთი სანადიროდ გზას გაუდგა. უკვე გითხარით, რომ კი–უეი–კენო შესანიშნავი მონადირე და მენიჩბე იყო, მაგრამ გეტყვით, რომ ზოგჯერ ბუნება ისეთ მახეს დაგიგებს და ისეთ ხიფათს შეგამთხვევს, რომ ყველაზე გამოცდილი მონადირეები და მრავლისმნახველი ადამიანებიც კი უძლურნი არიან. ასე რომ, კი–უეი–კენო პატარა კანოეთი მიცურავდა. იხვს თოფი ესროლა, ამ დროს მოყინულ კანოეში წონასწორობა დაკარგა, მსუბუქი ნავი გადაყირავდა, მონადირე მორევში ჩავარდა და ჩანჩქერმა სამოცი ფუტის სიმაღლიდან გადაისროლა.

მონადირის ვაჟებს ნაპირზე ბანაკი მოეწყოთ და რაც მოხდა, ყველაფერი დაინახეს. აცრემლებულები ჩანჩქერთან მიცვივდნენ და მამას ეძებდნენ... მაგრამ ამაოდ. კანოეს ერთ ნაფოტსაც ვერ მიაკვლიეს. მდინარის ამ მონაკვეთზე ჩანჩქერთა და ჩქერთა გრძელი მწკრივია. შვილები მიხვდნენ, რომ მამას ვეღარ იპოვიდნენ.

კი–უეი–კენოს ვაჟებმა, მაშინ უფროსი თხუთმეტი წლისა იყო, უმცროსი კი ცამეტისა, გადაწყვიტეს თავიანთ სოფელში დაბრუნებულიყვნენ და თანატომელებისათვის გაეგებინებინათ. ბიჭები ფიქრობდნენ, რომ ვინმე მამის ნეშტს აპოვნინებდა. მათ სოფლამდე ასოცი მილი იყო და ამ გზაზე ოცდათორმეტი საჭაპანო ბილიკი უნდა გაევლოთ. მათ მხოლოდ ის დიდი პიროგა ჰქონდათ, ორი მამაკაციც რომ ძლივს ასწევდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ზამთარი ძალას იკრებდა და ნებისმიერ დღეს ტბები შეიძლებოდა გაყინულიყო და ბიჭებიც გზას ვეღარ გააგრძელებდნენ.

ბიჭები ფრიად საჭირბოროტო, ხიფათიან გზას დაადგნენ, თითქმის უტვირთოდ, მხოლოდ ცული, ფქვილის ტომარა, ქონის ნაჭერი, ჩაი, ასანთი, ქვაბი და ტაფა წაიღეს. უნდოდათ ძვირფასი დრო დაეზოგათ.

რაც მერე მათ შეემთხვათ, დაუჯერებელია. ამ დროს გამუდმებით ქრის ძლიერი ქარი. დიდი და თითქმის დაუტვირთავი პიროგა დროდადრო რამდენიმე მილის მანძილზე გზას სცდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამხრეთ–დასავლეთისკენ პირქარში მიცურავდნენ. კი–უეი–კენოს ვაჟები ძლიერ ქარს ვერ უმკლავდებოდნენ და ამიტომ გადაწყვიტეს ღამით ეცურათ, რადგან ღამით ქარი ჩაცხრებოდა ხოლმე. გზას ისიც აძნელებდა, რომ ბიჭები უცნობ ადგილებში მიცურავდნენ.

მაგრამ ბიჭებს უმთავრესი და უძნელესი გამოცდა წინ, საჭაპანო ბილიკებზე ელოდათ. სამად მოკაკულები არნახული ძალისხმევით სწევდნენ დიდ პიროგას. ერთ–ერთი ბოლოდან, მეორე – მეორე ბოლოდან და წაქცეულ ხეებზე ანდა დიდ ქვებზე დებდნენ, მერე პიროგის ქვეშ შეძვრებოდნენ, ერთი – ერთ ბოლოში, მეორე – მეორე ბოლოში, ძლივს ადგებოდნენ და ბანცალ–ბანცალით წინ მიიწევდნენ, ალაგ–ალაგ მიფორთხავდნენ. საბედნიეროდ საჭაპანო ბილიკების უმეტესობა მოკლე იყო, მაგრამ რამდენიმე ძალიან გრძელი, ერთი კი თითქმის მილის სიგრძისა. კი–უეი–კენოს ქანცგაწყვეტილი ვაჟები ასე გადალახავდნენ მეტად დამქანცველ გზას. ჭამდნენ სახელდახელოდ გამომხცვარ ქონწასმულ ხმიადებს, ცხელ ჩაის დააყოლებდნენ და რადგან საბანი არ ჰქონდათ წაღებული, პიროგის ქვეშ იძინებდნენ.

პატარა ტბებს უკვე ყინულის ქერქი გადაჰკვროდა და პიროგის ცხვირზე მჯდარი ბიჭი ყინულს ჭოკით ამტვრევდა, რაც მათ ცურვას ფრიად აფერხებდა. ყველა ამ სიძნელეს ისიც დაემატა, რომ სველი თოვლი წამოვიდა და საღამოს იმის მაგივრად რომ დაეძინათ, ტანსაცმელს იშრობდნენ კოცონთან.

ხიფათიანი გზით დაღლილ–დაქანცული ძმები დღეში მხოლოდ ოთხი–ხუთი მილით მიიწევდნენ წინ. საგზალი უთავდებოდათ და შიმშილისგან ძალა ეცლებოდათ. ბოლოს სულ გაუთავდათ. შიმშილი აწუხებდათ და საშინელებები ესიზმრებოდათ.

ისინი ინდიელები იყვნენ, მკაცრ ცხოვრებას ჩვეულნი, მაგრამ ახლა უმწეონი, მარტოდმარტონი ტყის უღრანში, უსაკვებოდ და უჭეროდ. სულ მცირე შეცდომა პიროგის მართვაში და წყალში დაიხრჩობოდნენ დან გზას ასცდებოდნენ და შიმშილითა და სიცივით დაიხოცებოდნენ, მაგრამ ბიჭებმა წარმოუდგენლად რთული, ხიფათიანი გზა გადალახეს და

წინაპრების ანდერძი შეასრულეს: დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს და გაძვალტყავებულები და დამწუხრებულები შინ დაბრუნდნენ. გაკაჟებულები იყვნენ და ძნელი გზა გადალახეს, შეძლეს ის, რასაც ბევრი მამაკაცი ვერ შეძლებდა.

ერთი დღე იდუმალ ქალაქში

ცივილიზაციის გავლენით ველური ბუნების მივარდნილ ადგილებსა და რეზერვაციებში მდებარე ინდიელთა სოფლებს მიმზიდველობა, რომანტიკა და ეგზოტიკურობა დაეკარგა. თეთრკანიანთა მიმბაძველობით, უცოდინარობითა და გამოუცდელობით, ინდიელთა ყოფის გადასხვაფერებამ შედეგი არ გამოიღო და ინდიელებს უწესრიგობასა და სიბინძურეს საყვედურობენ. მხოლოდ მათ, ვინც დიდი ხანია შეითვისა თეთრკანიანთა ყოფა, როგორღაც შეეგუენ ხის სახლებში მათთვის უჩვეულო ყოფა–ცხოვრებას. რკინიგზის გასწვრივ მდებარე ინდიელთა ქოხმახები ხატოვნად მიანიშნებენ ასეთი შეგუების ტრაგედიაზე. სულ სხვა ყოფაა ვიგვამში. მიუხედავად სივიწროვისა ინდიელები მოწესრიგებულ და გონივრულ მეურნეობას ეწევიან. აბა, თეთრკანიანს შესთავაზეთ ტიპში[10] იცხოვროს. ისინი დაიბნევიან და ყველაფერს უარევენ. ხის სახლებში მცხოვრებმა ბევრმა ინდიელმა მამა–პაპურ მომთაბარეობას თავი დაანება და ამჟამად ტურისტებთან ერთად შორს უწევთ წასვლა, რათა მომთაბარე ინდიელთა სოფლებს მიაკვლიონ, რომელთა ადა–წეთები საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. ეს ინდიელები დროებით სოფლებში იზამთრებენ, რომლებსაც ნადირობის შესაბამისად ირჩევენ. ოთხი–ხუთი ოჯახი ერთიანდება ანდა ერთი ოჯახიც შეიძლება ცალკე დასახლდეს და გამოიზამთროს. საგზაოდ ცოტა ტვირთი მიაქვთ და გაუცნობიერებელ ადამიანს მკაცრი ზამთრისათვის შეუფერებლადაც კი შეიძლება მოეჩვენოს. მონადირეები დაცულ ადგილს ტყესთან ახლოს ირჩევენ, სადაც ცხენ–ირმები ბინადრობენ და თევზაობაც შეიძლება. აქ დაბანაკდებიან, ოთხკუთხა კარავს და რვაკუთხა ტიპის დგამენ. კარვისა და ტიპისთვის ოთხ, მორის სიმაღლის კედელს აგებენ, ზემოდან ბერესტასა და ტყავებს აფენენ. მორებს შორის ნაპრალებს ხავსით გმანავენ. როცა ზამთარი ძალას მოიკრებს, ზემოდან თოვლს აყრიან. კარავს თუნუქის პატარა ღუმელით ათბობენ, ვიგვამებში კი კერასთან თბებიან. ჩრდილოეთ კანადის ინდიელებს კერა ერთ თითქმის პერპენდიკულარულ კედელთან აქვთ მოწყობილი, დიდ ვაკეებზე მცხოვრებ ინდიელებს კი შუაში.

[10] ტიპი – იგივე ვიგვამი.

ოჯახის თითოეულ წევრს დასაძინებლად თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, სადაც საკუთარ ნივთებსაც ინახავენ. დილით ბამბის საბნებს კეცავენ ან ახვევენ და ვიგვამის კედელთან იატაკზე აწყობენ. ვიგვამის იატაკზე სურნელოვან ტოტებს აფენენ და ამ "რბილ ხალიჩაზე" სადილობენ და აქვე საქმიანობენ. საგები არ იტკეპნება, რადგან ხშირად ცვლიან. მათი შინა მეურნეობა ფრიად მარტივია, ცოტა აქვთ ჭურჭელი და სამზარეულოს სხვა ნივთები, ასე რომ დიასახლისები წესრიგს იოლად იცავენ. ძვლებსა და სხვა ნარჩენებს, ასევე ტყავის გადამუშავების ნარჩენებსაც ბუჩქნარში თოვლზე ყრიან, სადაც 7–8 თვე, გაზაფხულამდე გაყინულია, მერე კი მონადირეები საზამთრო ბანაკს ტოვებენ. ნარჩენების ამ გროვებმა მომთაბარე ინდიელებს ბინძურის სახელი მოუტანა.

ვიგვამებთან ახლოს, ხეთა შორის თაროებს აკეთებენ, მათ ზემოთ კი წნულებს ამაგრებენ, სადაც ხორცს, თევზსა და სხვა სურსათს ინახავენ, რათა მაწანწალა, მუდამ მშიერი შესაბმელი ძაღლებისაგან დაიცვან. ყოველი ქარბუქის მერე ნამქერში სათხილამურო ბილიკებს კვალავენ, რომლებიც მათ ვიგვამებს ფიჩხისგან გაკეთებულ და დათოვლილ დათბუნებულ ძაღლების ხუხულების მთელ მწკრივთან აერთებს. ვიგვამში სისუფთავე და სიმყუდროვეა. კერაზე ცეცხლი ღამითაც ანთია, კარვები კი თუნუქის პატარა ღუმელებით სითბოს შენარჩუნება ფრიად ძნელია.

ზაფხულობით, როცა ბეწვეულის საგაზაფხულო ვაჭრობის სეზონი გაივლის. ინდიელ ოჯახთა ზოგიერთი ჯგუფი შორს, ყრუ, მივარდნილ ადგილას, დიდ გზებისგან მოშორებით გადაინაცვლებს. ინდიელებს ფერმკრთალკანიანი ტურისტები და სხვა დაუპატიჟებელი სტუმრები არ უყვართ. ისინი გულმოდგინედ ნიღბავენ ბილიკებს და ასეთ მივარდნილ ადგილას შემთხვევით თუ ვინმე აღმოაჩენს ინდიელთა სოფელს.

თვითონ ინდიელები ასეთ მიმალულ სოფლებს "ოდენ–პა–კა–ინნე–ხადაკჟ"–ს ეძახიან, რაც "იდუმალ ქალაქს" ნიშნავს. ასეთი ქალაქები ჩვენს დროში იშვიათია, მაგრამ აქა–იქ ჯერ კიდევ გვხვდება, სადაც თავიანთ მამა–პაპურ ადათ–წესებს უფრთხილდებიან და ინარჩუნებენ.

მე სტუმრად ვიყავი რამდენიმე ასეთ "იდუმალ ქალაქში". ერთხელ კი ფერმკრთალკანიან ტურისტებთან ერთად მიმიწვიეს, რომელთა გულწრფელმა ცნობისმოყვარეობამ და წითელკანიან ძმებისადმი კეთილმა დამოკიდებულებამ, მაიძულა ძალისხმევა არ დამეშურა, რათა ნება დაერთოთ და აკრძალული საზღვარი გადამელახა. ეს ასე მოხდა: ჩვენ ერთი ასეთი "იდუმალი ქალაქიდან" რამდენიმე მილის დაშორებით

დავბანაკდით, რომლის არსებობასაც ვვარაუდობდი. ტურისტების ჯგუფის ხელმძღვანელმა დაჟინებით მთხოვა, რომ ინდიელებს მოვლაპარაკებოდი. ვიცოდი, რომ ფერმკრთალკანიანს ნავმიადგომს იქით ფეხი არ დაედგა. წარმატების იმედი არც მქონდა. არც ერთ საზოგადოებაში დაუპატიჟებელ სტუმარს უკან არ გააბრუნებენ, როგორც ინდიელთა ჩვეულებრივ სოფელში. ამ საგვარეულოს ბელადი "დიდი წავი" მედიდური ადამიანი იყო და მიუხედავად ჩემი ნაცნობობისა, თავისთან არასდროს მივუწვევივარ. ერთხელ საჭაპანო ბილიკზე "დიდი წავის" ნიჩაბი ვიპოვე, რაზედაც ჩემი სახელი იყო ამოკვეთილი. ეს კარგი საჩუქარი იქნებოდა და კარგის მომასწავებელიც. ამაზე დიდ იმედს არც ვამყარებდი. მეორე დღეს ჩემი თანამგზავრები დავარიგე, თუ ინდიელებთან როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მერე პიროგაში ჩავსხედით და "დიდი წავის" "იდუმალი ქალაქისკენ" გავცურეთ. თითქმის ერთი საათი მივცურავდით, რამდენიმე ჩანჩქერი გადავლახეთ და უცებ ჩამოფლატულ სერებს შორის ადამიანის ცულდაუკვრელ ფიჭვნარში მდებარე დიდ წრიულ ტბაში აღვმოჩნდით. ტბაზე მზის მიმართულებით კიდევ ერთი საათი ვიცურეთ, ბოლოს ვიწრო ყურეში აღვმოჩნდით და იქ მოულოდნელად მაღალი ქარაფების უკან კანოეთა მთელი ფლოტილია აღმოვაჩინეთ. ზოგი მისადგომთან იდგა, ზოგი ამოყირავებული იდო. ნაპირიდან ზემოთ ფერდობზე მაღალი ფიჭვებისკენ ვიწრო ბილიკი მიიკლაკნებოდა. აქ დიდ ძირკვებს შორის, სწორ ადგილზე ვიგვამები და კარვები გაფანტულიყო. განაკაფში ბოლი ცისფერი ნისლივით იდგა. ადამიანები ლანდებივით გამოჩნდნენ და უცებ გაუჩინარდნენ. ჩვენს შესახვედრად არავინ გამოსულა. დამთრგუნველი სიჩუმე ჩამოვარდა.

მე ჩემებურად, ბუსავით შევეხმიანე. უცებ მდუმარება წარმოუდგენელმა ხმაურმა დაარღვია. უზარმაზარი, სისხლს მოწყურებული მგელ–ძაღლების ხროვა გამაყრუებელი ყეფით მოაწყდა ნაპირს. ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა იკითხა, მგელ–ძაღლებმა ცურვა ხომ არ იცოდნენ.

მაღალი, ახოვანი კაცი სერის ფერდობზე მორბოდა, თმა უფრიალებდა და გააფრთებული ძაღლების ხროვაში ანთებულ ნაკვერჩხალს იქნევდა, სანამ მგელ–ძაღლები არ დაემორჩილნენ და ნაპირთან არ დამწკრივდნენ. ეს, თვით ბელადი იყო. ბელადი სილიან ნაპირზე ზედ წყალთან გამოვიდა და შეჩერდა. ხელი არ აუწევია და არც მოგვსალმებია. ყველაფერ ამას პირველყოფილი სიველურის ელფერი დაჰკრავს. წარმოიდგინეთ საუკუნოვანი ფიჭვნარი, კონუსური გამჭვარტლული ტიპები, რომლებიც ჩამოწოლილ

ბოლში ძლივს ჩანდნენ და ინდიელთა ლანდები, მათი სწრაფი, ძლივს გასარჩევი მოძრაობები და ნაპირზე ამაყად მდგომი ბელადი და მის უკან გამძვინვარებული ძაღლების ხროვა.

ხომ უნდა შევხმიანებოდი და მეც დავუძახე: “ხაუ! კუეი, კუეი, გიტჩე ნეგიკ! ანუ “დიდო წავო” მოგესალმები! ნიჩაბი ვიპოვე და მადლობა მინდა გადაგიხადო. მერე: ჩემს მეგობრებს უნდათ, რომ თქვენი ბავშვები დაასაჩუქრონ. ჩემი ეს სიტყვები ბევრ გულქვა ადამიანს გულს მოულბობდა, მაგრამ ამჯერად ამაოდ დავშვრი. “ანოატჩ! ანოატჩ!” ანუ ასე მოქცევა არ შეიძლება. ეს ხალხი ვინაა? “დიდი დანები?” მკითხა “დიდმა წავმა”.

ვითარება დაიძაბა და განსაკუთრებული ტაქტი მმართებდა, რომ მოლაპარაკება არ ჩაშლილიყო. ვერ დავიკვეხი, რომ დიპლომატიური ნიჭი მაქვს, მაგრამ ყველაფერი ვიღონე რაც ჩემზე დამოკიდებული იყო, რათა რთული ვითარებიდან გამოვსულიყავით.

მე ვუთხარი, რომ შორიდან მოსული ეს ადამიანები მეგობრულად არიან განწყობილი და წითელკანიანი ძმების მონახულება სურთ. დაწვრილებით აღვუწერე თუ რა სიძნელეები გადახდათ მოგზაურობისას, რკინიგზის ხაზიდან 90 მილი რომ გაიარეს ფეხდაუდგმელი ბილიკებით და მჩქეფარე მდინარეები გადალახეს, სანამ ამ ნაპირს მოაღწევდნენ. ჩვენი მოლაპარაკება მიაგავდა ომის წინ ქვეყნების ელჩებს შორის მოლაპარაკებას. ამას დაწვრილებით უკვე ვეღარ გავიხსენებ. ბოლოს “დიდმა წავმა” რამდენჯერმე გამომცდელად შემეკითხა და გამარფრთხილა, რომ მათთან სურათების გადაღება აკრძალული იყო. ბოლოს კმაყოფილებით წარმოთქვა: “უნდუშ, კიბაან”, ანუ ნაპირზე გადმოდით, მოვილაპარაკოთ. მე მგელ–ძაღლთა ხროვას ვუყურებდი და ვუთხარი, რომ ჩვენ ქალებიც გვახლდნენ და იქნებ ძაღლები დაებათ. შვებით ამოისუნთქეს არა მარტო ჩვენმა თანამგზავრებმა ქალებმა. “დიდი წავი” შემობრუნდა და რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა. მოხუცი დედაბერი და რამდენიმე ბავშვი გაბედულად მიუახლოვდნენ გამძვინვარებულ ძაღლებს და განზე გაიყვანეს. ძაღლებიც დაემორჩილნენ.

როცა ნაპირზე გადავედით ბელადმა ყველას ხელი ჩამოგვართვა. მის მკაცრ სახეზე ღიმილი ეფინა. ფერმკრთალკანიანი სტუმრები გაკვირვებულები უყურებდნენ. მის ქარდაკრულ, გარუჯულ სახეზე მკვეთრად ირჩეოდა თვალისმომჭრელად თეთრი, ქათქათა კბილები.

ის ბანაკისკენ გაგვიძღვა. ძაღლები აღარ ჩანდნენ, მაგრამ არ წყნარდებოდნენ და მათი ყეფა კვლავ ისმოდა. ერთმა–ორმა ინდიელმა ვიგვამიდან გამოიხედა, დაჟინებით

გვიცქერდნენ. რამდენიმე ბავშვი ჩვენკენ გამოიქცა, მეერე მიბრუნდა და ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდა. იქვე, შორიახლოს ორი თუ სამი მამაკაცი შევნიშნეთ. ფერმკრთალკანიანები ჩურჩულებდნენ, თითქოს მათსა და ინდიელებს შორის უხილავი, ყრუ კედელი აღმართულიყო.

"დიდმა წავმა" თავის ენაზე რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა და იმწამსვე მოკასინებში[11] ჩაცმული ინდიელი მოგვიახლოვდა და ყველას ხელი ჩამოგვართვა. ამ ახალგაზრდა ინდიელს უხერხულობისაგან სახე ალეწოდა. მერე სხვებიც მოგვიახლოვდნენ, სხვადასხვა ასაკისანი, მშვიდად გამოიყურებოდნენ და უხმაურო მოკასინები ეცვათ. მათაც ხელი ჩამოგვართვეს. მერე ქალებიც გამოვიდნენ და ხელის ჩამორთმევით მოგვესალმნენ. იქვე, შორიახლოს ხანში შესულ ქალს კუბოკრული პლედი მოეხურა, თავზე ღია ფერის შალი მოეხვია, ხელში დიდი დანა ეჭირა, სტუმრებს არც ისე მტრულად მიმართავდა, დანა მეორე ხელში გადაიტანა და თავისი საქმე გააგრძელა, – ცხენ–ირმის ტყავს ფხეკდა. მას სხვა ქალებმაც მიბაძეს და ჩვენი სტუმრობის გამო შეწყვეტილი საქმე გააგრძელეს. გამოჩნდნენ ბავშვები, დამორცხვილნი და მომღიმარნი, ცნობისმოყვარეობისგან შავი თვალები უციმციმებდათ. ბიჭები გაბედულად მოგვიახლოვდნენ და საკუთარი ღირსების გრძნობით ხელი ჩამოგვართვეს. განიერ კუბოკრულ კაბებში გამოწყობილი და თავზე შალშემოხვეული პატარა გოგონები ჩვენს შორიახლოს დასხდნენ და ერთმანეთთს გაოცებულნი ეჩურჩულებოდნენ: "შაგანაშ! გიჩჩე მოკომენ!" თეთრკანიანები! ამერიკელები!

როცა ტურისტებმა ბავშვები დაასაჩუქრეს, ქალებმა ჩვენკენ კმაყოფილებით გამოიხედეს და ჩვენ შორის უნდობლობა და ეჭვი თოვლივით გაქრა. იოლი შესამჩნევი იყო აქ გამეფებული სიფრთხილე. გაკაფული ტყე 100 ფუტის[12] სიგანეზე შამბს დაეფარა და ინდიელთა "იდუმალ ქალაქს" სამი მხრიდან იცავდა და ვერც ერთი სულიერი ჩუმად ვერ მიეპარებოდა. ამ ბუნებრივ ღობეში ყველა მიმართულებით ბილიკები იყო გაკვალული. ყოველ ბილიკზე გრძელი თასმებით ძაღლები დაებათ. ოდნავ მიუახლოვდებოდით თუ არა, ძაღლები მაშინვე დაუნდობლად შემოგხედავდნენ.

ეს რომ XX საუკუნეში ხდებოდა, რამდენიმე წუთში დაგვავიწყდა. ირგვლივ ამ მხარის ისტორიის უტყვი მოწმენი იდგნენ. ასწლოვანი მაღალი ხეები, ყვითელი არყის ხის ქერქის ტიპები, ზოგი დრო–ჟამისგან გახუნებული და გამჭვარტლული, ზოგიც ახალი, ბაცი

[11] მოკასინი – ირმის ტყავისგან შეკერილი ინდიელთა ფეხსაცმელი.
[12] ფუტი – ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 30,48 სმ–ს.

ყვითლები. ვიგვამებთან ახლოს საშრობ ხარიხებზე გაჭრილი თევზები და ცხენ–ირმის ხორცის გრძელი ნაჭრები ეკიდა. ქვემოთ კოცონი მოლურჯოდ ხრჩოლავდა. დიასახლისი ქალები სადილს ამზადებდნენ, სხვები კი ტყავს გულმოდგინედ ამუშავებდნენ. ტბის ნაპირზე ორი მამაკაცი და ერთი ქალი ბერესტის კანოეს აკეთებდა. ირგვლივ ქერქის ნაგლეჯები და ნაფოტები ეყარა. მაღალ ხარისხებზე გასამზეურებლად ბამბის წითელი, მწვანე და თეთრი საბნები გადაეკიდათ. ირგვლივ ბოლის მწარე სუნი იგძნობოდა და ძველებურ ენაზე ნაწყვეტ–ნაწყვეტი ხმები ისმოდა, რაც ამ თვალწარმტაც ადგილს ეგზოტიკურ ელფერს სძენდა. ინდიელთა “იდუმალი ქალაქი” მამა–პაპური ადათ–წესებით ცხოვრობდა. ალბათ ამდაგვარ სოფელში ოცნებობდა გამარჯვებაზე პონტიიაკი [13] . რამდენიმე წუთით რამდენიმე საუკუნით უკან გადმოვინაცვლეთ. სპორტულად ჩაცმული ტურისტები შეუფერებლად გამოიყურებოდნენ და მათი ლაპარაკი სიმყუდროვეს არღვევდა. ისინი შეუფერებლად გამოიყურებოდა ინდიელთა პირველყოფილ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად ოფიციალურად მოგვიწვიეს, თითოეული ჩვენთაგანი ქვეცნობიერად ვგრძნობდით, რომ იყო რაღაც, რასაც არ დავარღვევდით. არ უნდა გავშინაურებულიყავით. ირგვლივ ყველაფერში იდუმალება და რიდი იგრძნობოდა. ამას სიველურით ვერ ახსნით. ცივილიზებულ სამყაროში ეს ხალხი უცნაურები, მოუქნელები და ბინძურები მოგეჩვენებოდათ, მაგრამ აქ, ველური ბუნების წიაღში, თავიანთ სამფლობელოში დიდებულად გამოიყურებოდნენ. ეს მშრომელი ხალხი მხოლოდ თავის იმედად, ამაყად, შეუპოვრად იცავდნენ თავის და ველური ბუნების ბინადართა უფლებებს.

ვიხსენებდი მათთან შეხვედრას. მადლიერებით გავიხსენე “დიდმა წავმა” ცხენ–ირმის ხორცი რომ მიწილადა, ან როგორ დავივიწყებ მოხუც მეზღაპრეს–პად–უეი–უეი–დუკ–ს (მყვირალა მოსიარულეს), რომელსაც თვალის უპეებზე წითელი და ცისფერი სამკუთხედები ეხატა, რადგან ისრით იყო დაჭრილი. მთელი ღამე შეეძლო არ დაეძინა და კუს ბაკნისაგან გაკეთებული სატკაცუნოთი ეტკრციალა, გვიან შემოდგომობით ყინულივით ცივ მდინარეში ხტებოდახოლმე. იქ გავიცანი მოხუცი საა–საბინა ანუ “ყვითელი კლდე”. ის ყოველთვის მარტოდმარტო ხეტიალობდა, იშვიათად და თანაც ქარაგმულად ლაპარაკობდა. გამახსენდა ჯიმი ტუენტი. ის მოსიარულე იშვიათად თუ ვინმეს უნახავს, ყოველთვის დაძუნძულებდა. მატო–ჯენსი ანუ “პატარა ბავშვი”, ეს კეთილი გრძნეული ორი კვირით

[13] პონტიიაკი – ოტავას ტომის ბელადი (1720–1769 წწ.)

ადრე ამინდს წინასწარმეტყველებდა, ყოველთვის მგლის ტყავგადაჭიმულ დოლის თანხლებით მღეროდა და სასიამოვნო მოსაუბრეც გახლდათ. პად–უეი–უეი–დუკს საოცრად მოხდენილი ქალიშვილი ჰყავდა. მას მხრებამდე გრძელი დალალები სწვდებოდა, არ მოგვიახლოვდა, განზე დარჩა და შემკრთალ თვალებს არ გვაცილებდა.

ამჯერად "დიდმა წავმა" დიდ ვიგვამში მიგვიწვია და გვითხრა: "შებრძანდით და მოისვენეთ, ქალებმა სადილი მოგიმზადეს". გაგვიმასპინძლდნენ შემწვარი ცხენ–ირმის ხორცით, შემწვარი თევზით, ინდიელთა პურით–ბანნოკით და ძალიან ცხელი ჩაით. ვიგვამი შიგნით ზედმიწევნით დაესუფთავებინათ, ბოძებზე სურნელოვანი ბალახის კონები და ნაირ–ნაირი ფესვები ეკიდა, ამიტომ ვიგვამში თავისებური სურნელი იდგა. ორი ახალგაზრდა ქალი დიასახლისობდა. სტუმრები ინდიელთა ადათით სურნელოვანი, ამწვანებული ტოტებით მოფენილ იატაკზე დასხდნენ და თუნუქის ჭურჭლიდან გემრიელად მიირთვეს.

ზოგიერთი ტურისტი უკვე იცნობდა ინდიელთა ყოფა–ცხოვრებას, მაგრამ ჩვენს შორის იყო ერთი სპორტსმენი, რომელიც გამოტყდა, რომ ინდიელთა "იდუმალ ქალაქში", ვიგვამის ამწვანებული ტოტებით მოფენილ იატაკზე სადილობა მისი დიდი ხნის ოცნება იყო. ჩვენმა თანამგზავრმა ქალებმა ითხოვეს, რომ ინდიელ ქალებს თავის შესახებ რაიმე მოეყოლათ. ბევრი ხვეწნის მერე ერთი დათანხმდა. აღმოჩნდა, რომ მას არასოდეს ენახა დიდი ქალაქი, მატარებელი და მისთვის მნიშვნელობა არც ჰქონდა ოდესმე ნახავდა თუ არა. მერე უკვე ყველა თავისას ამბობდა და მე, როგორც შუამავალი და თარჯიმანი, დიპლომატიურად ვიქცეოდი, რათა მეგობრული, კეთილი ურთიერთობა არ დაგვერღვია.

მოგზაურობით დაღლილ სტუმრებზე ვიგვამის სითბომ და სიმყუდროვემ დამამშვიდებლად იმოქმედა და რამდენიმეს ჩათვლიმა კიდეც. ზოგი, ხეს მიყრდნობილები, ფიჭვის ტოტების საგებზე ისხდნენ, ზოგიც კერასთან სიამოვნებით აბოლებდა. ვიგვამში ბიჭი შემოიჭრა, ხელში კედარის ტოტისგან გაკეთებული მშვილდი ეჭირა, წელში სამი კაკაბი ეკიდა. ნანადირევი მარჯვედ გაბდღვნა და ჩანავლებულ კერაზე ჩამოჰკიდა.

მოსაღამოვდა. აგრილდა. ბანაკში ორი ციყვი ელვასავით შემოიჭრა, ხეზე ახტნენ და ტოტიდან ტოტზე ყვირილით გადახტოდნენ. ცაში ჩხიკვი ხან სად გამოჩნდებოდა და ხან სად. მიმნდობად ფრენდა და ხელიც არავის უხლიაყ

ბანაკში სიჩუმე ჩამოვარდა. ჰაერში საღამოს სიგრილე იგრძნობოდა. ტყის პირას ხეებთან აჩრდილები აფარფატდნენ. მოსაღამოვდა. უკან დაბრუნებისას გზას მთვარე

გაგვინათებდა. მთვლემარენი გავაღვიძეთ და ნავში ჩავსხედით. არავინ დაგვშვიდობებია. ბელადმა მისადგომამდე მიგვაცილა. დამშვიდობების ნიშნად ხელ იავუწიე. “დიდმა წავმა” მითხრა: “კი საკიტონ ნა კი დო მოკომენ?” ანუ უფრთხილდები შენს დანას? წელზე მონადირის ჩვეულებრივი დანა მეკიდა, იმ დროისათვის კარგი ხარისხის. ვუთხარი, რომ ჩემი დანა იმდენად მეძვირფასება, რომ ვერავის მივცემ, მაგრამ მისთვის, როგორც ჩემი ძმისთვის გავიმეტებ. ასეც მოვიქეცი. დანა ქამართან და ქარქაშთან ერთად მივეცი.

ნაპირს მოვცილდით და ველური ბუნების სილამაზით მოვინუსხეთ. მზე სანახევროდ ჩამსულიყო ტყის უკან. ფიჭვნარის ჩრდილები ჩამუქებულ სერებს ეფინებოდაყორი თეთრგულა ღორიხვა წყალზე წყნარად ცურავდა. ვიგვამების კერიებიდან ამოსული კვამლის წვრილ–წვრილი ბოლქვები ზემოთ ადიოდა და “იდუმალ ქალაქს” თეთრად ეფინებოდა. მალე მკრთალი მთვარე ამოცურდა და მის ნათელში ფიჭვი შავი სილუეტივით გამოჩნდა. სადღაც შორს ბუ კიოდა.

სულ უფრო ვშორდებოდით ინდიელთა “იდუმალ ქალაქს”, მის მამა–პაპურ ადათ–წესებს, მშობლიურ ტყესავით ზღაპრულ და იდუმალ მის წყნარ და უკარება ბინადრებს. როცა ტბა გადავცურეთ და ვიწრო მდინარის კლდოვან ნაპირებს შორის აღვმოჩნდით, ჩვენს ყურს მოსწვდა მგელ–ძაღლების გაბმული ყმუილი. ეტყობა ბადრ მთვარეს ესალმებოდნენ, როგორც მათი ველური წინაპრები უხსოვარი დროიდან იქცეოდნენ.

გვიან ღამით ოდნავ ისმოდა ინდიელთა დოლის რიტმული, მონოტონური დარტყმის ძლივს გასარჩევი ხმა.

ფიჭვი

(მოთხრობა–ლეგენდა)

მცენარის ასაკს ზუსტად ლავადგენთ ძირკვის წლიური რგოლებით. რამდენი რგოლიცაა, იმდენი წლისაა ხე.

650 წლის წინათ ან უფრო ადრე ანდა გვიან სერზე მდგარი ფიჭვიდან ჩამოცვენილი გირჩები ციყვმა მოაგროვა. ერთი გირჩა კლდოვანი მთების უღელტეხილზე, იდუმალ ადგილას წაიღო, სადაც საზამთროდ ყველაზე მწიფე გირჩებს იმარაგებდა ხოლმე. როცა ციყვმა თავის საკუჭნაოს მიაღწია, ერთი გირჩა დაკარგა და მალე დაავიწყდა.

ციყვმა თორმეტი გირჩა წაიღო, მაგრამ საკუჭნაო ჯერ არ აევსო და ამიტომ არ იყო დაფარული. ქარმა და წვიმამა გირჩები ერთმანეთისგან რამდენიმე ფუტის დაშორებით გაფანტა. გირჩებმა მშვიდობით გამოიზამთრეს და მეორე წელს აღმოცენდნენ, პაწაწინა ფიჭვებად იქცნენ. თითოეული აღმონაცენი მზისკენ ილტვოდა, ცდილობდა თავისივე თანამოძმეები დაეჯაბნა, რადგან მზის სითბოზე იყო დამოკიდებული მისი უმწეო სიცოცხლე. პატარა ხეები სწრაფად იზრდებოდნენ, მერე მზის სითბოს უკმარისობით ნელ–ნელა დაჩიავდნენ და მალე დაიღუპნენ. ხუთი წლის მერე ხუთი–შვიდი ფიჭვი გადარჩა. ისინი გაფანტულად იდგნენ და მხნედ გამოიყურებოდნენ.

შემოდგომის ერთ დღეს ირემი მოვიდა და პატარა ფიჭვის ნაზი კენწეროთი პირი ჩაიტკბარუნა და ყლორტები მოაწიწკნა. ზამთარში, იმ მხარეში ბოცვრები მრავლად იყვნენ, მოცვივდნენ და ორ–სამ პატარა ფიჭვს სადამდეც მიწვდებოდნენ ქერქი გულმოდგინედ შემოღრღნეს. ეს ფიჭვებიც დაიღუპნენ.

გავიდა ხუთი წელი. ზაფხული იწურებოდა, რომ ამ ადგილს ცხენ–ირემი შემოეჩვია. ერთი პატარა ფიჭვი ამოირჩია და მის ღეროზე თავს იფხანდა, რომ ახალი ამოსული რქები გაესუფთავებინა. ბოლოს ეს ფიჭვიც წაიქცა ახლოს მდგარი სხვა ფიჭვებივით.

ოცი წლის შემდეგ ახალგაზრდა ფიჭვები უკვე ტანაყრილი ხეები იქნებოდნენ და დიდხანსაც იცოცხლებდნენ, რომ ხეებისთვის ტახს ქერქი არ შემოეძრო ერთის გარდა. ტახი დიდხანს არ შეყოვნებულა და უფრო მდიდარი ტყის ძებნაში გზა გააგრძელა.

ერთადერთი გადარჩენილი ფიჭვი, რომელსაც ტყის ბინადარნი ყურადღებას აღარ აქცევდნენ, ასწლეულობით უშფოთველად იზრდებოდა და ბოლოს მშვენიერ ხედ იქცა. ფიჭვი ღია ადგილას, კლდოვანი მთების უღელტეხილზე იზრდებოდა, რომლის ქვემოთ პრერიები[14] გადაჭიმულიყო. ფესვმაგარ ფიჭვს მძლავრი ღერო და ფართოდ გაშლილი ტოტები ჰქონდა. პრერიების მხრიდან სამხრეთ–აღმოსავლეთის ქარები ქროდნენ და მის კენწეროს არხევდნენ, ტოტები კი ხელებივით ჩრდილოეთისკენ გაეწვდინა.

ფიჭვი მედგრად უძლებდა ძლიერ ქარებს, სმერჩს. გვალვა, თავსხმა წვიმები და ქარბუქი ცდილობდნენ დაეჯაბნათ, ამოეთხარათ და გადაემტვრიათ. მიუხედავად ბუნების წინააღმდეგობისა ის მაინც იზრდებოდა და თითქოს თავს შესანიშნავად გრძნობდა. არსებობისათვის მუდმივმა ბრძოლამ მხნეობა შემატა და ისიც იზრდებოდა და იზრდებოდა. ორმა საუკუნემ გაიარა და ღერო ისე გაუმსხვილდა, რომ ხელს ვერავინ შემოაწვდენდა. ნადირი მისი ტოტების ჩრდილში ზაფხულში სიცხეს ემალებოდა, ზამთარში კი ქარბუქს.

უხსოვარი დროიდან ამ უღელტეხილისაკენ უამრავი ცხოველი მოემართებოდა, რადგან სწორი და 200 იარდის[15] სიგანის უღელტეხილი იოლი გადასასვლელი იყო. ნადირი აქ ნადავლისთვის და სახეტიალოდ ამოდიოდა, მაგრამ ჩრდილიანი და ტოტებგაშლილი ფიჭვი მათი გზის მიმართულებას თავისდა უნებურად ცვლიდა. ცხოველები ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორც ადამიანები, განსაზღვრული ბილიკებით გადაადგილდებიან. ნადირის ნაკვალევს მაღალ კლდეებზე და მცენარეულობით დაფარულ ღარტაფებშიც შეამჩნევთ, თახვების ჯებირზეც და განსაკუთრებით მოსახერხებელ ფონთან. კარგად შესამჩნევი ბილიკები ასეთ ადგილებშია გაკვალული.

მთებში ხეტიალით დაქანცული ცხოველებისთვის უღელტეხილი უკანასკნელი საყვარელი ადგილი იყო. ამასთანავე, აქ პრერიების მხრიდან გზა იწყებოდა. დროთა განმავლობაში ძლიერი ფიჭვი აღთქმულ ადგილად იქცა, რომლის ჩრდილში სულის მოსათქმელად ყოველი სულიერი ისწრაფვოდა. სულს მოითქვამდნენდ და მარტოსულ ხისადმი მადლიერების გრძნობით გზას აგრძელებდნენ. ამ ადგილას ფიჭვის ირგვლივ მწვანე ხალიჩასავით მთის მდელო ბიბინებდა, სადაც ნადირ–ფრინველი პირს კენკრითაც იტკბარუნებდა, მორაკრაკე ნაკადულში კი კალმახები ბინადრობდნენ.

---

[14] პრერიები – ჩრდილოეთ ამერიკის ველები.

[15] იარდი – ინგ. სიგრძის საზ. ერთეული, უდრის 91,44 სმ–ს.

ნადირის მიერ გატკეპნილ ბილიკზე საოცარი ცხოველები მიმოდიოდნენ. უზარმაზარი ცხენ–ირემი ამაყად მიუძღოდა ჯოგს და ხშირი სტუმარი იყო ქვემოთ სერების ძირში. ყოველწლიურად, როცა ვერხვის ფოთლები პირველად დაითრთვილებოდა, ის აქ, ამ მდელოზე თავისი ჯოგით დაბინავდებოდა. მთელ არემარეზე აქედან ისმოდა მისი ყვირილი. გავიდა ხანი და ჯოგის წინამძღოლი სხვა ცხენ–ირემი გახდა. იმ შემოდგომას თავის ჯოგი მან გადაიყვანა უღელტეხილზე ისე, რომ ფიჭვთან არც შეჩერებულა.

ერთხელ პრერიების მგლები ანუ კოიოტები შემოეღეტნენ. ასეთ სიმაღლეზე იშვიათად ამოდიოდნენ. აქეთ–იქით თვალებს აცეცებდნენ, ფერდობზე ამოფორთხდნენ, მდელო გათელეს, მერე მსუბუქად ისკუპეს და აღარც გამოჩენილან.

ერთხელ მდელოს ნამდვილმა გოლიათმა, დათვმა გრიზლიმაც მოაკითხა და მას მერე ხშირად ეწვეოდა ხოლმე. გრიზლი მშვიდი და თვინიერი იყო, მაგრამ თუ გააბრაზებდით, დაუნდობელი ხდებოდა. ის ამ თებში მეფობდა. როცა უკანა ტორებზე დგებოდა მკერდზე მკაფიოდ მოუჩანდა ვერცხლისფერი ნალი სამეფო ნიშანივით. გრიზლი დრუნჩიდან კუდამდე რვა ფუტი სიგრძისაა, სიმაღლით კი ოთხი ფუტი, თუ ბეჭამდე გავზომავთ. დათვს ძლიერი ეშვები ჰქონდა, მაგრამ თავს არავის ესხმოდა. მეტწილად სიჩუმე უყვარდა. მზეს ეფიცხებოდა და ფესვებითა და კენკრით იკვებებოდა, თევზითაც, რასაც მდელოზე მორაკრაკე ნაკადულში იჭერდა, კარგად რომ დანაყრდებოდა ფიჭვის ძირში წამოგორდებოდა, ტორებს გაილოკავდა და თვლემდა, იქნებ ესიზმრებოდა კიდეც.

ის დიდხანს დაჟინებით უცქერდა ვრცელ და უკიდეგანო შორს გადაჭიმულ პრერიებს. დროდადრო პრერიებში ხალიჩასავით მოეფინებოდნენ მუქი ცოცხალი არსებები. ალაგ–ალაგ მტვერი ავარდებოდა და უღელტეხილამდე მგლების ოდნავ გასარჩევი ყმუილი ისმოდა, მერე დოლების ბრახუნი და რიტმული გუგუნი. ამ დროს გრიზლი აშკარად შფოთავდა.

რა ხდებოდა პრერიებში? ბიზონთა ურიცხვი ჯოგები შავ ნაკადებად გადადგილდებოდნენ კოიოტებთან ერთად. აქ წითელკანიანი ადამიანები თავს იყრიდნენ და ბიზონებს წინასწარ შემოზღუდულ საჩეხში ერეკებოდნენ და ისრით ხოცავდნენ. ეს იმ დროში ხდებოდა, როცა ინდიელებს ცხენი არ ჰყავდათ.

დათვი გრიზლი ყველაფერს ხედავდა და ესმოდა, მაგრამ არავინ იცის, თუ თავში რა აზრები უტრიალებდა და როგორ ღელავდა, როცა პატარა თვალებით შორს უკიდეგანო სივრცეზე მისთვის უცხო ბინადართ უცქერდა. იქ გრიზლი არასდროს ყოფილა. ხეთა

შორის გოლიათი, მაღალი, ძლიერი ფიჭვი მისთვის წყნარი ნავსაყუდელი იყო. ის აქ თავს მარტოსულად აღარ გრძნობდა. ფიჭვი მისი სულიერი მეგობარი იყო და ამის ნიშნად მის ღეროზე კბილებით ნიშანი დაადო.

და ფიჭვს, რომელსაც არავინ შეხებია მას მერე, როცა 400 წლის წინათ ბოცვრებმა პაწაწინა კბილებით ქერქი ააწიწკნეს, უცებ არნახული სიხარული დაეუფლა. მან იგრძნო, რომ მასში სიცოცხლე ჩქეფდა. დათვის არყოფნისას მის ფესვებთან მიწა უკაცრიელი ჩანდა, მაგრამ როგორც კი ბებერი გრიზლი დაბრუნდებოდა და მის ძირში წამოგორდებოდა, ფიჭვი სიხარულისგან ტოტებს აშრიალებდა. საყვარელი ხის ჩრდილში მწოლიარე კმაყოფილი დათვი კი უკიდეგანო პრერიებს უცქერდა.

დათვისა და ფიჭვის საოცარი მეგობრობა ნახევარი საუკუნე გრძელდებოდა. გრიზლი დაბერდა. დადგა გაზაფხული. გრიზლი უფრო მეტხანს იწვა ფიჭვის ჩრდილში, მის ღეროს მიყრდნობილი, ზაფხულის ბოლოს კი თითქმის აღარ დგებოდა, მხოლოდ კენკრის საჭმელად და ნაკადულზე წყლის დასალევად მიდიოდა, თევზაობა კი უკვე კარგა ხანია აღარ შეეძლო.

შემოდგომაზე ტყე აფერადდა, იდგა ინდიელთა ზაფხული[16]. დანისლული მთები არც ისე მკაცრად მოჩანდა. ერთხელ, სანამ ხეებს ფოთლები დაცვივდებოდა, როცა გრიზლი ფიჭვის მძლავრ ღეროს მიყრდნობოდა და ტოტებში მოზუზუნე ქარს ყურს უგდებდა, იდუმალი და უკიდეგანო პრერია, რომლის ცქერითაც დათვი ხშირად ტკბებოდა, დანისლული და შორეული მოეჩვენა.იმ დღეს დათვი ძალიან დაიქანცა... უცებ მოეშვა და ჩათვლიმა... პრერია გაფერმკრთალდა და გაუჩინარდა, ფიჭვის შრიალი თითქოს სადღაც შორიდან ესმოდა, ბოლოს სულ მიწყდა.

დათვი მოკვდა.

მწარე ხვედრი ერგო ფიჭვს. ვისაც ის უყვარდა, იხოცებოდნენ. ის კი ცოცხლობდა თავისი უკანასკნელი მეგობრის სიკვდილის სევდიან მოლოდინში და აი, მთის უღელტეხილზე შეუცვლელი ყარაულივით მარტოდ დარჩა.

დათვის სიკდვილის მერე ფიჭვის კენწეროზე ცის მეფე–დედოფალმა არწივებმა ბუდე გაიკეთეს. ისინი კლდეების თავზე ლაღად ფრენდნენ, მზის სხივებზე ფრთები ულაპლაპებდათ. ყოველწლიურად მართვეებს ზრდიდნენ. ფიჭვიც იცავდა მათ. ასი წლის

[16] ინდიელთა ზაფხული – ანუ შემოდგომის თბილი დღეები.

მერე ბუდე დაცარიელდა. მალე არწივების სხვა წყვილი მოფრინდა. მას მერე არწივები ყოველთვის ფიჭვზე იკეთებდნენ ბუდეს.

ფიჭვს კი ასაკი ემატებოდა, ბერდებოდა და ღერო უფრო უმსხვილდებოდა. დათვის ნაკბილარი სამუდამოდ შერჩა. ფიჭვს მოწითალო ქერქი გაუსქელდა, ტოტები განზე გაშალა და ფესვები ღრმად გაედგა. დილაობით ფიჭვის დაღარულ ქერქს ამომავალი მზე ანათებდა და ათბობდა. დილის სიო კი მის წიწვებს თითქოს ჩურჩულით ელამუნებოდა და მზის სადიდებლად გალობდა.

კლდოვანი მთების ძირას მომთაბარე ინდიელები მზეს სცემდნენ თაყვანს. მათი რწმენით მზე არა მარტო სიცოცხლის საწინდარი იყო, არამედ სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლაშიც ეხმარებოდა ადამიანებს. ის ადნობდა ზამთრის თოვლსა და ზრდიდა პრერიების დამამშვენებელ ბალახსა და ყვავილებს. პრერიებში ხეები არ იზრდებოდა. ასე ფიქრობდნენ შავფეხიანთა ტომის ინდიელები. ისინი ხშირად ამაყი ფიჭვის ცქერით ტკბებოდნენ, ის ხომ მკვეთრად მოჩანდა დათოვლილი მთების ფონზე. უხსოვარი დროიდან პრერიებში მომთაბარე ინდიელებმა არ იცოდნენ ფიჭვი როდის აღმოცენდა, მათ თავიანთი ბედი უნებურად მარადმწვანე ფიჭვს დაუკავშირეს. ასე იყო უხსოვარი დროიდან. შავფეხიანთა ტომში სწამდათ, რომ სანამ უღელტეხილზე ეს გოლიათი ფიჭვი იდგებოდა, მათ მშობლიური პრერიებიდან ვერავინ გარეკავდა და თუ ინდიელები ამოწყდებოდნენ, ფიჭვიც დაიღუპებოდა. ამიტომ ფიჭვს მოწიწებით შესცქეროდნენ.

580 წელმა გაიარა მას მერე, რაც ციყვს გირჩა დაუვარდა და თავისდა უნებურად ხე დარგო. და ფიჭვმა თავის სიცოცხლეში, ამდენი წლის მერე ადამიანს უმასპინძლა.

შავფეხიანთა ტომის ახალგაზრდამ, სანამ მეომრად აკურთხებდნენ, დაიფიცა, რომ ბებერი ფიჭვის ძირას ხუთ დღესა და ღამეს მარხვასა და განსჯაში გაატარებდა, რათა სული ბოროტისგან განეწმინდა. იქნებ რაიმე დასიზმრებოდა და როცა შინ დაბრუნდებოდა ბრძენი გრძნეულები სიზმარს აუხსნიდნენ. თუ მკაცრ გამოცდას ჩააბარებდა, მეომრად აკურთხებდნენ. ის ოცნებობდა, რომ შავთვალა მეგობარს სიყვარულში ეთანაგრძნო, მის ახალ, ლამაზ ვიგვამში დასახლებულიყო და მისი დიდება გაეზიარებინა. ახალგაზრდას იმედი ჰქონდა, რომ ფერმკრთალკანიანებთან მომავალ ბრძოლაში სახელს მოიხვეჭდა. ფერმკრთალკანიანები მათ მშობლიური ადგილებიდან ერეკებოდნენ.

და ახალგაზრდა ინდიელი მთაზე ავიდა და წმინდანი ფიჭვის ძირას ხუთი დღე–ღამე იმარხულა. მხცოვან ხეს ალბათ უკვირდა, რომ არ ჭამდა როგორც სხვა სულიერნი, ვინც მის

ძირას ისვენებდნენ ხოლმე. ფიჭვს ახალგაზრდა ეცოდებოდა და მისი ჩრდილიანი ტოტები თითქოს ნაზად უმღეროდნენ.

ხუთი დღე და ღამე გაატარა ახალგაზრდამ მარხვასა და განსჯაში და თან ქვემოთ, მშობლიურ პრერიას უცქერდა. მახვილი თვალით თავის ბანაკს ეძებდა და საყვარელი ქალიშვილის ვიგვამს, რომელიც მოუთმენლად ელოდებოდა მის დაბრუნებას. ახალგაზრდა ქალიშვილის თანაგრძნობაში დარწმუნებული არ იყო, ისინი ხომ სიყვარულს გულში დაფარულად ინახავენ.

საღამოს, როცა ახალგაზრდა დასაძინებლად წამოწვა, თაქვეშ ბალიშის ნაცვლად, აქვე, ფიჭვის ძირას ნაპოვნი დათვის თავის ქალა დაიდო. ჩაეძინა თუ არა, აქ მობინადრე ცხოველები მიეპარნენ და ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ. უკვირდათ, თუ ამ მხარეში ვინ გამოჩნდა. წრუწუნები სოროდან ხან გამოძვრებოდნენ და ხან შეიმალებოდნენ, ჩამოუსხდებოდნენ, ყნოსავდნენ, ზოგიც მის ფეხებთან დარბოდა. ციყვები უხმოდ, ლანდებივით ხტოდნენ ფიჭვის ერთი ტოტიდან მეორეზე. ძვირფას ბეწვიან მელიას ყურები აეცქვიტა, დრუნჩი აეპრიხა და ახალგაზრდის შორიახლოს დასუნსულებდა. ერთ მთვარიან ღამეს ირემი კარიბუც გამოჩნდა და მდელოზე უხმოდ ლანდივით გაიარა.

ინდიელებს ასეთი ადათი ჰქონდათ: მფარველად იმ ცხოველს ირჩევდნენ, რომელიც მარხვისას დაესიზმრებოდათ. ეს ცხოველი ვაჟკაცობის სიმბოლო ხდებოდა და საბრძოლო ფარზე ხატავდნენ. არც ერთი ცხოველი, რომელიც მძინარეს ეწვია, არ დასიზმრებია. მხოლოდ უზარმაზარი ვერცხლისფერი დათვი დაესიზმრა. ის უკანა ტორებზე იდგად ა წინა ტორებით თითქოს რაღაც უნდა გადაეცა. ეს ბედნიერების მომასწავებელი ნიშანი იყო და ახალგაზრდამ გაიფიქრა, რომ დათვი მისი მფარველი ანუ ტოტემი იქნებოდა. მერე ფიჭვის ძირში არწივის ორი ბუმბული იპოვა, ალბათ ფიჭვის კენწეროზე გაკეთებული არწივის ბუდიდან გადმოვარდა. ეს ბუმბულები მეომრად კურთხევისას გამოადგებოდა.

მადლიერების ნიშნად ახალგაზრდამ თავისი ტომაგავკით[17] ფიჭვის ღეროზე ჭდე გააკეთა დათვის ნაკბილართან ახლოს. მოკლე და გამხმარ როკზე დათვის თავის ქალა ჭამოჰკიდა და მასში შესაწირად ცოტაოდენი თამბაქო ჩადო. მერე ფესვებით ყბები

[17] ტომაგავკი – ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა იარაღი. ხის სახელურიანი ცული. XVI–XVIII საუკუნეებში გავრცელდა სპილენძისა და რკინის. ტომაგავკის ტარს ხშირად ამკობდნენ ბუმბულებითა და წარწერებს უკეთებდნენ. ინდიელთა ადათით ტომაგავკს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. წითლად შეღებილი ტარი ომის გამოცხადებას ნიშნავდა ანდა სამხედრო კავშირს. გამოთქმა: "ტომაგავკის დამარხვა" ანუ მშვიდობის დამყარება.

ერთმანეთს გადააბა. ეს ადგილი ინდიელისათვის ბედნიერი იყო. მან წასვლისას ფიჭვს მადლობა გადაუხადა და თავაზიანად დაემშვიდობა. ფიჭვი სიხარულისაგან ათრთოლდა და უხაროდა, როცა ახალგაზრდა დათვის ქალას როკზე ჰკიდებდა, თითქოს ძველი მეგობარი დაბრუნდა. ფიჭვს ადამიანის ხმა პირველად მოესმა და ასეულობით წლის ლოდინის მერე ახალი მეგობარი შეიძინა.

მეომრად კურთხევის მერე ინდიელი ახალგაზრდა თავისი შავთვალება ქალიშვილის მოსანახულებლად წავიდა. ქალიშვილი გულთბილად შეხვდა, ეამაყებოდა, რომ ვაჟკაცურად გადაიტანა მძიმე გამოცდა, რასაც მის მკერდზე ღია ჭრილობები ადასტურებდა[18]. ქალიშვილს უხაროდა, რომ მისმა რჩეულმა აღთქმა შეასრულა და ხუთი დღე და ღამე იმარხულა და ზოგიერთი ახალგაზრდასავით არ ითვალმაქცა. ისინი სამარჯვოდ მზეზე გამოყვანილ, გამხმარ ხორცს იმარაგებდნენ. ქალიშვილი დათანხმდა... მან ინდიელ ქალიშვილთა ადათით სახე შალით დაიფარა, ხელი გაუწოდა და ჩრუჩულით შეჰფიცა. ქალიშვილს სურდა ის ადგილი მოენახულებინა, სადაც თავისმა რჩეულმა იმარხულა.

და აი, ერთ მზიან დღეს, კენკრის თვეში მშობლებს ისე დაემშვიდობნენ, თითქოს შორეულ მხარეს მიდიოდნენ, სინამდვილეში კი ახალგაზრდები იქვე, უღელტეხილისაკენ გაემართნენ, რათა იქ, ფიჭვის ძირას თაფლობის თვე გაეტარებინათ. ფიჭვის ჩრდილში აყვავებულ მდელოზე ბიზონის ტყავის ვიგვამი დადგეს. მიუხედავად ციცაბო აღმართისა ბევრი საოჯახო ნივთი წაიღეს. თავიანთი ავლადიდება ცხენშებმული საზიდარით, ტრავუათი მიჰქონდათ. დიდ ვაკეებზე მომთაბარე ინდიელთა უკვე რამდენიმე თაობა გაველურებულა ცხენებზე მუსტანგებზე ნადირობდა. ეს ცხენები აქ ფერმკრთალკანიანმა მკვლევარებმა დატოვეს.

როცა ახალდაქორწინებულებმა ბანაკი მოაწყეს და ცხენებიც საძოვარიდან დაბრუნდნენ, ახალგაზრდა მოემარმა ნაკადულში კალმახი დაიჭირა და მდელოზე კენკრა მოაგროვა. ვიგვამის გასამშვენიერებლად ცოლს ყვავილების თაიგული მიართვა, ფიჭვის სურნელოვანი ტოტები საგებად და ირმის ახალი ხორცი. ალუბლის ფოთლები მოკრიფა, ცეცხლზე შეაშრო და საყვარელი ცოლისთვის სურნელოვანი ბალიში გააკეთა. მერე დიდი

[18] მეომრად კურთხევის რიტუალური ცეკვის დროს ახალგაზრდას ბოძზე აბამენ მის სხეულში გაყრილი წვრილი თასმებით. ცეკვისას ახალგაზრდა მკვეთრი მოძრაობით უნდა აეგლიჯოს ბოძს.

კოცონი გააჩაღა, თავზე მოიხვია, არწივის ორი ბუმბული დაიმაგრა და საუკეთესო, ფოჩითა და ბისერით მორთულ კოსტიუმში გამოეწყო. ეს, ცოლის საჩუქარი იყო. ის საიდუმლოდ ქარგავდა ბედნიერი დღის მოლოდინში.

ახალგაზრდამ პატარა ჭრელი ტომრიდან პატარა მოხატული დოლი ამოიღო და ამღერდა. ის აღთქმას დებდა, რომ ტომის ბელადი გახდებოდა. კოცონთან მჯდარი ცოლი მღელვარებით უსმენდა და სჯეროდა. შრომას ჩვეული მისი ხელები გულმოდგინედ ასუფთავებდა საფხეკით ახლახანს მონადირებული ირმის ტყავს, ცეცხლის ალზე ახმობდა ირმის ხორცს, კენკრას ხარშავდა და კალმახს წვავდა.

ისინი ბედნიერები იყვნენ. ფიჭვი მიწაზე ჰყრიდა გირჩებს და რბილ ხალიჩასავით აფენდაყ

უცებ ფიჭვის ტოტებმა თითქოს ამოიოხრეს. ბებერმა ფიჭვმა იცოდა, რომ როგორც მისი ყველა სტუმარი–სულიერი, ეს ორიც დიდხანს არ იცოცხლებდა და კვლავ მარტოდ დარჩებოდა. ასეთი იყო მისი ხვედრი. ეცოცხლა, როცა სხვები კვდებოდნენ... და ფიჭვს უნდოდა, რომ ახალგაზრდებს მასთან თავი ბედნიერად ეგრძნოთ.

ღამით ახალგაზრდა ინდიელს დაესიზმრა, რომ მათი ვიგვამის შორიახლოს უზარმაზარი მურა დათვი იჯდა. დათვს მკერდზე ვერცხლისფერი ნიშანი ჰქონდა. ისე ცხადად ხედავდა, რომ დაიჯერა. ახალგაზრდა ქმარი ადგა და ვიგვამიდან გაიხედა. ვერავინ შენიშნა და კვლავ დასაძინებლად დაწვა. დილით ცოლისთვის სიზმარი არ მოუყოლია, რომ არ შეშინებოდა. ცოლმა კი თვალი გაახილა თუ არა, ქმარს მოუყვა, რომ სიზმარში უზარმაზარი მურა დათვის ნახა, რომელსაც მკერდზე ღია ფერის ნიშანი ჰქონდა. ნიშანი ზემოთ მორკალულ მშვილდს მიაგავდა და ვერცხლისფერი დაჰკრავდა. დათვი მთვარის შუქით განათებული ვიგვამის წინ იჯდა და წინა ტორებით თითქოს რაღაცას მიანიშნებდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა. ქმარმა უთხრა, რომ მასაც დათვი დაესიზმრა და ეს, ალბათ წინასწარმეტყველური სიზმარი იყო. გრიზლისთვის დაუყოვნებლივ შესაწირი უნდა მიერთმიათ, ის ხომ ახალგაზრდა ქმრის მფარველი იყო და მანაც დარჩენილი თამბაქო გრიზლის თავის ქალაში ჩადო და თავისი ყველაზე ლამაზი, ბისერით მოქარგული სარტყელი დროშასავით მიამაგრა.

ფიჭვმა სიხარულისგან ტოტები შეარხია. ინდიელი კი ფიქრობდა, რომ დათვის სულსაც უხაროდა.

მას მერე დათვს ყოველთვის ხატავდა თავის ფარზე და კაპარჭზეც, ცოლი კი საზეიმო სამოსზე ყოველთვის ამოქარგავდა ხოლმე დათვს ბისერით და რაც უნდა ჩაეცვა, ყოველთვის დათვი ჰქონდა გამოსახული ანდა დათვის ფერის, ყავისფერ სამოსს იცვამდა.

შემდგომში ეს ახალგაზრდა ყოველწლიურად ეახლებოდა უღელტეხილზე მდგარ ფიჭვს და მის ძირას ათენებდა. ყოველთვის დათვი ესიზმრებოდა, თითქოს მძინარეს იცავდა და ახალგაზრდაც მადლიერების ნიშნად ყოველთვის შესაწირს მიართმევდა ფიჭვსა და დათვის სულს. ეს, ყოველთვის ზაფხულობით, კენკრის მწიფობისას ხდებოდა. ყოველწლიურად ფიჭვის ღეროზე ჭდეს აკეთებდა, დათვის ნაკბილარს ფისს აცილებდა და გრიზლის თავის ქალაში თამბაქოს ჩადებაც არ ავიწყდებოდა.

ერთხელ ინდიელი ახალგაზრდა განსაკუთრებულად შემოსილი ეახლა ფიჭვს. მას მხოლოდ წელსახვევი ემოსა: თეძოებზე ბისერით მოქარგული სარტყელი, რაზეც განიერი ქარქაში ეკიდა, ფეხებზე მოკასინები ეცვა. სახე და ტანი ჟოლოსფრად, ყვითლად და თეთრად მოეხატა. თავზე არწივის ბუმბულები გვირგვინივით ედგა და ბუმბულის ბოლოები მხრებამდე წვდებოდა. მეომარს არწივის ბუმბულებითა და მაჩვზღარბას ეკლებით მორთული ჩიბუხი ეჭირა.

უკვე ოცი წელი გასულიყო მას მერე, რაც ინდიელი ამ უღელტეხილზე პირველად ამოვიდა. ამ ხნის მანძილზე მრავალი ბრძოლა გადაიხადა, გმირობა ჩაიდინა და ახალგაზრდობისდროინდელი ოცნებაც შეუსრულდა. ის ბელადი გახდა. ახლა კი შეშფოთებული მიეახლა ფიჭვს, რათა მისთვის გული გადაეშალა და ძმად მიჩნეული დათვი–მფარველისთვის შველა ეთხოვა.

განსაცდელი ახლოვდებოდა. მეორე დღეს დიდი ბრძოლა ელოდათ ფერმკრთალკანიანებთან, რომლებიც ინდიელებს მშობლიურ მიწებს ართმევდნენ. ამ ბრძოლაზე იყო დამოკიდებული მისი ტომის ბედი.

ინდიელმა ჩიბუხს მოუკიდა, ხელები წინ გაიწვდინა, ჯერ აღმოსავლეთისკენ დადგა, მერე დასავლეთისკენ მიბრუნდა, მერე ჩრდილოეთისკენ და ბოლოს სამხრეთისკენ შებრუნდა. აი, ჩიბუხი ზემოთ ასწია, მზისკენ გაიწვდინა და მერე დედამიწისკენ დაუშვა. ჩიბუხი მოსწია და ბოლო ჯერ ფიჭვის ტოტებში გამოუშვა, მერე დათვის თავის ქალაში, უკან დაიხია, ხელები აღაპრო და არწივის ბუმბულებით მორთული თავი დახარა.

მდუმარებაში გაისმა მისი მჟღერი ხმა: ო, შენ დიადო ხეო, მთების მცველო, ო, შენ, დათვივს სულო, ჩემო ძმაო. თქვენ ჩემი მფარველები ხართ. მისმინეთ. მხოლოდ ერთს

გთხოვთ: ბრძოლაში ძალა მომეცით, ჩემს დანასა და ცულს შეეწიეთ, რათა ძირს დასცენ ფერმკრთალკანიანები, როცა ისინი სახლ–კარს წაგვართმევენ, ჩემი ხელები გააძლიერეთ, რათა არ დაიღალნენ მშვილდის მოზიდვითა და მტრისთვის ისარის სროლით. დამეხმარეთ, რომ ბრძოლის ველზე მამაცურად ვიბრძოლო. ჩემთვის არ გთხოვთ. ამჟამად ჩემი ხალხის, ჩემი შვილებისა და ცოლის გადარჩენისთვის ვიბრძოლებ, ფერმკრთალკანიანები ინდიელებს ისე ფანტავენ, როგორც ქარბუქი თოვლის ფანტელებს. ინდიელთა მზე ჩადის, ფერმკრთელკანიანების კი ამოვიდა. შარშანდელი თოვლივით ვქრებით. ბრძოლისას ძალა შემმატეთ. თქვენ ჩემი მფარველნი ხართ. ჩემი ძმები. მისმინეთ!

და ბებერმა ფიჭვმა ტოტები შეარხია, მის სიმწვანეში ოხვრა და ჩურჩული გაისმა: “გამაგრდი, ჩვენ შენთან ვართ”.

დათვის ჩურჩულიც მოესმა: “მე შენთან ვარ”.

შესაწირის მირთმევის მერე ინდიელი ქვემოთ, მთის ციცაბო ფერდობზე დაეშვა, ის თავისი ხალხისკენ ესწრაფვოდა. გზაში ეჩვენებოდა, რომ სადღაც უკანიდან უზარმაზარი ნადირის ტორების ხმა აღწევდა და მეომარმაც გაიფიქრა: “ჩემი ძმა, დათვი მომდევს.” ამან სიმამაცე შემატა და მომავალ ბრძოლაზე ფიქრი არ ასვენებდა.

ვიგვამთან მიახლოვებისას, სადაც ბელადთა საბჭო შეკრებილიყო, დაიყვირა:

– მოემრულად ვიცეკვოთ! მოვემზადოთ და გავიმარჯვებთ. დიდი იმედი მაქვს. დაე, ახალგაზრდებმა სხეული მეომრულად მოიხატონ. დოლები დაუკარით, ტკაცუნები ატკაცუნეთ, უსტვინეთ... დაე, მეომრული ყიჟინა ისმოდეს. გამაგრდით, ხვალ გავიმარჯვებთ!” – და კვლავ დაიყვირა: – გამაგრდით!

ეს ის სიტყვა იყო, რაც მას მთაზე დათვისგან მოესმა.

მაგრამ გარიჟრაჟზე, როცა ფერმკრთალკანიანი ჯარისკაცები გამოჩნდნენ, გაირკვა, რომ ისინი ინდიელებთან შედარებით მეტნი და უკეთესად შეიარაღებულნი იყვნენ, ცხენებიც ძლიერ ჰყავდათ. ხმლებით, თოფებითა და რევოლვერებით სიკვდილს “თესდნენ” და არავის ინდობდნენ. ჯარისკაცები ესროდნენ ზურგზე ბაშვებმოკიდებულ ქალებს. ზოგჯერ ერთი ტყვიით ორი კვდებოდა. ხმლით ცელავდნენ ქალიშვილებს, ჭაბუკებს, მოხუცებსა და ბავშვებსაც კი, რომლებიც გაქცევას ცდილობდნენ. ფერმკრთალკანიანებისგან შევიწროებული ინდიელები მთებში, უღელტეხილისკენ მირბოდნენ. მდევარმა

ჯარისკაცებმა ზარბაზნები ვერ გადაიტანეს, დიდი ცხენები კი ციცაბო ფერდობზე ინდიელთა პონებივით[19] ვერ ადიოდნენ.

ინდიელებმა თავიანთ პატარა ცხენებს მოსართავები მოხსნეს და უღელტეხილზე, უსაფრთხო ადგილზე აიყვანეს, თვითონ კი ქვეითად იბრძოდნენ. ერთი მეორეს მიყოლებით ისრებით ცელავდნენ ფერმკრთალკანიან ჯარისკაცებს, მერე უსაფრთებოდნენ, იარაღს ართმევდნენ და მათივე იარაღით ბრძოლას მთებში აგრძელებდნენ.

მერე კი, მდელოზე ფიჭვთან გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა. ინდიელები წმინდანი ხის ირგვლივ მოგროვდნენ. ფიჭვი ბრძოლის შუაში მოექცა. ფიცხელ ბრძოლაში ბელადი თავის გვერდით მრისხანე დათვის სიახლოვეს გრძნობდა და მკლავში ძალა ემატებოდა, ტომაგავკს უფრო მხნედ იქნევდა და ვერავინ ჯაბნიდა. “დათვივითაა” – ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ ინდიელი მეომრები.

ბრძოლის ექო ისმოდა ფიჭვსა და კლდეებს შორის, თითქოს ისინიც ბრძოლის მონაწილენი იყვნენ. არწივები დასტრიალებდნენ და დაჰკიოდნენ სისხლით მორწყულ მიწას.

და დენთის კვამლსა და მტვერს ზემოდან დაჰყურებდა დიდებული, მშვიდი და მკაცრი ფიჭვი, თითქოს მხედართმთავარი გადაჰყურებდა ბრძოლის ველს.

უპირატესობა ინდიელებმა მოიპოვეს. ისინი თავდაუზოგავად, მამაცურად იბრძოდნენ, დაღუპული ოჯახების გამო შურს იძიებდნენ. ახლა მათ ჰქონდათ ხმლები, პისტოლეტები, თოფები. ისინი სამკვდრო–სასიცოცხლოდ იბრძოდნენ. ფერმკრთალკანიანებიც მამაცნი იყვნენ, მაგრამ მძიმე ჩექმები და ვიწრო მუნდირები მათ მოძრაობას აფერხებდა და ამიტომ ფეხმარდ წითელკანიანებს ვერ შეედრებოდნენ.

ინდიელებს ბრძოლაში გაიმარჯვეს. ბელადის წინასწარმეტყველება ახდა და მან შეკრებილ მეომრებს მოუყვა. თუ როგორ დაეხმარა ფიჭვი და მასთან ერთად როგორ იბრძოდა დათვის სული. გადარჩენილმა ინდიელებმა ფიჭვს შესაწირი მიართვა. ახლა ის ორჯერ წმინდანი იყო. მის ჩრდილქვეშ გაიმართა უკანასკნელი, სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლა. დათვის თავის ქალა როკზე ეკიდა. იგი მორთული იყო ბისერით მოქარგული სარტყელებითა და გირლანდებით. ინდიელებმა მადლიერების ნიშნად ფიჭვის ძირას

[19] პონი – ჯუჯა ცხენი.

დააწყეს ბუმბულებით მორთული სამკაულები, საბრძოლო ჩანთები, მოხატული ფარები და სხვადასხვა ძვირფასი ნივთები, ზოგიც ტოტებზე ჩამოჰკიდეს.

ეს გასაკვირი არც იყო. უკვე დიდი ხანია შავფეხიანთა ტომის ბრძენი მოხუცები წინასწარმეტყველებდნენ, რომ სანამ ფიჭვი იდგებოდა, ისინიც იცოცხლებდნენ, მაგრამ თუ ხე დაიღუპებოდა, ინდიელები დიდი ვაკეებიდან განდევნილი იქნებოდნენ. კიდევ ნაწინასწარმეტყველები იყო ის, რომ თუ შავფეხიანები ამ ადგილებს დატოვებდნენ ანდა ამოწყდებოდნენ, მაშინ ფიჭვის ხე მიწაზე დაენარცხებოდა. ახლა კი მის ჩრდილქვეშ გამარჯვებას ზეიმობდნენ.

მაგრამ ფიჭვი შეშფოთებული იყო, დათვის სული კი სევდიანი. როცა ინდიელი მეომრები ბანაკში დაბრუნდებოდნენ და დახოცილებს დაითვლიდნენ, მაშინ?

იქ, დანგრეულ ვიგვამებსა და აბოლებულ კერიებს შორის ქალებისა და ბავშვების დასახიჩრებული გვამები ეყარა. ბელადი მათ შორის თავის ცოლსა და ორ პატარა ბიჭს ეძებდა. ენა ვერ აღწერდა ინდიელთა მწუხარებას.

ბელადმა ბინდბუნდში გაპარტახებული ბანაკი დატოვა და მთებში, უღელტეხილზე ბრძოლის ველისკენ გასწია. ის მდუმარედ იდგა ფიჭვის ქვეშ, მწარედ ოხრავდა და თაფლობის თვის ბედნიერი დღეები ახსენდებოდა. თვალწინ ედგა შავთვალება, მორცხვი ქალიშვილი, რომელიც მიენდო და გააბედნიერა. ცოცხალივით წარმოუდგა მისი სახე, თავს ძლივს იკავებდა, რომ არ აქვითინებულიყო. ბელადი თავს მოერია და ფიჭვის ხესა და დათვს მიესალმა და გამარჯვებისთვის მადლობა გადაუხადა. დიახ, აი ასე იყო! ბელადი "წიწვების ხალიჩაზე", მეომართა შესაწირს შორის პირქვე დაემხო, სახე ფიჭვის მიგრეხილ–მოგრეხილ ფესვს მიადო და აქვითინდა. ახლა ის მეომარი აღარ იყო, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი.

ირგვლივ სიკვდილი გამეფებულიყო. ბელადის მწუხარება არავის დაუნახავს. ფიჭვს მისკენ ალერსიანად დაეხარა ტოტები, დათვის ლანდი კი იქვე ჩანდა. გრიზლი გაუნძრევლად იჯდა და თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო, ალბათ მწუხარებისგან.

დილით ფიჭვის წიწვებიდან ნამი წვეთებად ცვიოდა, თითქოს ბრძლის ველსა და ადამიანებს ცრემლები ეყრებოდა. ინდიელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ეს გამარჯვება აქ, უღელტეხილზე დაიკარგა და დავიწყებული იქნა.

ურიცხვი ფერმკრთალკანიანი შემოესია ინდიელთა მიწა–წყალს. მომთაბარეთა მცრე რაზმებმა მათ შემოსევას ვერ გაუძლეს და მათ უმოწყალოდ ანადგურებდნენ. იქ, სადაც ინდიელები ბრძოლით ვერ დაამარცხეს, ზავს არღვევდნენ, ქვეყანა გააჩანაგეს და ინდიელებს მშობლიური ადგილებიდან აძევებდნენ, ათრობდნენ, ვისკის აჩვევდნენ. მოკლე ხანში მთლიანად გაანადგურეს ბიზონთა ურიცხვი ჯოგები, უმოწყალოდ შებღალეს ინდიელთა ყოფა–ცხოვრება, მათი ადათ–წესები, რწმენა, ენა და ხელოვნება.

ქვეყნიერების ყოველი მხრიდან მიწის საძიებლად მოსული გადამთიელები კალიასავით მოედნენ ინდიელთა მიწა–წყალს. მედიდურები და ხარბები ვისაც ვერ დაიმორჩილებდნენ ან ვერ გამოიყენებდნენ ყველას და ყველაფერს ანადგურებდნენ. ტყეები და პრერიები გადაწვეს, მათ ბოლში შუადღისას მზეც არ ჩანდა. ქვეყანა სასაკლაოს ჰგავდა. უკიდეგანო პრერიები თითქმის გაუვალი იყო მილიონობით დახოცილ ბიზონის ლეშისაგან. მათი ათასობით ხბო, რომელთა ტყავსაც მონადირე–გადამყიდველები ვერ იყენებდნენ, შიმშილით იხოცებოდა.

მცირერიცხოვანი გადარჩენილი ინდიელები საკუთარ ქვეყანაში უსახლკაროდ დარჩნენ და რეზერვაციებში შერეკეს. მათ სახელმწიფო მოხელეები, ჩინოვნიკები განაგებდნენ, რომლებმაც ინდიელებისა ბევრი არაფერი იცოდნენ და არც პატიოსნებით გამოირჩეოდნენ. ზოგმა ინდიელმა თავი შეირცხვინა და მტერს თანამოძმეების წინააღმდეგ ეხმარებოდა. სხვადასხვა ჯურის ნაძირლები, რომლებიც დაქირავებული მკვლელებისგან არ განსხვავდებოდნენ, ინდიელებზე გაუმართლებელი დაუნდობლობით ნადირობდნენ. ისინი კოლონიზატორთა რაზმებს წინ მოუძღოდნენ. კოლონიზატორთა შორის წესიერი ხალხიც ერია, მეტწილად მკვლელები იყვნენ.

წარმოუდგენლად დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული: ერთნი – დამპყრობელნი, მეორენი კი არ თმობდნენ სისხლით მორწყულ მიწას და პრერიების ადამიანები და ცხოველები დაიქანცნენ, ერთმანეთის ნდობა დაკარგეს. იქნებ ადამიანებს უიმედობამ უბიძგა ღალატისაკენ.

სოკოებივით მომრავლდა ქალაქები, სადაც ციხე და სამიკიტნო მთავარი შენობები იყო. აქ, კოლონიზატორთა შორის გაიზარდა ავაზაკთა, მკვლელთა მთები თაობა, რომლებიც მოსახლეობას აწიოკებდნენ, ხოცავდნენ, ძარცვავდნენ და კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.

დაბეჩავებული და ილაჯგამოცდილი ინდიელები მდუმარედ აკვირდებოდნენ მიწის გამო მოჩხუბარ ფერმკრთალკანიანებს.

დასავლეთით ცივილიზაციამ მიაღწია, მაგრამ ახლა თვით დასავლეთი ველურდებოდა. სიმღერებში და რომანებში ნაქები "ველური დასავლეთი" თავისი დიდების ზენიტში იყო.

ამ ცვლილებების მოწმე საუკუნოვანი ფიჭვი თითქოს მონაწილეობას არ ღებულობდა და უტყვი და პირქუში უძრავად იდგა უღელტეხილზე.

მრავალმა წელმა გაიარა ისტორიული ბრძოლის მერე. ამჟამად ყველასგან დავიწყებული ბერიკაცი უღელტეხილის აყვავებული მდელოსკენ მიუყვებოდა დაკლაკნილ ბილიკს. ბერიკაცი ნელა მიდიოდა, ფეხს გაუბედავად ადგამდა, ისე, როგორც ცხოვრებაგამოვლილი და დაქანცული ადამიანები დადიან. ის მარტოდ მდგომ ფიჭვს მიუახლოვდა, რომლის ქვემოთ შორს უკიდეგანო პრერია გადაჭიმულიყო. ბერიკაცი ფიჭვის დაგრეხილ ფესვზე ჩამოჯდა, ფიქრებში ჩაიძირა და შორეთს მიაცქერდა.

ის პრერიებში გაფანტულ ადამიანთა საცხოვრებლებს უცქერდა, ფერმკრთალკანიანთა ხის სახლებს და არა ინდიელთა ვიგვამებს. მათი სახლები ჭადრაკის დაფის მაგვარად სწორკუთხად დაყოფილ მიწაზე იდგა. არსად ჩანდნენ ბიზონთა ურიცხვი ჯოგები. მათგან მხოლოდ ძვლებიღა დარჩენილიყო. ძვლები მაღალ შტაბელებად ეწყო რკინიგზის გასწვრივ, რათა გაადვილებულიყო მათი დატვირთვა სასუქისათვის. თვითმხილველმა ბერიკაცმა ეს ამბავი კარგად იცოდა.

ბერიკაცი მდუმარედ იჯდა დანაღვლიანებული, მისი მზერა უკიდეგანო ვაკისკენ იყო მიმართულიყ

მონადირეთა ბილიკები დღეს გზებად გადაქცეულიყო. თავდაპირველად ბეწვიან ნადირზე მონადირეები გამოჩნდნენ ხაფანგებით, უღრანშიც შეაღწიეს, ბილიკები მიუდგომელ ადგილებამდეც გაკვალეს. მერე მოგზაური–მზვერავები გამოჩნდნენ. უნდა ვთქვათ, რომ ეს მზვერავები მეტწილად მონადირეებს მოსდევდნენ უკან, მაგრამ ხშირად პირველაღმომჩენის სახელს ითვისებდნენ. მათ უკან მიჰყვებოდნენ ტიპოგრაფები, გეოლოგები, მისიონერები, მიწათსარგებლობის აგენტები, ვისკით მოვაჭრენი და მენახირეებისა და მონადირეების გარდა, ალბათ ვერავინ ივარაუდებდა, რომ ბილიკები მარტოდ მდგომი ფიჭვის დამსახურება იყო, რომლის ჩრდილშიც დაღლილ–დაქანცული მგზავრები სულს ითქვამდნენ.

ნადირის მიერ გაკვალულ ბილიკებზე საპალნიანი საქონელი გადაადგილდებოდა, მერე კი გზად იქცა. ეს ხალხი, თავგადასავალთა მაძიებლები ბებერ ფიჭვთან გავლისას ინდიელთაგან მიძღვნილ შესაწირს: იარაღს, სამოსსა და მორთულობა–სამკაულს ხელს გააყოლებდნენ ხოლმე, რამდენსაც დაძრავდნენ.

მისიონერებმა ინდიელებს აუკრძალეს ხეებისა და მზის თაყვანისცემა, რწმენა იმისა, რომ ცხოველებსაც აქვთ სული. ისინი ქრისტიანულ მორალს ქადაგებდნენ, ინდიელებზე ზეგავლენას ახდენდნენ და მხარს უჭერდნენ გადმოსახლებულთა მძარცველურ პოლიტიკას.

დათვის თავის ქალა ისევ ფიჭვის როკზე ეკიდა. ნუთუ ეს შემთხვევითობა იყო? ახლა ვის ეცოდინებოდა თუ რაში იყო მისი იდუმალი ძალა. ის რავის სჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ ცოცხალ დათვზე ჯერ კიდევ ნადირობდნენ. კალმახი კი მთის ნაკადულში დიდი ხანია გაქრა. ნაკადულის პირას ტყე ხანძარმა გაანადგურა და ნაკადულიც თითქმის დაშრა. არწივებიც ამოხოცეს. ისინი ამ ადგილებიდან გადაიკარგნენ, მათი ბუდე კი ქარბუქმა დაანგრია.

ამერიკის პრერიებში თავგადასავალთა გულად მაძიებლებს თან მოჰყვნენ ეგრეთ წოდებული “პროგრესის” რიგითი მიმდევრები. ისინი არაფერს ინდობდნენ. იმ დროის ცივილიზაციის კატორღა–ჭრელი ბრბო მიწის დაუოკებელი შიმშილით, სიხარბე. მათთვის წმინდა არაფერი არსებობდა, ვერაფერს ამჩნევდნენ მიწისა და ოქროს გარდა. ბევრ მათგანს პირველყოფილი ბუნება სძულდა, სძულდა მისი ძირძველი ბინადარნი და თავის მოვალეობად ინდიელთა ამოწყვეტას თვლიდა, რათა პრერია გადაეხნათ და ხორბალი დაეთესათ, რის შემდგომ ლეგენდარული მიდასის[20] მსგავსად შიმშილობა ჩამოვარდა.

ყველა ამ ცვლილების უტყვი მოწმე – ფიჭვის ძირას მჯდარი ბერიკაცი ვერც წარმოიდგენდა, რომ ერთ დღესაც ქვეყანაში შიმშილობა დაიწყებოდა. იმ ქვეყანაში, სადაც ბეღლები ხორბლით იყო სავსე, ადამიანები ჯიუტად თესდნენ მხოლოდ ხორბალს, რადგან ასე იყო დადგენილი. ისინი თავს არნახული მოსავლით იწონებდნენ, ხორბალი სად შეენახათ არ იცოდნენ და ვერც იყენებდნენ. ბერიკაცს ვერ წარმოედგინა, რომ ოდესღაც

[20] ბერძნული მითოლოგიით ფრიგიის მეფე მიდასმა ღვინის ღმერთს დიონისეს სთხოვა, რომ რასაც ის ხელს შეახებდა, ოქროდ გადაქცეულიყო, მაგრამ როცა საკვებიც ოქროდ იქცა, მაშინ მიდასმა დიონისეს სთხოვა, რომ ამდენი ისიმდიდრისგან გაეთავისუფლებინა.

ნაყოფიერი პრერიები მტვრიან უდაბნოდ იქცეოდა, სადაც კაკტუსი და ჩხრიალა გველცი ვერ გაძლებდა.

ბერიკაცი დაჟინებით უცქერდა შორეთს. იქ მისი სამშობლო, დღეს კი მისთვის აკრძალული მშობლიური ადგილები გადაჭიმულიყო. ის ინდიელი იყო. ეცვა დაკერებული მოჯაჯული შარვალი, დაპატარავებული ქურთუკი და გაცვეთილი ბათინკები. განიერ ფარფლიანი შლაპიდან ჭაღარა თმა მოუჩანდა. ეს ბერიკაცი, ოდესღაც ბელადი დღეს ჩამოძონძილი უსახლკარო გამხდარიყო. ის პურს სთხოვდა მათ, ვინც ყველაფერი წაართვა და მათი ნახმარი ტანსაცმელი ემოსა. არც თეთრეული ჰქონდა და არც წინდები. ყელზე წმინდანის გამოსახულებიანი იაფი პატარა ხატი ეკიდა.

მრავალჭირგამოვლილი ინდიელი წელში მოხრილიყო და საცოდავად გამოიყურებოდა. მის იერს, ჭკვიან თვალებს ღირსების გრძნობა ეტყობოდა, ჩაფიქრებულს თითქოს სახე გაქვავებოდა. ხატს ხელით შეეხო, უცებ გამოერკვა და დახედა, ზონანი გაწყვიტა და კლდეზე დანარცხებულმა პატარა ხატმა ძლივს გასაგონად გაიჟღრიალა.

ინდიელი წამოდგა, შეტორტმანდა, დანაოჭებული სახე პირქუში გაუხდა და თვალებში რისხვა ჩაუდგა, მახინჯი ფეხსაცმელი ზიზღით გადააგდო, მათხოვრული ქურთუკი შემოიხია და შლაპაც მოისროლა. და აი, იდგა წელამდე გაშგიშვლებული, მის ველურ დიდებულებას ოდინდელი ვაჟკაცური იერი დაჰკრავდა. მან ფიჭვის ღეროს იმ ადგილას დახედა, სადაც ძველი იარა თითქმის ქერქს დაეფარა.

ინდიელმა რამდენიმე ნაბიჯი გაუბედავად გადადგა და დათვის თავის ქალა მონახა. ტყავის თასმა, რითაც ოდესღაც ყბები მიამაგრა, დიდი ხანია გახრწნილიყო და ქვედა ყბა მიწადე ეგდო. ინდიელი დათვის თავის ქალას მიეყრდნო, ჭაღარაშერეული თავი ზემოთ ასწია, ფიჭვის ამწვანებულ ტოტებს ისე უცქერდა, როგორც მის თავზე ტაძრის გუმბათს და ოდესღაც ინდიელთა ბელადმა, წარმოთქვა: ო, ფიჭვო, ჩემო ქომაგო, ორივემ დიდხანს ვიცოცხლეთ, იმდენი, რამდენიც გვეწერა. ფრიად დიდხანს ვიცოცხლეთ, დიდხანს. წარსული ჩვენს ფეხებთან ძონძებივით ყრია და დაე ეყაროს. თუ ავიღებთ, დაიფლითება და სამარადჟამოდ დაგვავიწყდება. მათგან, ვინც ჩვენი დიადი წარსულის მოწმე იყო, მხოლოდ ჩვენ, ორნი დავრჩით. მხოლოდ ჩვენ გვახსოვს. დიდხანს აღარ მოგვიწევს მოგონებათა ტვირთის ზიდვა. ასეთი მძიმე ტვირთი მხოლოდ ჩვენ ორს გვერგო. ჩვენი ხალხი დაიღუპა, ფერმკრთალკანიანებმა ყველაფერი დაისაკუთრეს. ახლა, ჩვენი საქმე დასასრულს უახლოვდება. ჩემი და შენი. სანამ ზამთარი შენს ტოტებს დაათოვს და ავი ქარბუქი ტყეში

იბობოქრებს, მე მას შევხვდები, ვინც ჩემი ვაჟების დედა იყო, ვნახავ ჩემს ძმას, დათვს, მისი სული ჩემთან ერთად იბრძოდა აქ, ამ ადგილას. მალე შენც უკან გამოგვყვები. ინდიელები ამოწყდნენ და მალე შენც აღარ იქნები. ეს იმ შორეულ წარსულში ბრძენმა ხალხმა თქვა, ვინც შენ ახალგაზრდობისას გიცნობდა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ითქვა. წინასწარმეტყველება უნდა ახდეს. და როცა შენ ჩვენთან, მარადისობაში გადმოხვალ, ჩვენ სულის მოსათქმელად კვლავ შენს ჩრდილში დავსხდებით და წარსულს გავიხსენებთ. და უზარმაზარი დათვი – ჩემი ძმა ჩვენთან იქნება და ყველაფერს მოისმენს. ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ვმეგობრობდით. დიადი სული მოწყალეა და არ გაგვყრის. ვერც ერთი კაცი, როგორი ჭკვიანიც არ უნდა იყოს, ვერ იტყვის, რომ მხოლოდ მან, ერთადერთმა უნდა იცხოვროს მარადისობაში. ჩემო მრავალი წლის მეგობარო, იმ დრომდე თავს გაუფრთხილდი. ო ფიჭვო, დიადო დათვო, ჩემო ქომაგნო, მისმინეთ...

ინდიელი დადუმდა. ჯიბეში ხელი ჩაიყო, მწიკვი თამბაქო ამოიღო და დათვის თავის ქალაში ფრთხილად ჩადო. ეს შესაწირი იყო. მერე მოხუცი ბელადი დაჯდა. ფიჭვს მიეყრდნო, მაგრამ ფიჭვს უკვე აღარ შეეძლო მისთვის სიცოცხლე შთაებერა. ბელადი იჯდა, დიდ ვაკეს თვალს ვერ აცილებდა და ხის შრიალს უსმენდა. ეს იყო მომნუსხველი სილამაზის ჩუმი, გაბმული საგალობელი.

და მაშინ, როცა მოხუცი ინდიელი მშვიდად იჯდა, პრერია თითქოს ნისლმა დაფარა. აღარც ფიჭვი შრიალებდა.

ინდიელი ბერიკაცი მარადისობაში გადასახლდა.

ორასი წლის წინათ სწორედ ამ ადგილას მოკვდა დათვი–გრიზლი.

ფიჭვმა იცოდა, რომ მისი უკანასკნელი მეგობარიც მოკვდა და ახლა მისი რიგი იდგა. ასე იყო, ვინც მას თაყვანს სცემდა, მის სიცოცხლეშივე კვდებოდნენ.

იმ ღამეს მთებში ჭექა–ქუხილი გაისმა. მარტოდ მდგარი ფიჭვი აქეთ–იქით ირწეოდა, ელვის თვალისმომჭრელ შუქზე მკვეთრად ირჩეოდა მისი ჩამუქებული ლანდი, თითქოს კრუნჩხვებით იტანჯებოდა სიკვდილის წინყ

მეორე დღეს გამვლელმა მხედრებმა ინდიელის უსულო სხეული შენიშნეს და იქვე გზასთან მიწას მიაბარეს. ერთმა მათგანმა როკზე მიბმული დათვის თავის ქალა ჩამოგლიჯა და დანაგვიანებულ ნაკადულში მოისროლა.

არც ისე დიდმა ხანმა გაიარა და გადაწყვიტეს, რომ აქ განიერი შარაგზა გაეყვანათ. მოვიდნენ ინჟინრები, ენერგიული, თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტები და ბუნების

სილამაზით დატკბნენ. მოინდომეს, რომ ბუნება გარდაექმნათ და ადამიანის სამსახურში ჩაეყენებინათ. უღელტეხილის უხუცესი დარაჯი – ფიჭვი საქმეში ხელს უშლიდათ და გადაწყვიტეს მოეჭრათ.

და უხუცესი ხე მოთმინებით ელოდა აღსასრულს. გაისმა ცულის ხმა. ფიჭვი ცულის უკანასკნელ დაკვრამდე იდგა მთელი თავისი დიდებულებითა და კეთილშობილებით. მერე კი შეტორტმანდა... და დედამიწისკენ უკანასკნელ გზას დაადგა. ფიჭვის კენწერო მოწყვეტით დაეცა აყვავებულ მდელოზე, სადაც კენკრა დამწიფებულიყო. ფიჭვი უღელტეხილზე დაენარცხა.

შავფეხიან ბრძენთა წინასწარმეტყველება ახდა, ფიჭვი მათი ხალხის ამოწყვეტის მერე დაიღუპა.

მთები მშვიდად უცქერდნენ ყველაფერ ამას. მათ ხომ იცოდნენ, რომ ხეები და ადამიანები იხოცებოდნენ, თვითონ კი მარადიულნი იყვნენ.

ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იმ დროს, როცა უკანასკნელად გაისმა ცულის ხმა, უღელტეხილზე არწივის ბუმბულებით მორთული ინდიელი გამოჩნდა, სულ ერთი წამით გამოჩნდა და გაქრა.

მას უზარმაზარი დათვი – გრიზლი ახლდა.

ავტომობილი, რომელმაც ყველა ადრე გამოგონებული გადაადგილების საშუალება დაჩრდილა, მთებში გაყვანილ ახალ გზაზე მიჰქროდა. მანქანაში ორი მგზავრი იჯდა. მშვიდ, ჩაფიქრებულ მძღოლს ლამაზი, გამხდარი ხელები ჰქონდა, მისი მგზავრი კი პირქუშად გამოიყურებოდა, თვალები დასიებოდა და ღაბაბი ჩამოშვებოდა. სქელტუჩებას თითებზე ბეჭდები ეკეთა და სიგარას ეწეოდა.

ავტომობილი კლდოვანი მთების უღელტეხილს აუყვა. მათ უკან პრერიის საოცარი ხედი ჩანდა. ახალგაზრდამ მანქანა გააჩერა და აღტაცებულმა წამოიძახა:

– უყურეთ ამ დიდებულ მთებს! რა სილამაზეა!

მგზავრმა ცამდე აზიდულ მთებს გახედა და მიუგო:

– ჩემს წარმოებაში ვერ გამოვიყენებ.

ზედ გზასთან ცოტა ხნის წინათ მოჭრილი ფიჭვის უზარმაზარი ძირკვი ამართულიყო. მგზავრმა პირიდან სიგარა გამოიღო და ძირკვისკენ გადააფურთხა.

ავტომობილმა გზა გააგრძელა.

წითურმა ციყვმა გზა გადაირბინა, პირში ფიჭვის გირჩა ეჭირა. გირჩა სადღაც მთის მდელოზე დააგდო და იმ წამსვე დაავიწყდა.

გამოთხოვება

მე დავეხეტებოდი აბიტიბის[21] ჩამუქებულ, დაჭაობებულ ადგილებში. ვშიმშილობდით შეუსწავლელი ჩრდილოეთის მკაცრ უდაბნოში, ბილიკებს ვკვალავდი შორეული ტემისკაუატას გაუვალ კედრნარებში. ერთხელ ზფახული მხედრის მთაზე გავატარე, მის თვალწარმტაც ოაზისში. მისი ვერხვნარები და აყვავებული ფერდობები ზურმუხტისფერი კუნძულივით მოჩანდა მანიტობის[22] ხორბლის ყანებს შორის. ამჟამად ვცხოვრობ სასკაჩევანის[23] ჩრდილოეთის უკიდეგანო წიწვიანი ტყეების ტბათა შორის.

თითოეული ეს ადგილი, როგორც ნებისმიერი დაუსახლებელი ადგილი, თითქოს ჯადოსნური ძალით გიზიდავს, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო. ყველგან მენატრება ჩრდილოეთ ონტარიოს[24] მკაცრი, რომანტიკული დიდებულება, მისი მთაგრეხილები, ურიხცვი ღრმა ტბები და სწრაფი მდინარეები. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ამჟამინდელი საქმიანობით დიდ კმაყოფილებას განვიცდი, რაც დიდ პასუხისმგებლობას და მოვალეობას მაკისრებს, მიუხედავად ამისა წარსულის მოგონებები მაინც არ მასვენებს. ეს მოგონებები ჩემი ახალგაზრდობის გარდასული უშფოთველი დღეების მოგონებებია, როცა ონტარიოს ველურ მთიანეთში მსუბუქად, თავისუფლად დავეხეტებოდი, როცა მთელი ჩემი ავლადიდება ჩემს საყვარელ სწრაფ კანოეში ეტეოდა, ზამთრობით კი გაყინული ტბის ნაპირზე სახელდახელოდ აგებულ ვიწრო ქოხში.

იმ დროში ერთი სტრიქონიც არ დამიწერია და არც მიფიქრია, რომ ოდესმე დავწერდი, მაგრამ მაშინაც კი, იმ შორეულ დღეებში ვგრძნობდი, რომ ველური ბუნება სახეს იცვლიდა, ქრებოდა, რომ ეს მისი უკანასკნელი გაბრძოლება იყო, ჩვენ კი უკანასკნელნი ჩვენს მოდგმაში.

ერთხელ ვეშეგამინგის საჭაპანო ბილიკის სიახლოვეს სერის თავზე ვიჯექი და ლაჟვარდისფერი ტბის ცქერით ვტკბებოდი. ტბა ძირფასი ქვასავით იჯდა ტყის სიმწვანეში. შორს, მთაგრეხილის დასავლეთ ფერდობზე ჩანჩქერთა კასკადი ქუხდა, სადაც გოლიათი

---

[21] აბიტიბი– ტბა კანადაში, ონტარიოს შტატში.
[22] მანიტობა – შტატი კანადაში.
[23] სასკაჩევანი – შტატი კანადაში.
[24] ონტარიო – შტატი კანადაში.

ფიჭვები დამწკრივებულიყვნენ. ირგვლივ მდუმარება გამეფებულიყო, მიდამო ნისლს დაეფარა, თითქოს ვიღაც ჯადოქარი ნანინათი აძინებდა, თითქოს შორეულ სერებს მუქი მწვანე ხალიჩა გადაფარებოდა და ამ ხალიჩაზე ტბები ვერცხლისწყალივით ლაპლაპებდნენ.

მთის ძირას სილიან ნაპირზე გარკვევით ჩანდა ჩემი ამხანაგების ნავები. თვალს ვერ ვაცილებდი შორს მჩქეფარე მდინარეს, რომელსაც ბედისწერა ყველა მდინარის სამარისაკენ – ოკეანისკენ მიაქანებდა. გაზაფხულობით მჩქეფარე და ბობოქარი, შემოდგომით კი ზარმაცი და დაღლილი.

მინდოდა მდინარის იდუმალება შემეცნო. ვფიქრობდი, ნუთუ როცა ოკეანეს შეუერთდება და მიხვდება, რომ უკან ვეღარ დაბრუნდება, მოენატრება ტყიანი მთები? იდარდებს უშფოთველი, მხიარული დღეების გამო?

მე ოცნებებში წავედი, ჩემი ამხანაგები კი მიცდიდნენ. “დროა ნაპირს მოვცილდეთ”. – მესმოდა ნაპირიდან.

მე ქვემოთ დავეშვი და შორეულ, ძნელ გზას დავადექით. ჩემს ამხანაგებს ჩემი იმედი ჰქონდათ და ვერ ვუღალატებდი. ასეთი გულადი ვაჟკაცებისგან დაფასება მხედრული მამაცობისათვის ჯილდოს უდრიდა. შემდგომში სხვა ასპარეზზეც გავითქვი სახელი, უფრო სასარგებლო შრომაში, მაგრამ აღარასოდეს განმიცდია იმაზე მეტი სიხარული და კმაყოფილება, რაც იმ ბედნიერ წუთს, როცა შემთხვევით მომესმა: “მთელს ქვეყანაზე ასეთ გაბედულ მენიჩბეს ვერ იპოვით”. ამას პირადად არასდროს მეუბნებოდნენ.

თავის ქებაა? იქნებ ასეცაა. იცით პროფესიონალი მენიჩბისა და მოთხილამურის პატივმოყვარეობის მწველი სიხარული და სიამაყე? ეს ჩემს ცხოვრებაში ნამდვილად ერთადერთი მიღწევაა, რითაც ვამაყობ. მრავალმა წელმა გაიარა, ბევრი ვიშრომე, ბევრჯერ შევებრძოლე მისსისსაუგას და სხვა შორეულ მდინარეებს, სანამ მრავალჯერ ვაჩვენე ჩემი გამძლეობა, რათა ქება დამემსახურებინა და უნებურად გამეგო. ასე რომ გადამავიწყდა, ჩემი ფიქრები რომ ჩამეწერა და ჩემს პირველ სიყვარულს – კანოეს მივუბრუნდი. წერა მრავალი წლის მერე დავიწყე.

ოდესღაც დავეხეტებოდი. ნიჩაბი, სათევზაო ბარჯი და თხილამურები მემარჯვებოდა, ახლა კი კალამი მიჭირავს. ჩემს კანოესთან წყლის ალერსიანი ჩურჩულისა და ქარბუქის მღელვარე სიმფონიის ნაცვლად ჩემი საბეჭდი მანქანის კაკუნი მესმის და გული მწყდება, რომ მის გარეშე არ შემიძლია. მდინარეზე ჩვენი მენიჩბეების მხიარული სიმღერის ნაცვლად რადიოში მესმის მოქალაჩუნო მამაკაცების სევდიანი ხმა, რომლებიც გაუზიარებელ

სიყვარულზე ჩივიან. პირადი დარდი და ხელმოცარულობა მათი სიმღერების ძირითადი თემაა, სრული უმწეობით წუხან თავიანთ ბედზე. ისინი იაფი სენტიმენტალობითა და ვულგარული მუსიკით შეურცხყოფენ ყველაზე ამაღლებულ და კეთილშობილ გრძნობას – სიყვარულს.

ერთხელ ნამდვილი ამბავი წავიკითხე, რომ ფინანსისტების ჯგუფმა მგლების ხროვასავით გაანადგურა თავიანთივე მოძმე, გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენგა მისი ოჯახი, ცოლი და შვილები იმის გამო, რომ ის არ გამოდგა მოხერხებული და ფხიანი, რომ მათთვის მეტოქეობა გაეწია. მერე კი წავიკითხე ერთი ნიჭიერი ბიჭის – არტისტის შესახებ, რომელსაც ნათესავები ფასკუნჯების გუნდივით დააცხრა, რათა მისი სიმდიდრით ესარგებლათ.

და როცა ჩემი ქოხის კართან, საფეხურზე ვზივარ და ყველაფერ ამას განვსჯი, ამ დროს უცებ ჩიტის გალობა და ჩამოცვენილი ფოთლების შრიალი მშობლიურ მხარეს მახსენებს და მეც მეხსიერების ლაბირინთებში დავეხეტები. მოგონებები არ მასვენებს, ნადირთა ბილიკები მენატრება და ყურში თხილამურების ხმა მესმის, ამაოდ ვუცქერ შორეთს, თითქოს ნაპირთან კანოე შევნიშნე, კვლავაც ვგრძნობ დიდი ხნის წინათ ჩანავლებულ კოცონთა ბოლის სურნელს, თვალწინ მიდგას დიდ ხნის წინათ გარდაცვლილ ადამიანთა სახეები და ლანდები. წარსულიდან ჩემკენ იწევენ და მეჩვენება ჩემთვის უცნობი, უხეში, ძლიერი, კეთილი, ნიჩბის მოსმით დაკოჟრილი ხელები. ტყეების პატარა, მიმნდობი ბინადარნი დაძვრებიან, ხმელ ფოთლებს აშრიალებენ და შორეული წარსულიდან მესალმებიან. ჩემთან ერთად მოემართებიან უხილავი არმიის მწყობრი კოლონები ველური, იდუმალი და რომანტიკული მდინარე მისსისსაუგასკენ. ცოტამ თუ შეძლო თავისი გამძლეობითა და შემართებით გაემარჯვა მის მქუხარე ჩანჩქერებზე. ბევრმა აღიარა ამ მდინარის დაუმარცხებლობა.

ის ხომ ჩვეულებრივი მდინარე არაა, არამედ მდინარეთა დედოფალი ანდა აღმოსავლეთის მეომარი ხელისუფალი, რომელიც თავის ურდოებს კონტინენტების წასალეკად გზავნის. აი ასეთია მისსისსაუგა–ინდიელთა დიდებული ჩანჩქერი. მდინარე გაშმაგებული მიედინება კლდოვან ნაპირთა შორის, ორასი მილის მანძილზე კი ტყეზე გაედინება და ოთხი ათასი კვადრატული მილის ფართობზე ურიცხვი შენაკადებისგან იღებს ხარკს. დაუმორჩილებელი და ბობოქარი მისსისაუგა ამ მიწაზე მეფობს და ადამიანი ისე იცურებს კანოეთი მრავალი დღის განმავლობაში, საჭაპანო ბილიკებს გაივლის,

მდინარეთა და ტბათა ქსელში, ტყეებში იხეტიალებს და ბუნების ცქერით ისე დატკბება, რომ ძლევამოსილი მისსსისსაუგას სამფლობელოს არ გასცდება და დედამიწის ზურგზე ადამიანი არ არსებობს, ვისაც მასზე ყველაფერი ეცოდინება. ვფიქრობ, არსებობს მორევები, ჭორომები, ჩქერები, ტბორები, ტბები, ნაკადულები, რომლებიც ჯერ არავის უნახავს, ინდიელებსაც კი. ასეულობით მილის მანძილზე გადაჭიმულ ხელუხლებელ ტყეებში ადამიანის ნაკვალევს ვერსად ნახავთ.

როგორც ყველა არსება, მდინარეც თავისებური ხასიათისაა და მთელ თავის სიგრძეზე სხვადასხვანაირია! ზოგ ადგილას მუქი, პირქუში ნაკადია, ძლიერი და ღრმა, ქარაფებს შორის მოქუხს, მერე მთის პირქუშ ხეობაში იჭრება, მერე ხეობიდან თავს დაიხსნის, აბობოქრდება და აღრიალდება, მაგრამ უკვე მოლივლივე ტალღებად გადაიქცევა და სილიან მეჩეჩს ელამუნება.

მდინარე უკვე მდოვრედ მიედინება, თითქოს ჩაფიქრებულა და ბუტბუტებს, როგორც სიზმარში, მერე თვალწარმტაც ტბად გადაიქცევა, რომელსაც კლდოვანი კონცხები და ფიჭვნარი აკრავს.

ტბათა შორის მრავალი ჩქერია. გაშმაგებული მდინარე კლდოვან ნაპირებს შორის საშინელი, დამანგრეველი ძალით ეხეთქება ლოდებს და კლდეებს. ეს ნამდვილი ჭორომებია. მდინარე მენიჩბეებს გამოიწვევს. მაშინ ზოგიერთი, ფრთხილი საჭაპანო ბილიკით გვერდს აუვლის, მაგრამ მხოლოდ გამოცდილი მოგზაურები და გულადი მენიჩბეები იღებენ ძლევამოსილი მისსისსაუგას გამოწვევას და თავიანთ სიცოცხლეს სასწორზე დებენ. ზოგი ჭორომი მჩქეფარე, მზაკვარი, ძნელად გადასალახია და მოკლე მანძილზე ვრცელდება, ზოგი კი უფრო ძმშვიდები" ერთი მილის მანძილზე, ხანდახან სამი მილის მანძილზეც ვრცელდება. ყველაზე ცნობილი ჭორომი ოცი მილის სიგრძისაა, ჩანჩქერების კასკადი და ჩქერები. აქა–იქ, თითქოს სულის მოსათქმელად პატარ–პატარა ტბებია. ოცი მილი წყლის გამაყრუებელ ხმაურში და სუნთქვაშემკვრელ სისწრაფეში და ხიფათის მოლოდინში. ასეთია სახელგანთქმული ჭორომი "ოცი მილი".

ისეთი ფორომებიცაა, ვერავინ რომ ვერ გადალახავს, როგორი სპორტსმენიც არ უნდა იყოს. ხან აქ, ხან იქ გადააწყდება მქუხარე ჩანჩქერებს, რომლებიც ქარაფიდან აქაფებულ მდინარეში ეშვება (სადაც ზოგჯერ მსხვილ თევზასაც კი დაიჭერთ).

მდინარის ნაპირებზე უღრანი ტყე გუგუნებს. ტყე აღმოსავლეთით და დასავლეთით ასეულობით მილის მანძილზე ვრცელდება. აქ მრავალფეროვანი მცენარეულობა და

ხედებია. ერთი მეორეზე მშვენიერი, თვალწარმტაცი ხედები. აქ ნახავთ ვერხვნარებს, დატკბებით მათი თეთრი ღეროებისა და მთრთოლავი ფოთლების, მოფარფატე ჩრდილების ცქერით. თქვენ ნახავთ ტირიფის, კოპიტისა და მურყნის შერეულ უღრანს, არყისა და ნეკერჩხლის ხეებს, იისფერ მდელოებსა და მდუმარე ფიჭვნარს.

ალაგ–ალაგ მდინარის ნაპირებზე გრანიტის კლდეებია და მათ შორის ყველაზე ხნიერი კიუეიდინი მდინარეს გადმოჰყურებს. მის კლდოვან საფეხურებს ჯუჯა ხეები სიცოცხლის გადასარჩენად ჩაჭიდებიან. უხსოვარი დროიდან კლდოვანი ქარაფები წვიმას და თოვლს უცნაურად გამოუქანდაკებია. ზოგი ზის, ზოგი დგას, ზოგიც წინ გადახრილა, ყველა გარინდებულა და სარკაზმული ღიმილით მდინარეს გადაჰყურებს. ბოლოს, თითქოს დაუსრულებელი წარმოდგენის ყურებით დაღლილი მთაგრეხილი მკვეთრად იცვლის მიმართულებას და როგორც დამცავი კედელი ქვეყნის სიღრმისკენ მიემართება.

აქ მოგროვილი საავდრო ღრუბლები აბობოქრებულ და მქუხარე მისსისსაუგას და მის გასწვრივ მთაგრეხილს დაჰყურებენ.

მდინარის უკან, შორს, შორს, სადაც მისი გუგუნი არ ისმის, მდებარეობს "ქვეყანა, სადაც არასოდეს არაფერი არ ხდება", სადაც მარადიული ათასწლოვანი მდუმარება გამეფებულა.

მე და მრავალი საიდუმლოს მცოდნე მდინარემ ბევრი გულადი მენიჩბე ვიცოდით. მათი ღმერთი სისწრაფე იყო, დევიზი კი "მიაღწიე, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, მიაღწიე".

ველური ბუნების ქალიშვილს, ქედმოუხრელ მდინარეს ალბათ ეწვევვიან ხოლმე წარსულის აჩრდილები. ისინი რიტმულად იხრებიან, ხან წინ, ხან უკან, კანოეში ნიჩბებს უსვამენ, ფიჭვნარის ჩრდილში უხილავი ტვირთმოკიდებულნი უხმოდ კვალავენ საჭაპანო ბილიკებს, ყიჟინით მიჰყვებიან მდინარის აბობოქრებულ ტალღებს. მათი ყიჟინა ადამიანის ყურს ვეღარასოდეს მისწვდება.

მეჩვენება მოფარფატე აჩრდილები. საჭაპანო ბილიკებზე ჩემს ყურს სწვდება თითქმის მივიწყებული, მაგრამ ჯერ არ დავიწყებული ნაბიჯის ხმა.

ტყის სიმწვანეში ჩემს ზემოთ თეთრგულა ასპუჭაკას გალობა გაისმა. მეჩვენება, რომ თითქოს მდინარის ღრიალი მესმის, შორეულ ჩანჩქერთა გუგუნში თითქოს გარდაცვლილთა სულები საუბრობენ.

პატარა ჩიტის მელოდიურმა გალობამ მდუმარება დაარღვია. სევდიანი, უსაზღვროდ მშვენიერი მელოდია გაისმა, როგორც დაღუპულ ამხანაგთა დასაშმვიდობებელი საგალობელი. ის ისმოდა ჩემს ზემოთ, მერე კი სულ მდუმარება და მდუმარება...

ეული ცხენ–ირემი

ერნესტ სეტონ–ტომპსონმა ივარაუდა, რომ ცხოველები მაშინვე გრძნობენ ადამიანი მათდამი კეთილად არის განწყობილი თუ მტრულად. ჩვენი ტყის ბინადრებზე დაკვირვებით მეც ასე ვფიქობ. აღვნიშნავ, რომ ყველა ცხოველი ყოველთვის სწრაფად ვერ ერკვევა ჩვენს მოქმედებაში. ჩვენი ოთხფეხი ხმები ზუსტად ვერ ერკვევიან დადევნებული ადამიანის მიზანში, მაგრამ ბუნების ბოძებული ალღოთი, რითაც ადამიანის მათდამი ურთიერთობას გრძნობს, ყველაფერ ამის მიუხედავად ისინი ხან ფრთხიან, ხან კი გულგრილნი რჩებიან. ვერ დავადასტურებთ, რომ ცხოველებს შეუმცდარი ალღო აქვთ, მაგრამ ხშირად ცდებიან, მათ თავდაცვის ინსტიქტი აიძულებთ, რომ ზედმეტად ფრთხილები იყვნენ.

უხსოვარი დროიდან ინდიელები და საერთოდ მონადირეები დაუწერელ კანონს იცავენ, რომ საშიში ნადირის მოსანადირებლად მას დაჟინებით არ უნდა უყურო ანდა არ უნდა იფიქრო, რომ აუცილებლად მოინადირებთ. ნადირი ადამიანის განზრახვას გრძნობს და ეს მონადირისთვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

იმ ადგილებში, სადაც ტყის ნადირი ადამიანს იშვიათად შეხვედრია, მისთვის ადამიანი ცნობისმოყვარეობის საგანია. ასეთი მოულოდნელი შეხვედრისას ნადირი ადგილზევე შეჩერდება და ადამიანს გაკვირვებული მიაცქერდება. ადამიანზეა დამოკიდებული ცხოველი კეთილ მეზობლად ჩათვლის თუ მტრად. ალბათ ცოტა ხანმა გაიარა, რაც ადამიანი ტყის უღრანში დასახლდა და თავისი თავხედური საქციელით ტყის ნადირ–ფრინველი გადაიმტერა. თუ ადამიანი მოთმინებით კეთილგანწყობას გამოიწვევს და რომელიმე მათგანი რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯის მერე ხშირად ეწვევა მათ ტყეში დასახლებულ უცნაურ ორფეხა არსებას.

ჩრდილოეთი ამერიკის ფაუნიდან პრეისტორიული დროიდან დღევანდლამდე მხოლდ ცხენ–ირემმა, თახვმა და ბიზონმა მოაღწია. მხოლოდ ისინი შეეგუენ კლიმატის ძირეულ ცვლილებებს, რის გამოც გდაშენდნენ. მაგალითად, დინოზავრი და სპილო. ბიზონთან ურთიერთობა არასდროს მქონია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რომელიღაც ღირსშესანიშნავი შემთხვევისას ორმოცდაათი წლის წინანდელი მზეზე გამოყვანილი

ბიზონის ხორცით გამიმასპინძლდნენ. საფუძვლიანად ვვარაუდობ, რომ ჯოგური ინსტიქტის ცხოველები, როგორიცაა მაგალითად ბიზონი, გონებრივად უფრო განვითარებულები არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც ოჯახებად ანდა ცალად ცხოვრობენ. მგონია, რომ თახვები და ცხენ–ირმები სიბრძნით გამოირჩევიან, რაც მათ თავიანთი შორეული წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გადმოეცათ. ჩვენ თახვისგან ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს ველოდებით, მისი ყოფა მისგან გონიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვას მოითხოვს, ცხენ–ირმისაგან კი ამას არ ველოდებით, თუმცა ვაფასებთ მის მომხიბვლელობას, მახვილ სმენას და არსებობისათვის ბრძოლაში გამომუშავებულ თავისებურ ცბიერებას. არც ისე დიდი ხნის წინ ცხენ–ირემი შემომეჩვია. ცხენ–ირემი გონებაჩლუნგი მეგონა, სანამ რვა წლის მამრი ცხენ–ირემი არ დამიახლოვდა, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში დროდადრო მაკითხავდა ხოლმე. მასზე დაკვირვებით მე და ჩემი მეგობრები დავრწმუნდით იმაში, რომ ის აზროვნებს და თითქმის მყისიერად რეაგირებს.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ის მშვიდად წამოწოლილა ჩემი კანოეს სიახლოვეს და იცოხნება, დროდადრო კმაყოფილებისგან ხორხისმიერ ბგერებსაც გამოსცემს. კანოე მას ცოტათი იცავს აღმოსავლეთის ქარისაგან. თუ ის ჩემი ქოხის უკან გაჩერდებოდა, როგორც შანშან, მაშინ ქარისგან უკეთ იქნებოდა დაცული. ამჟამად კი ღია ადგილიდან ირგვლივ რაც ხდება ყველაფერს ამჩნევს, ჩემს საქმიანობასაც კი, რისადმიც დაუფარავ ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებს. ციყვები და ჩხიკვები ცნობისმოყვარეობითა და ცოტა უკმაყოფილოდაც უყურებენ ცხენ–ირემს, ის კი ყურადღებასაც არ აქცევს მათ.

როცა აქ დავსახლდი, მალევე მივხვდი, რომ ამ ადნგილებში ცხენ–ირემი ბინადრობდა. ხშირად წამიერად თვალი მომიკრავს, მასთან დაახლოება არც მიცდია, პირიქით თავი შორს მეჭირა.

იმ ზაფხულს რამდენიმე ვერხვის ხე მოვჭერი, რათა ფოტოგრაფირებისათვის მეტი სინათლე ყოფილიყო. შევნიშნე, რომ ცხენ–ირემი ღამღამობით მოიპარებოდა და მოჭრილი ხეებიდან ფოთლებს წიწკნიდა. ორი კვირა გაგრძელდა მისი სტუმრობა ღია სასადილოში, სანამ ფოთლები სულ არ შემოაჭამა. ამ დროს შორიახლოს ვიდექი და ჩემი სტუმრის “ქეიფს” ვაკვირდებოდი. შევამჩნიე, რომ ზოგჯერ ცხენ–ირემი ჩემს ქოხთან ახლოს მოდიოდა, ხანდახან მოფარებულად უცქერდა ჩემს სამყოფელს. თახვების მშენებლობაზე დაკვირვებისას შემინიშნავს როგორ დაეხეტებოდა უახლოესი სერის თავზე. ის განაკაფშიც

არ გამოსულა, მაკვირდებოდა, თუ როგორ ვჭრიდი ხეებს. მე საქმეს თავს არ ვანებებდი და თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს ვერც ვამჩნევდი, თახვებმა კი ცხენ–ირმის ყურადღება განსაკუთრებულად მიიქციეს. ეს ნათლად ჩანდა. ბოლოს ცხენ–ირემი სერიდან გაბედულად დაეშვა, ტბის სიახლოვეს შეჩერდა და თახვების საქმიანობას აკვირდებოდა. თახვები კი ერთად მოგროვდნენ და კუდების წყალზე ტყაპუნით ერთხმად მიესალმნენ. ცხენ–ირემი სულაც არ შეცბა, არ შეშინდა და უფრო მიუახლოვდა, რათა ენახა რაც ხდებოდა.

ცხენ–ირემი თითქმის ნახევარ ტონას იწონის და თახვებისთვის შეიძლება ევნო კიდეც, ამიტომ ქოხიდან გამოვედი, სადაც სარკმლიდან ვაკვირდებოდი. ჩემს დანახვაზე ცხენ–ირემი შემობრუნდა და სერისკენ გაიქცა. მე თახვებს მოვუხმე, რათა დამემშვიდებინა. სწორედ აქ მოხდა ყველაზე საყურადღებო. ჩემი ხმის გაგონებისთანავე ცხენ–ირემმა სირბილი შეანელა, მერე ნაბიჯით მიდიოდა და მერე შეჩერდა. მე თახვებს ვამშვიდებდი, ამ დროს ცხენ–ირემი უკან მობრუნდა. ის იქვე ახლოს თხმელასთან ბალახობდა. ძნელად დასაჯერებელია, რომ ჩემმა ალერსიანმა ხმამ მასზე დამამშვიდებლად იმოქმედა. მერე ჩემი მოძრაობით შემკრთალი ისევ გაიქცა, მაგრამ შორს არა, როგორც ადრე. და კვლავ ჩემმა ხმამ დაამშვიდა და სადაც შეჩერდა, ბალახი მოწიწკნა. იქ ერთი საათი ბალახობდა და მოუსვენრობას არ ამჟღავნებდა. მერე ადგილს მოწყდა და გაიქცა. ველური ნადირის ასეთ ქცევას პირველად ვაკვირდებოდი. ამან გამაოცა. დიდხანს ვფიქრობდი, სანამ საბოლოო დასკვნას გამოვიტანდი, ჩემს ხშირ სტუმარს სულ ვაკვირდებოდი და ისიც ყოველთვის ერთნაირად რეაგირებდა ჩემს ქცევაზე. ცხენ–ირემი ჩემს მოულოდნელ გამოჩენაზე გარბოდა, მაგრამ როცა მოვუხმობდი, ბრუნდებოდა. მე უფრო ვრწმუნდებოდი იმაში, რომ მიუხედავად იმისა რომ მისი მოშინაურება, მოჩვევა არ მიცდია, ეს საოცარი, იდუმალი, ველური და ლაღი არსება ჩემს ხმაზე რეაგირებდა და ჩემს ნებას ემორჩილებოდა. ეს არაერთხელ მომხდარა სხვათა თვალწინაც, სხვა შემთხვევაში არც დავწერდი და ჩემი შეხედულება ცხენ–ირმის ქცევაზე ყველასთვის უცნობი დარჩებოდა.

მათ, ვინც ველურ ცხოველებს არ დაკვირვებია, ჩემი აზრი გაზვიადებულად მოეჩვენება. ვისაც ცხენ–ირემზე უნადირია ანდა მათ სიახლოვეს უცხოვრია, დამეთანხმება. ბევრი დაუჯერებელი რამ დაწერილა ცხენ–ირემისა და სხვა ცხოველთა გონიერებაზე. ბევრი ასეთი მოთხრობები იბეჭდება კიდეც. ამიტომ ჩემი დაკვირვების ჩანაწერები ალბათ საყურადღებოდ აღარ ჩანან და მოსაწყენია, მაგრამ სწორედ ასე აღწერენ მონადირულ ამბებს მდიდარი ფანტაზიის მქონე მათი ავტორები.

ეჭვი არც კი მეპარება იმაში, რომ ცხენ–ირემმა თავიდანვე სწორედ იგრძნო ჩემი მისადმი დამოკიდებულება. უფრო მეტად დასაჯერებელია, რომ ცხენ–ირემი, სანამ მე შევნიშნავდი, ის უკვე ირგვლივ არემარეს აკვირდებოდა და ჩვენს ხმებს ყურს უგდებდა. როგორც ჩანს ჩემს ხმას მიჩვეული იყო და არ ეუცხოვებოდა. ის თვითონ გაერკვა ჩემს მოკეთეობაში, რაც მის უსაფრთხოებას განაპირობებდა.

ცხოველთა უმეტესობა მათთვის დამახასიათებელი ნიშან–თვისებით შორიდანვე შეიცნობა თანამოძმეთა მიერ. თახვები, ონდატრები, მაჩვზღარბები და ფრინველებიც კი ხმიანობით განსხვავდებიან. ზოგი ცხოველი თავისებურად შეფერილია ან დაწინწკლული ან ზოლიანი ანდა მკვეთრად აჭრელებული. ამერიკულ ცხენ–ირემს თეთრი უკანა ფეხები აქვს, ევროპულს – ნარიჯისფერი გავა, ვირჯინიულ ირემს თეთრი კუდი აქვს, სკუნსს კი თეთრი ზოლები. ჩემთვის განმასხვავებელი ნიშანი მოვიფიქრე. მოვიფიქრე სიტყვა ყოველთვის ერთნაირი ინტონაციითა და ბგერით. ამით მცნობდა ტყის ყველა ბინადარი. თავდაპირველად უნებურად წამომცდებოდა ხოლმე, მერე ჩვევად მექცა და არც კი მიფიქრია, თუ როგორი მაგიური ძალა ჰქონდა, სანამ არ აღმოვაჩინე თუ როგორი მომნუსხველი გავლენა ჰქონდა ისეთ საოცრად ფრთხილ ნადირზეც კი, როგორიცაა ამერიკულიცხენ–ირემი. საკმარისი იყო მოულოდნელად გამოვჩენილიყავი ანდა ჩემებურად შევხმიანებოდი, რომ აქაური ტყის ბინადარნი: ციყვები, ონდატრები, თახვები და ცხენ–ირემიც წამიერად შეჩერდებოდნენ და ქვის ქანდაკებასავით გაირინდებოდნენ, მაგრამ საკმარისი იყო მათთვის ნაცნობი ჩემი სიტყვა წარმომეთქვა, რომ ისინი თავის გზას და საქმიანობას აგრძელებდნენ.

წარსულ ზაფხულსა და შემოდგომას ცხენ–ირემი ჩვენი ბანაკის სიახლოვეს დიდ დროს ატარებდა. ის ჩემთან ახლოს დაეხეტებოდა, კარავსა და შეშას შორის, ნავთან. ზოგჯერ ქოხის კარებთან ჩერდებოდა და დიდხანს იდგა. ჩემი ზოგიერთი სტუმარი უსაფუძვლოდ არ შიშობდა, რომ ცხენ–ირემი ზღურბლზე გადმოაბიჯებდა და ქოხში შემოვიდოდა. მე თვითონ არ ვიცოდი თავში რა მოუვიდოდა. ერთხელ ჩემს კანოეში ჩავიდა და მისგან ნაფოტებიღა დარჩა. კანოე მსუბუქი ნავია ბერესტისა და ტილოსგან გაკეთებული, ამერიკული ცხენ–ირემი კი ნახევარ ტონას იწონის.ერთხელ, როცა ცხენ–ირემი ქოხის კარებში იდგა, გავაგდე, რადგან თახვებს გზაზე ეღობებოდა. თახვები წინ და უკან დარბოდნენ, თავისთვის სამშენებლო მასალას ეზიდებოდნენ. იმ დროისათვის თახვებს

მისი აღარ ეშინოდათ, მაგრამ ჩანს, როგორც მე, არავინ იცოდა თუ რას მოიმოქმედებდა, ამიტომაც ერიდებოდნენ.

ყველა ცხოველს, ინდივიდს თავისებური შიშები ახასიათებს. რაც შეეხება ჩემს ცხენ–ირემს, ყოველთვის ფრთხებოდა, როცა მასსა და ჩემს განათებულ სარკმელს შორის ვინმე გაივლიდა. მასზე ჩრდილი ირხეოდა, რაც აშინებდა და გარბოდა, თუმცა ჩემს დაძახებაზე ყოველთვის ბრუნდებოდა. ჩრდილი შეაშინებდა თუ არა ისევ გარბოდა. ასეთი რეაქცია ჰქონდა ბოლომდე.

სანამ თახვები ცხენ–ირმის სტუმრობას არ მიეჩვიენ, მის არსებობას წყალში კუდების ტყლაშუნით მატყობინებდნენ. მერე ისე მეჩვენებოდა, რომ ცხენ–ირემის სტუმრობა თახვებს გარდაუვალ ბოროტებად მიაჩნდათ და მიუხედავად ბოროტებისა, უნდა აეტანათ. თახვები ყურადღებას აღარ აქცევდნენ და აღარც შფოთავდნენ. ბევრი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. თქვენ რას იფიქრებდით, როცა ღამით ქოხიდან გამოხვიდოდით და კინაღამ წაიქცეოდით, როცა ასეთ ცხენისოდენა ცხოველს დაეჯახებოდით, როგორც მე დამემართა. ეს ნებისმიერ ვაჟკაცს შეაკრთობდა.

თბილ ამინდში ცხენ–ირემი ტბაში, ნაპირთან ახლოს იდგა ხოლმე. ეს, პატარა თახვებს ახალისებდა და მის ირგვლივ მხიარულად ჭყუმპალაობდნენ და კუდებს აშლაპუნებდნენ. ცხენ–ირემი კი თავისთვის იდგა და ადგილიდან არ იძროდა.

ასეთ თავისებურ ცხოველს რომ ვაკვირდებოდი, ვფიქრობდი, ნუთუ მარტოობაში არ ნაღვლობდა? იქნებ ის ჩვენ ბანაკს ხშირად იმიტომ სტუმრობდა, რომ ჩვენი სტუმართმოყვარეობით მის უსაფრთხოებას ვიცავდით? ყველა ცხოველს ახალისებს, როცა მის ყოველდღიურ ერთფეროვან ყოფაში რაიმე უჩვეულო მოხდება და ეს სიამოვნებთ, მხოლოდ ერთი პირობით, თუ ისინი დარწმუნებული იქნებიან, რომ ხიფათი არ ელით. დიდი ხანია ვეთანხმები იმ თეორიას, რომლის თანახმადაც ჩვენი ოთხფეხი მეგობრები ზოგჯერ შეიძლება გამძვინვარდნენ და თანამოძმეებისთვისაც კი სახიფათონი გახდნენ.

ჩვენს ნაცნობ ცხენ–ირემს ბუნებით თანდაყოლილი სიფრთხილე სულ არ დაქვეითებია. ერთხელ სერზე მისთვის მოულოდნელად გამოვჩნდი და ის ჩემგან საპირისპირო მხარეს გაიქცა, თვალს მიეფარა. არ ვეთანხმები იმ შეხედულებას, რომ ცხოველებს საფრთხისგან შიში ეუფლებათ. პირიქით, ჩემი მოულოდნელი გამოჩენით შეცბუნებულმა ცხენ–ირემმა მხნეობა შეინარჩუნა და როცა სერის თავზე ნაცნობი ხმა მოესმა, ჩემი “პაროლი”, ის ასი

იარდის მანძილზე შეჩერდა და მიახლოების საშუალება მომცა. ჩვენ ბანაკიდან შორს გადავეყარეთ ერთმანეთს და ამ ადგილას აღარასოდეს შევხვედრივართ.

ამ შემთხვევამ და კიდევ სხვა დაკვირვებებმა საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ დაფრთხალი ცხოველის გონება ასი პროცენტით მუშაობს. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ დაწყვილებისას ან შიმშილობის ანდა ტყვეობისას ცხოველები სრულიად კარგავენ თვითმფლობის უნარს.

ხუთი წლის წინათ, როცა ჩემი ცხენ–ირემი პირველად ვიხილე, სულ ახალგაზრდა იყო, ახლა კი ზრდასრული ლამაზი ხარირემია. მაშინ მხოლოდ ორი V–სებური რქა ჰქონდა, მერე დავაჟკაცდა და სრულყოფილმა, ბრტყელმა და დატოტვილმა რქებმა დაამშვენა. გვიან შემოდგომობით, მყვირალობისას თავაწეული ამაყად დააბიჯებდა და დროდადრო მისი საყვირისმაგვარი ხმა ისმოდა, მეტოქეს იწვევდა, რომელსაც ალბათ ვერც გაუმკლავდებოდა.

მიუხედავად იმისა, ახალგაზრდა ცხენ–ირემი წესიერად, ნამდვილი ჯენტლმენივით იქცეოდა, ყინვების დადგომისთანავე ერთ ღამესაც თავის თავს აღარ ეკუთვნოდა და მთვარეულივით დაეხეტებოდა. დღისით შევნიშნე და გაოცებული ვუყურებდი. სად გაქრა მისი ამაყი სიარული და სიდარბაისლე? ჩანს ხიფათს ეძებდა. გადავწყვიტე მისი სიმამაცე გამომეცადა. ბერესტის ბუკი ავიღე, რომელსაც ირმების მოსახმობდად იყენებენ. ბუკს ორჯერ ჩავბერე. მის ხმაზე მყისიერად იმოქმედა: საშინელი ღრიალით მიაწყდა ტირიფს, თხმელას, ფეხით ქელავდა წაქცეულ ხეებს, ყლორტებს, ფიცხლად შეებრძოლა ამოგლეჯილ ძირკვს და ცარიელი ყუთების გროვას მიაწყდა. გრუხუნმა ცხენ–ირემს ძალა შეჰმატა. მის ქცევას გაოგნებული ვუყურებდი. მე ნელ–ნელა დავშორდი და ბუკი დავმალე. ცოტა ხანში ჩვენმა გულადმა რაინდმა ყველა ხილული მტერი დაამარცხა. საბედნიეროდ კარავი ვერ შეამჩნია და დიდებისა და სახელის საძიებლად სხვა მხარეს გასწია. მისი მაყურებელი ვშიშობდი რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდა. მისი უცნაური ქცევით გავოგნდი, მეცოდებოდა, როგორც მთვრალი, რომელიც არ იცი რას მოიმოქმედებს.

მთელი კვირის განმავლობაში ცხენ–ირემი არ გამოჩენილა. ვშიშობდი, უთანასწორო ბრძოლაში ხომ არ დაიღუპა. და ერთხელაც, საღამოს, როცა შორეული ცურვიდან დავბრუნდი, ის იყო კანოე ნაპირთან უნდა მიმეყენებინა, რომ ბინდბუნდში, ჩემს ნავმისადგომთან, ქოხის კარების პირდაპირ ნაცნობი ფიგურა შევნიშნე. მძიმედ დატვირთული კანოე წყალმარჩხ ადგილას მივაყენე. ცხენ–ირემს ჩემთვის ხელი არ

შეუშლია, წამოდგა და იქვე ახლოს ბუჩქნარში ნეკერი მოწიწკნა,მე კი კანოედან ტვირთი გადმოვაწყე.

ამჟამად ცხენ–ირემი იშვიათად მაკითხავს და ცოტა ხნით რჩება, ასე ერთი საათი, მეტი არა. მისი ქცევით ვხვდები, რომ დაწყვილდა. ვერ წარმომიდგენია რა ხრიკებით მოხიბლა ფური, როცა ამ ადგილებში უამრავი ზრდასრული ცხენ–ირემია. მის მხარეს ახალგაზრდული მხნეობა იყო! ალბათ თანატოლ ფურს შეხვდა და ისიც წარმოსახვით მტერთან მისი იმპროვიზირებული ორთაბრძოლის ცქერით დატკბა და მოჩვენება–მეტოქეზე გამარჯვებულს ქალწულებრივი თავშეკავებულობით მიესალმა. და თუ მან თავისი მეწყვილე ფურის არჩევისას ისევე კარგად გაიაზრა, როგორც მაშინ, როცა ნაკრძალში ჩემი ქოხი თავშესაფრად მოიწონა. ეჭვი არ მეპარება, რომ სწორი არჩევანი გააკეთა.

ახლა, როცა ის ჩემს სარკმელთან წევს, ვხედავ როგორი გაფაციცებული გაჰყურებს ტყის უღრანს. დროდადრო თავს ატრიალებს, ყურები აუცქვეტია და ნესტოები დაუბერავს. ვიცი, რომ შორს მისი ფური იმყოფება და ღია ადგილას ვერ გამოსულა, რადგან ჯერ ვერ გადაულახავს გაურკვევლობის შიში.

მალე ბუნების უძლეველი კანონით ის მისკენ გაემართება, რადგან სიყვარული მოუხმობს. ის მედიდურად, მეფური სიამაყით გაემართება. მან, ველური ბუნების ამ დიდებულმა შვილმა ზრდასრულ ასაკს მიაღწია. იმრავლოს კეთილშობილმა ცხოველმა, რომელიც ოდესღაც ჩრდილოეთის ტყეებში ბინადრობდა და რომლის წარმოშობაც შორეული წარსულის ნისლითაა დაფარული.

უნდა გამოვტყდე, რომ გულში გამიხარდება თუ ცხენ–ირემი ცოტა ხნით მაინც დატოვებს თავის რჩეულს, მესტუმრება და ერთი საათით ჩემი ქოხის კართან წამოწვება. არა იმიტომ, რომ ჩემი გაწვრთნილია და საკვებსა და თავშესაფარს ეძებს, არამედ იმიტომ, რომ აქ თავს კარგად გრძნობს, ბედნიერია და რაც მთავარია ლაღი და თავისუფალი.

ღამღამობით მიწური ციხე–სიმაგრიდან ჩუმი, ბავშვური ბუტბუტი და მოზრდილ ბინადართა ხმები ისმის. თახვები ახალ მშენებლობაზე თათბირობენ.

თახვების სახლი

თახვების ნაკრძალში ჩემი ქოხი მხოლოდ მონადირის საცხოვრებელი როდია. მართალია, თავიდან ასე იყო ჩაფიქრებული, მაგრამ მერე თახვებმა სათავისოდ გადაასხვაფერეს.

თახვების სახლის ერთი ნახევარი ჩემს ქოხშია, მეორე კი გარეთ. ორივე შესანიშნავი ნაგებობაა, შუაში ჩემი ქოხის კედლით გადატიხრული. ეს დაუჯერებელიც კი იქნებოდა, რომ ფოტოკამერით არ გადამეღო და არ დამემტკიცებინა, რომ სინამდვილეა. თახვების სახლის გარეთა ნაწილი ზედ ტბის ნაპირზეა, რაც ნავმისადგომად მინდოდა გამომეყენებინა. აქ ყრია ტოტები, მიწა. ღამღამობით თახვები გულმოდგინედ იღწვიან. ოცდაათი ფუტის სიგრძის თახვების სახლს მიმაგრებული აქვს მორებისა და ტოტების ტივი – ეს, თახვებმა საზამთროდ საკვები მოიმარაგეს.

მიწური ციხე–სიმაგრის შიგნიდან ბავშვური წყნარი ბურტყუნი ისმის, მოზრდილ ბინადართა ხმებიც. ეს მშენებელი თახვები მომავალ საქმეებზე ბჭობენ.

კაუჭზე ჩამოკიდებულმა ჩემმა თხილამურებმა უქმად მოიწყინეს. ჩეთმი შაშხანა, საფანტიანი თოფი და დაზეთი–გასუფთავებული რევოლვერი კედელზე საპატიო ადგილზე ჰკიდია, როგორც თითოეული მონადირის ქოხშია მიღებული. ამით ვაფრთხობ დათვებს. ჩემი ძველი, გაცვეთილი სარტყელიხის ლურსმანზე დავახვიე. დანით, რითაც ადრე ტყავებს ვფხეკდი, ახლა პურსა და ლორს ვჭრი. ბეწვეულის შესაღები ხელსაწყოები ყუთში აწყვია. ეს ყველაფერი წარსულის სამახსოვრო რელიკვიებია. ჩემი ძველი, ირმის ტყავისგან შეკერილი გახუნებული, მრავალწლიან ხეტიალში გაცვეთილი კოსტიუმები გვერდი–გვერდ ჰკიდია, მათი ოდესღაც ლაღი ფოჩები დაღვრემილად გამოიყურება. ელიან და სულ ელიან იმ დღეს, რომელიც აღარ დადგება არც მათთვის და არც ჩემთვის. ყველამ თავისი ვალი მოიხადა, თავისი დრო მოჭამა, გარდა სარტყელისა, რასაც ალბათ სხვა რამისთვის გამოვიყენებ. ისინი ნადირობის ამბებს მახსენებენ, შორეულ ადგილებს, სადაც ჩემთან ერთად მოგზაურობდნენ, სულ გზაში, კვლევა–ძიებაში, თუ რა არის სერს იქით. ეს ყველაფერი მოყოლად ღირდა და ამ ამბებზე კარგი თხზულებაც დაიწერებოდა.

როცა მაგიდასთან ვზივარ და არ ვიცი რა დავწერო, როცა მეხსიერება მღალატობს, მაშინ ფანქარს ვღრღნი და მათ შევცქერი. მეჩვენება, რომ ჩემი ხეტიალის უტყვი მოწმენი გაბრაზებულნი მიყურებენ და არ ესმით, თუ რატომ უნდა დამავიწყდეს ჩვენი ერთად გატარებული წარსული, რაშიც თითოეულს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი.

მეჩვენება, რომ ისინი დუმილს არღვევენ და მეუბნებიან, ეს იქ მოხდა, ეს – აქ, ჩვენ ხომ იქით წავედით, ეს ასე იყო. ნუთუ აღარ მახსოვს შავი თრითინა მდინარე ესპანურზე? განა შეიძლება დაგავიწყდეს ის ადგილი, სადაც ინდიელებმა ჯადოსნური ტყის ამბავი მოგვიყვეს, ჩვენ ხომ უსახელო ტბასთან დავბანაკდით, სადაც ადამიანს ჯერ ფეხი არ დაედგა და რამდენი ხანი მშიერი ვიყავით.

ჩემთვის ძვირფას ნივთებს შორის ტყავის გაცვეთილ ქარქაშში ჩადებული გრძელი დანაა. ეს ქარქაში მისი არ იყო. ეს დანა ჩემს ქოხთან ახლოს ტბის მეჩეჩზე ვიპოვე გრძელ, ძველ, ჟანგიან თოფთან ერთად, რომელიც ლულიდან იტენებოდა. დანა განახევრებული იყო, ტყავის სახელური გავუკეთე და მას მერე ძველ ქარქაშში ჩადებულს ქამრით ვატარებ. ქარქაშებს ვაფასებ, როგორც საჭირო ნივთს, მაგრამ ამავე დროს თილისმად ვთვლი და მჯერა, რომ მისი ძველი პატრონის სიბრძნე ჩემზე გადმოვა.

და სანამ ჟანგიანი თოფი, ძველი, უტყვი დანა და ქოხის მცველი საუკუნოვანი ფიჭვები ენას არ ამოიდგამენ, მინდა ერთი ამბავი მოგიყვეთ, რასაც ვერავინ ვერ დაწერს.

ასე რომ ჩემი ქოხი ღიაა, შემობრძანდით.

პატარა მოხეტიალეები

თავი I

ექვსი წლის წინათ კანადის მთავრობამ ჩემი თახვები თავისი ზედამხვედველობის ქვეშ აიყვანა და ჩვენც კანადის ეროვნული პარკების შტატში ჩაგვრიცხეს. ბოლო მოეღო ჩემს წუხილს ჩემი მოხეტიალე თანამგზავრების სიცოცხლისა და კეთილდღეობის გამო. უნდა გადავსულიყავით დასავლეთით, ერთ–ერთ დიდ ეროვნულ პარკში. სატვირთო ვაგონით ათასობით მილი გავიარეთ, თახვები სპეციალურად მათთვის გაკეთებულ თუნუქის ყუთში ჩავსვი, თითქმის ერთ კვირაში მივაღწიე დანიშნულების ადგილს მხედრის მთის ძირას. დამქანცველი მგზავრობის მიუხედავად კარგ გუნებაზე ვიყავით.

ახალ ადგილას თახვებს წყლის მოძიება ჯერ არ უცდიათ, თუმცა აფორიაქებულები იყვნენ. ქოხში ხან შერბოდნენ, ხან გამორბოდნენ, თითქოს დარწმუნებულიყვნენ, რომ იქ ვიყავი. პირველი, რაც თახვებმა ახალ ადგილზე მოიმოქმედეს, ტბისკენ ბილიკი გაკვალეს, მერე იქვე ადგილი ამოირჩიეს და ერთ თვეში დიდი ფაცხა დადგეს, თუმცა შენებას შემდეგაც, მთელი ზაფხულის განმავლობაშიც აგრძელებდნენ, სანამ რვა ფუტის სიმაღლეს არ მიაღწია, სიგანით კი თექვსმეტი ფუტის იყო. აქ ჯელი პირველად დაოჯახდა. მისი პატარა თახვების მოშინაურება იოლი არ იყო. პატარები ჩემთვის მიუწვდომელნი იყვნენ, მერე კი, როცა წამოიზარდნენ, ქორის მართვეებივით გაველურდნენ.

ყოველ ღამით, დაბინდებიდან გარიჟრაჟამდე გაუნძრევლად ვიჯექი ტბის დაჭაობებულ ადგილას მეჩეჩზე გაჩხერილ ტივზე. მოსკიტები მამწარებდნენ. ისინი ღრუბლებად მესხმოდნენ თავს. ვერც ვეწინააღმდეგებოდი, თახვები რომ არ დამეფრთხო. აქ საათობით ვიჯექი, მთელი ღამეები, სანამ რომელიმე პატარა თახვი არ მომიახლოვდებოდა, დროდადრო ჩემს სიახლოვეს ცურავდნენ, ხანდახან შემომხედავდნენ, თითქოს მცნობდნენ, ზოგჯერ არც მიყურებდნენ. ბოლოს, ტივზე ჩემს ყოფნას ისე მიეჩვივნენ, რომ როცა ახლოს ცურავდნენ თითქოს მისალმების ნიშნად სუსტი ხმით მეხმიანებოდნენ. ჩანს, პატარა თახვებს ერთი და იმავე ადგილას უძრავად მყოფი უცნაური არსების ცნობის წადილი აღეძრათ და ტივთან მოცურდებოდნენ, ნავში ამობობღდებოდნენ და მიყურებდნენ, მერე წყალში ჩადიოდნენ. ისინი სრულიად თავისუფლები იყვნენ და ჩემთან მოახლოებას არავინ

აიძულებდათ. შემდგომში აღმოვაჩინე, რომ შეიძლებოდა ფრთხილად მივახლოვებოდი, მაგრამ ერთი უჩვეულო მოძრაობა და თახვები მაშინვე იმალებოდნენ და მთელი ღამე აღარ ჩნდებოდნენ. დროდადრო ჯელი როლი თავის პაწიებთან ერთად ჩემს სიახლოვეს მოცურდებოდა და მათთან თამაშობდა, წყალში ყვინთავდა, მკერდზე ნაშიერი ჰყავდა მიკრული, შვილებს აქეთ–იქით ისროდა, მერე ერთმანეთს ეჭიდებოდნენ, ჭყუმპალაობდნენ. აღსანიშნავია, რომ ჯელი გამარჯვებას ყოველთვის შვილებს უთმობდა. მათ თავშესაქცევარ ცელქობას სიამოვნებით ვუცქერდი, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ფეხებამდე ვსველდებოდი. ზოგჯერ ხელს ვუწვდიდი და პატარა თახვებიც დედის მიბაძვით თითებზე მეჭიდებოდნენ. მალე პატარა თახვები ადამიანის სუნს მიეჩვივნენ და ჩემთან ისევე თამაშობდნენ, როგორც დედასთან ერთად. მერე კი ყველაფერი იოლად მოხდა. თვის დასასრულამდე მომეჩვივნენ, უკან დამდევდნენ, ჩემს დაძახილზე მეხმიანებოდნენ და ზოგჯერ ჩემი დახმარებით კანოეში ამოძვრებოდნენ ხოლმე. ერთხელ, როცა დიდი ძალისხმევითა და ჩემივე დახმარებით ოთხივე პატარა თახვი კანოეში ამობობღდა, ჯელი მივარდა, ნავში ამოძვრა და ყველანი ამოათრია. მშობლიური ინსტიქტით აშკარად გამოირჩეოდა თახვების მამა, რაუხაიდი. როცა სხვადასხვა ხერხით პატარა თახვებს მოვაგროვებდი, ის ჩემთან მოიჭრებოდა, შვილებს აქეთ–იქით მიმოიფანტავდა, ყველას გააგდებდა, მერე ბრუნდებოდა და კანოეში ჩემს გვერდით მოკალათდებოდა. მე მის ქცევაში არ ვერეოდი, რადგან მესმოდა, რომ ეს შთამომავლობის აღზრდისა და დაცვის მისი მეთოდი იყო.

აქ რამდენიმე ფუტის სიგრძის კინოფილმები გადავიღე. რაუხაიდი მათი მთავარი გმირი იყო, უფრო მოკრძალებულად გამოიყურებოდა ჯელი როლი. უნდა აღინიშნოს, რომ ის ტემპერამენტით კინოვარსკვლავებსაც კი შეეჯიბრება.

მალე მივხვდი, რომ ეს ნაკრძალი თახვებს არ შეეფერებოდა და შეშფოთებული ცოტა ხნით სასკაჩევანში გავფრინდი ადგილობრივი ეროვნული პარკის გასაცნობად. გადავწყვიტე თახვებთან ეთრად იქ დავფუძნებულიყავი.

ახალ ადგილას აუცილებელი იყო თახვებისთვის გამოსაზამთრებლად პირობები შემექმნა. რადგან გვიან შემოდგომამდე ვერ გადავსახლდებოდით, ამის გამო თახვები ზამთრისთვის ვერ მოემზადებოდნენ და საჭირო იყო მათთვის გაკეთებული სორო მათ აშენებულს ჰგვანებოდა. ასე რომ ქოხი ტბის პირას დავგეგმე, იატაკში საყვინთავი წყალქვეშა გვირაბით, რომელიც კედლის ქვემოდან პირდაპირ ტბას უერთდებოდა.

ამრიგად, თახვები ჩემსავე ქოხში გამოიზამთრებდნენ, მერე კი დათბებოდა და თვითონვე აიშენებდნენ. ნაკადულზე ჯებირის გაკეთებაც არ დამვიწყებოდა. ამრიგად, თახვები ჩემსავე ქოხში გამოიზამთრებდნენ, მერე კი დათბებოდა და თვითონვე აიშენებდნენ. ნაკადულზე ჯებირის გაკეთებაც არ დამვიწყნია. მომდევნო ზაფხულს თახვებმა თვითონაც გააკეთეს ჯებირი, რომელიც ჩემი გაკეთებული ჯეიბრის ქვემოთ უფრო მოსახერხებელ ადგილას იყო და ამიტომ ჩემი ნახელავი ჯებირი დაიტბორა. აღმოვაჩინეთ, რომ თახვებმა ჯებირი იმ ადგილას გააკეთეს, სადაც ორმოცდაათი წლის წინათ გაკეთებული ჯებირის კვალი ემჩნეოდა. აქვე ვნახეთ თახვების ძველი ფაცხა, რომელიც მიწის სქელი ფენით იყო დაფარული და მასზე სამი საკმაოდ დიდი ხე ამოსულიყო. იმისათვის, რომ ამ ადგილის უპირატესობაში გარკვეულიყვნენ, ინსტიქტზე მეტს მიანიშნებს.

როცა მაცნობეს, რომ ქოხი და თახვებისთვის ყველაფერი აუცილებელი მზად იყო, ტელეგრამა გავუგზავნე ონტარიოში ნათესავებთან სტუმრად მყოფ ცოლს და ვთხოვე ჩამოსულიყო. ახლა მე ექვსი თახვი მყავდა და მისი დახმარება აუცილებლად მჭირდებოდა. ანახარეოს დრო არ დაუკარგავს და ჩვენკენ გამოეშურა. მან პატარა თახვები პირველად ნახა და ძალიან მოეწონა. იოლად ვიმგზავრეთ. მე და რაუხაიდი უკვე გამოცდილი მოგზაურები ვიყავით, მაგრამ ხანდახან მოვიწყენდით, ხან გვბეზრდებოდა, როგორც მოყირჭებულ ადამიანებს ჩვევიათ. გზა მხიარულად გავიარეთ, რადგან ჩვენს თვალწინ დამთრგუნველი ხორბლის ყანები არ გადაჭიმულიყო, რაც უდაბნოს ვაგონებდა ხოლმე.

გაზოლინის ძრავიანი მოტორიანი ნავების მთელი ფლოტილია დაგვჭირდა, რათა მთელი ჩვენი ავლადიდება პირველ საჭაპანო ბილიკამდე მიგვეტანა. ოცდაათი მილი წყლით გავიარეთ. აქედან ტბა აჟაუანამდე, რომლის ნაპირთან უნდა დავსახლებულიყავით, ყველაფერი, თახვებიც კი ნახევარი მილის სიგრძის საჭაპანო ბილიკით გადავიტანეთ. გზის ბოლო მონაკვეთი კანოეთი გავცურეთ.

ქოხის უკანა ნახევარი გადავტიხრეთ და თახვებს ხვრელი დავუტოვეთ. ქოხის ამ ნაწილს იატაკი არ ჰქონდა, აქ გვირაბი იწყებოდა და წყლის ქვეშ შვიდი ფუტის სიგრძეზე გრძელდებოდა. ეს ყველაფერი ჩემი დაგეგმილი იყო. მაინც გადაკეთება მოგვიხდა. ყინვებამდე ტიხარი დავგმანეთ, რადგან გადმოსახლებული თახვები, რომელთაც საცხოვრებელი მზად დახვდათ, თავიანთი ბუნებით საცხოვრებლის ძიებას დაიწყებდნენ. საზამთროდ საკვები მომარაგებული ჰქონდათ. ძველი საცხოვრებლის ძიებაში თახვები ნაკადულში დაიბნეოდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მოშინაურებული თახვები არ

წავიდოდნენ, მაგრამ სხვა რამის მეშინოდა. ყინვები ახლოვდებოდა და თახვები ხეტიალში შეიძლება ქოხიდან შორს სადმე გაყინულიყვნენ, იქნებ მგელს გადაჰყროდნენ ან რაღაც სხვა მიზეზით დაღუპულიყვნენ. ხელი როლსაც კი უბჩქნარში გზა დაებნა და შინ სამი საათის მერე დაბრუნდა. კინაღამ კუდი მოეყინა.

თახვები მიხვდნენ, რომ საყვინთავი ახლოს იყო და როცა არ ეძინათ, ცდილობდნენ იქამდე მიეღწიათ. რამდენიმე ადგილას იატაკი ამოამტვრიეს და ტიხარის გაღრღნასაც შეეცადნენ. ჩვენ მორებითა და კუნძებით ჩავხერგეთ, მაგრამ თახვებმა მორები დაღრღნეს და ყველა წინაღობას განზე ათრევდნენ. ასე, რომ სულ ფხიზლად ვიყავით და ჩახერგილს აღვადგენდით ხოლმე. ერთხელ, აი რა ამაღელვებელ ამბავს შევესწარი.

ოჯახში ყველაზე ურჩი, რაუხაიდი განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდა საყვინთავში გაძრომას. ერთხელ კუდზე საკმაოდ უხეშად მოვქაჩე. თვალის დახამხამებაში მისი პატარა მამალი თახვი, რაუხაიდის რჩეული, მაშინვე მივარდა, ჩაეჭიდა და ცხვირი ცხვირს მიადო. ასეთი ნაზი ურთიერთობის ხილვისას შემრცხვა ჩემი თავშეუკავებლობის გამო. ეს იყო თახვებს შორის თბილი ურთიერთობის შესანიშნავი მაგალითი. ასაკთან ერთად ეს გრძნობა სუსტდება და ქრება ხეტიალის დაუოკებელი სწრაფვის გამოისობით.

ჩვენს ქოხში თახვებს დიდი გუბე გავუკეთეთ და იქ დიდ დროს ატარებდნენ. ბუნებრივ პირობებში თახვები ჭყუმპალაობის მერე ბეწვს გულმოდგინედ იშრობენ და ივარცხნიან, მაგრამ ქოხში უწესოდ იქცეოდნენ და იატაკს სულ ასველებდნენ. მართალია ღუმელის გახურების მერე იატაკი შრებოდა, მაგრამ ორთქლი ჭერზე და კედლებზე მოწვეთავდა. ქოხში ნესტისგან სურსათის ნაწილი გაფუჭდა. ღამით ვერ ვიძინებდით. დილით, როცა თახვები ძილს მიეცემოდნენ, ჩვენც მაშინ ვიძინებდით. თახვები გაუთავებლად ჭყიოდნენ და ჩვენთან დაწოლას გვთხოვდნენ. ჩვენც გვეცოდებოდნენ, რადგან მათთვისვ არაბუნებრივ პირობებში იყვნენ. სველებს ჩვენს საწოლში ვაწვენდით და რამდენიც უნდოდათ იმდენ ხანს რჩებოდნენ. თახვები წყნარდებოდნენ და შესაძლებლობა გვეძლეოდა საჭმელი მოგვემზადებინა და გვეჭამა.

გამოცდილებით დაბრძენებულმა ჯელი როლმა ორი წლის წინათ ჩემთან ერთად გამოიზამთრა ქოხში. მშვიდად, ღირსეულად იქცეოდა, ტყუილად კი არ დავარქვი “დედოფალი”.

თახვები გაუთავებლად ჭყუმპალაობდნენ, ჭყიოდნენ, ფიცარნაგის გაკეთებას ცდილობდნენ, კედლებს ღრღნიდნენ, ქოხი გაუძლებდა? ეს ყველაფერი ჩვენი გამძლეობის მძიმე გამოცდა იყო.

მაგრამ მრავალი მხიარული წუთიც გაგვიტარებია. მათთვის უჩვეულო, არაბუნებრივ პირობებში თახვების ქცევა თავშესაქცევი იყო. ერთი მათგანი სულ უკანა თათებზე დადიოდა დაჩაჩანაკებული ბერიკაცივით. ქოხში პატარა თახვები მშობლებს უკან კედელ–კედელ მიჰყვებოდნენ, ეჯახებოდნენ და იქცეოდნენ, მერე წამოდგებოდნენ და უკანა თათებზე სიარულით პროცესიას უერთდებოდნენ. ისინი პატარა, შავი, ბათინკის ღილის მსგავსი თვალებით გაფაციცებული იყურებოდნენ, თითქოს რაღაც დაკარგულს ეძებდნენ.

მშვიდი ჯელი როლი ხალისით იმორჩილებდა შვილებს და ისინიც სრულიად მინდობილი იყვნენ დედაზე. სადაც არ უნდა წასულიყო, სულ კუდში დასდევდნენ, მეც უკან დამდევდნენ, კოტრიალებდნენ, ხტუნაობდნენ და გაუთავებლად ბუტბუტებდნენ, ზოგჯერ რომელიმე დაქანცული პატარა თახვი დედის კუდზე აბობღდებოდა, წინა თათებით დედას ბეწვზე დაეჭიდებოდა, ის კი აშკარა სიამოვნებით მიათრევდა მათ. სხვები, უფრო ნაკლებად ყოჩაღები, გვერდებიდან ეჯაჯგურებოდნენ. ბოლოს ყველა მიხვდა ასეთი ტრანსპორტის მოხერხებულობას და დედის კუდზე ხან ორი, ხან სამიც ერთდროულად ჯდებოდნენ. როცა ამ საოცარ საზიდარზე ყველას ადგილი არ ჰყოფნიდა, მაშინ “მგზავრებიც ერთი უკანა თათით დედის კუდზე იდგნენ, მეორე უკანა თათებს კი იატაკზე მიათრევდნენ. ჯელი როლი კი მშვიდად და აუჩქარებლად მიიწევდა წინ, თითქოს ტვირთი სულაც არ ემძიმებოდა. მგონია, რომ ყველასთვის კარგი იქნებოდა თუ დედა თახვს თვითფლობის უნარში მიბაძავდა, რითაც ის სიმშვიდეს და სულიერ წონასწორობას ინარჩუნებდა. ჩვენ ყველანი უჩვეულო პირობებში ვცხოვრობდით და ნერვები დაწყვეტილი გვქონდა.

ერთ ღამესაც ჩვენდა საბედნიეროდ ყინვები დადგა და ტბას ყინულის ქერქი გადაეკრა. ჩვენ ტიხარში გაკეთებული ხვრელი, რომელიც თუნუქის ყუთებითა და მეტალის სხვა ნივთებით იყო ჩახერგილი, გავხსენით. თახვების მთელი ოჯახი ახალი სათავსოს მოსანახულებლად გადაძვრა. საყვინთავს ჯერ უფრთხოდნენ, მერე კი მიეჩვივნენ და წყალში ჩადიოდნენ. მათთვის მომარაგებული საკვები ტივიდან ერთბაშად არ მოუტანიათ. თავიანთი დალაგებული ვერხვის ტოტები გულმოდგინედ გაიტანეს ჩვენი საწოლის

ქვემოდან და ჩემს მიერ მათთვის გაკეთებულ სოროში შეიტანეს. სანამ ვერხვის ტოტები არ დაღრღნეს და ნარჩენები არ გამოიტანეს, მანამ ტივიდან საკვები არ წაუღიათ.

ახლა ისინი ბედნიერები იყვნენ, აღარ კრუსუნებდნენ, ანცობდნენ, ჭიდაობდნენ და ძველებურად მიირთმევდნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენთვის ყურადღება არც მოუქცევიათ.

ამას ვერ ვიტყვით ჯელი როლზე. ოჯახის მხნე, მზრუნველმა დედამ გადაწყვიტა , რომ კარი მოეწესრიგებინა. კარის ქვემოდან ძლიერ უბერავდა. და აი, ჯელის საყვინთავიდან დროდადრო თიხა მოჰქონდა. თიხის გუნდას მკერდზე იკრავდა და ქოხის ჩვენს მხარეს სუფთად გაწმენდილ იატაკზე აგდებდა და კარისკენ მიაგორებდა, უკან კი ფუტი სიგანის კვალს ტოვებდა. კარს ქვემოთ ღრიჭო მარჯვედ გალესა. გვიან ღამემდე საქმიანობდა. დილით ნიჩაბი ავიღე, რათა კარი გამეღო. ხმაურზე ხელი გამოვარდა და თავისი ნაღვაწი დანგრეული რომ ნახა, აფორიაქდა, აწკმუტუნდა და აკანკალდა. ის უკან საყვინთავში ჩაძვრა და სულ მალე თიხით დატვირთულმა ამოიყვინთა და საღამოს თავისი ნაღვაწი აღადგინა. თიხა კარგად დატკეპნა, სიამოვნებით უცქერდა. უკანა თათებზე დადგა, თავს აქიცინებდა და ტორტმანობდა, თითქოს ცეკვავდა.

მისი ეს ცეკვა ჩვენ კარგს არ გვიქადდა. კარგად ვიცოდით, რომ შეწინააღმდეგებას აზრი არ ჰქონდა. უეცარი სიკვდილის გარდა ჯელის ვერაფერი შეაჩერებდა. თახვები თავისებურები არიან. მაგალითად, თუ გინდათ, რომ გააძვრინოთ, ხვრელთან უნდა მიიყვანოთ და მაშინვე მოსცილდეთ. მათთან შეწინააღმდეგება თავისის გატანის და სიცოცხლეში შეძენილ ყოველგვარი წინააღმდეგობის გადალახვის თვისებას მხოლოდ ამძაფრებს. ჩვენს შემთხვევაშიც მიწაყრილის დანგრევა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ჯელი ყოველთვის აღადგენდა და ჩვენ ბოლოს და ბოლოს ფარ–ხმალი დავყარეთ. ჩვენი პაექრობა რამდენიმე ღამეს გაგრძელდა, სანამ გამოსავალი არ ვნახეთ. ჩვენ კარის ქვედა ნაწილი სიგანეზე გავხერხეთ. გარეთ გასვლისას მიწაყრილსა და კარის ქვედა, გადახერხილ ნაწილს გადავაბიჯებდით და ასე გამოვდიოდით. გაიარა გარკვეულმა ხანმა და ჯელის კარის შეკეთება მიავიწყდა. ის და რაუხაიდი ყინულის ქვემოდან სამშენებლო მასალას გულმოდგინედ ეზიდებოდნენ. ჯერ გვეგონა, რომ ერთობოდნენ, მერე მივხვდით, რომ საყვინთავთან სახლს იშენებდნენ. მხნედ იღვწოდნენ, ყინულის ქვემოდან თიხა, ხავსი, ტოტები მოჰქონდათ და საყვინთავთან მთელი ოჯახისთვის საძინებელი ააგეს. აქვე მოაწყვეს საშრობიც. თავიანთ ახალ საცხოვრებელს ჩვენკენ გამოსასვლელად ხვრელი

დაუტოვეს და ხშირად გვესტუმრებოდნენ ხოლმე. სანამ დაიძინებდნენ ხვრელს თიხით გადალესავდნენ, მარე კი ისევ ხსნიდნენ.

მათი საცხოვრებელი შიგნიდან ხელის სანათით დავათვალიერეთ. სისუფთავე იყო. საწოლიდან ჩვენგან წაღებული დაგლეჯილი ფურცლები დაეგოთ, საშრობში კი ბალახი დაეფინათ.

ჩემს მიერ ტივზე მათთვის მომარაგებული საკვები არ ეყოთ. რადგან აქ გვიან შემოდგომით გადმოვსახლდით, თახვებმა საკვების მომარაგება ვერ მოასწრეს, ამიტომ ტბაზე ყინულის ქერქი ამოვჭერი და იქვე ვერხვის, ტირიფის და თხმელის ტოტები დავაწყე. რაუხაიდმა ჩემს ქცევას მაშინვე ალღო აუღო, ყლორტებს ამტვრევდა და ყინულის ქერქის ქვემოდან ნაწილ–ნაწილ თავიანთ სოროში მიჰქონდა. დიდ და მსხვილ ტოტებს ვჭრიდი და ყინულჭრილთან ვაწყობდი. რაუხაიდი დროს არ კარგავდა და სწრაფად მიჰქონდა. ყოველთვის მასწრებდა და ყინულჭრილთან მოთმინებით მელოდა, სანამ კიდევ არ მივიტანდი ნეკერს. ამ დროს ჯელი ქოხში ანახარეოს სტუმრობდა. ჯელი ზარმაცი არ იყო. დაღლილი რაუხაიდი ქოხისკენ გაემართა და ჯელის მოსახმავრებლად უხმობდა. ჯელიმაც თავი დამნაშავედ იგრძნო და მისახმარებლად მისკენ გაეშურა.

მთელი ზამთრის განმავლობაში ეს ენერგიული, მოუსვენარი და დაუცხრომელი ექვსეული იღწვოდა, ჭირვეულობდა, ქურდბაცაცობდა, იატაკზე ცეკვავდა, სანამ არ გაზაფხულდა და თახვებმაც ბუნებრივ პირობებში მათთვის ჩვეული ცხოვრება გააგრძელეს.

პატარა მოხეტიალეები

თავი II

ზამთარი კანადაში?! მერე როგორი! ჭეშმარიტ კანადელს ზამთარი უყვარს და მისით ტკბება, განსაკუთრებით ჩვენ, ჩრდილოელები.

მაგრამ გაზაფხულიც თავისებურად მშვენიერია. კანადის ჰავა მრავალფეროვანია. არქტიკის გაუთავებელი ჭახჭახა ყინვები ტროპიკული და სუბტროპიკული ქვეყნების

დაუსრულებელი სიცხეები კი არ არის. ჩვენთან, კანადაში ოთხი დროა და ყოველი თავისებურად თვალწარმტაცია.

გაზაფხულზე გულს ახარებს მოჩუხჩუხე ნაკადულები და პირველი ყვავილების სურნელი, გამხმარ ტოტზე კოდალას კაკუნი, შოტლანდიური კაკაბის ფრთების ტყლაშუნი და გარიჟრაჟზე ჩიტების გალობა. თავს დაგტრიალებენ თოლიები, მათგან ყურთასმენა აღარ არის. თქვენს ყურს წვდება პოლარული ღორიხვას უცნაური სევდიანი, თითქმის ადამიანისებური ხარხარი. აუღელვებლად ვერ უყურებთ ფრთოსნების საგაზაფხულო გადაფრენას. გარეული ბატების სამკუხად დაწყობილი მთელი ლეგიონი ყიჟინით მიფრინავს ჩრდილოეთისკენ. ისინი ცაში მაღლა, ზოგჯერ ერთი მილის სიმაღლეზეც მიფრინავენ და ამის მიუხედავად მათი ფრთების ტყლაშუნი მაინც ისმის.

ჩემთვის გაზაფხული ბევრის მომასწავებელია. გამოზამთრების მერე, როცა ყინული დადნება, თახვები ქოხში უაზროდ დარბიან. ხენ შემოდიან, ხან გადიან, ხმაურობენ და სულ არ "ითვალისწინებენ" რომ წიგნს ვწერ. ამ ფაციფუცში მათ მიერ არეულ ქოხს ვალაგებ. იატაკზე დაყრილს ვიღებ, სკამებს თავის ადგილზე ვაწყობ, ნაქურდალი შეშა თავის ადგილზე მიმაქვს, თან თახვებს ვეხმიანები, ვაშლებით ან რაიმე სხვა სასუსნავით ვუმასპინძლდები და ვეცდები მოგიყვეთ თუ როგორია გაზაფხული თახვების საცხოვრებელში.

აი, რა მოხდა შარშან.

გაზაფხულდა. თოვლი და ყინული ნელ–ნელა დნებოდა. უკვე ერთი კვირაა, რაც დიდი თახვები მარტონი დარჩნენ. შარშან გაზაფხულზე დაბადებულმა თახვებმა მშობლიური საცხოვრებელი დატოვეს და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყეს ნაკადულებსა და ტბებში. მათი ჭყუმპალაობა, ჭიდაობა და გაუთავებელი აურზაური სამარისებურმა სიჩუმემ შეცვალა. ღამ–ღამობით აღარ ისმის ყურისწამღები ყვირილი და კრუსუნი, ქოხში აღარ დასუნსულებენ პატარა, მაგრამ დინჯი, თვალებდაჭყეტილი პატარა არსებები, უაზროდ აღარ დაათრევენ ჯოხებს და აღარ ყრიან კარებთან. თახვების ტბორი კი მიტოვებულად და სევდიანად გამოიყურება. მე სულ ყურს ვუგდებდი და ველოდი, რომ სადაცაა გავიგებდი წყალში ტყაპანისა და შხეფების ხმას ანდა ჩემს ყურს მოსწვდებოდა თახვების ბავშვური ყვირილი.

სიჩუმეს მხოლოდ საყვინთავთან წყლის ჩუმი დგაფუნი არღვევდა. ვდარდობდი, რომ ჩემმა პატარა მეგობრებმა მიმატოვეს და მათ გარეშე თავს ეულად ვგრძნობდი. უნდა

გამოგიტყდეთ, რომ მოვიწყინე. მათთან ერთად მხიარულება მენატრებოდა, მაგრამ ბუნების კანონით დედამიწის ზურგზე ყოველი სულიერის ნაშიერნი ზრდასრული ასაკის მიღწევისთანავე დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. კარგად მესმოდა, რომ თახვების ოჯახი გამრავლდა და ამ ტბორში უკვე ვეღარ დაეტეოდა.

ჩანს, მშობელი თახვებიც ნაღვლობდნენ, განსაკუთრებით რაუხაიდი. ის მდუმარედ დასუნსულებდა და იშვიათად თუ მოუხმობდა შვილებს. ბოლოს მისთვის ჩვეული თავდაჭერილობითა და გამძლეობით შეეგუა შვილებთან განშორებას.

ერთხელ, ვახშმობისას, მას მერე, რაც პატარა თახვებმა მშობლიური კერა დატოვეს, კედელთან მძიმე, აუჩქარებელი ბაკუნი მომესმა. ნაბიჯის ხმა ახლოვდებოდა, ბოლოს მიწყდა. უჩვეულო ხმებს ყოველთვის ყურს ვუგდებდი, კარი გამოვაღე და დავინახე, რომ რაუხაიდი მოთმინებით იცდიდა რომ შემომეშვა. ის უკანა თათებზე იდგა, წინა თათებში თიხის დიდი გუნდა ეჭირა, მერე ზღურბლზე სწრაფად გადმოვიდა, ქოხი გაიარა და ტვირთი მინაშენზე დაუშვა, რომელიც შარშან ზამთარში ჯელი როლთან ერთად ზედ საყვინთავთან ააგო, მერე შემოტრიალდა და კმყაოფილი სახით ხტუნვა–ხტუნვით კარებისკენ გაემართა. კარებზე აფხაჭუნებდა, რათა ქოხიდან გამეშვა, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. მალევე დაბრუნდა. მერე ისევ გავიდა და კვლავ დაბრუნდა. მთელი ღამის განმავლობაში გადიოდა და შემოდიოდა და თიხის მძიმე გუნდები, ჯოხები და ქვები შემოჰქონდა. ყოველ ჯერზე ორმოცი ფუტის მანძილს გადიოდა, რაც მის ნაგებობას ტბის ნაპირთან აშორებდა. დიდ ჯოხებსა და პატარა მორებს ოთხივე თათზე მდგარი მოაგორებდა, თუმცა სამშენებლო მასალამეტწილად უკანა თათებზე მდგარს, გამართული ადამიანივით შემოჰქონდა. რაიმე წინაღობისას ალბათ წაიქცეოდა, მაგრამ გაბედულად და შეუსვენებლად დადიოდა.

ჩემი აზრი, რომ თახვები ჩემს ქოხში სამარადჟამოდ დასახლდნენ, მართალი აღმოჩნდა.

რაუხაიდი საცხოვრებელს ჩემს ოთახში პირდაპირ ჩემს თვალწინ იშენებდა.

ჯელი დროდადრო ქოხის გარეთ საქმიანობდა, ახალ ჯებირს აგებდა. როცა ჯელიმ ჯებირის აგება დაამთავრა, გასაძრომი ხვრელი უფრო მაღლა გააკეთა, რომელზედაც ყოველთვის უნდა გადამძვრალიყო. ეს ზაფხულის ბოლოს მოხდა.

მალე თახვები მთელი გულისყურით მოეკიდნენ ახალი საცხოვრებლის შენებას. ღამღამობით და დღის მეორე ნახევარში სულ მათი ფეხის ხმა ისმოდა. გამუდმებით რაღაცას დაათრევდნენ, ისმოდა მკვეთრი დარტყმის ხმა, ქშენა. სამშენებლო მასალას

ადგილზე მიიტანდნენ, თიხას არბილებდნენ, ჯოხებს მარჯვედ ურჭობდნენ ერთმანეთისგან დაშორებით, თუ სადმე ჯოხის წვეტები ჩანდა, კოხტად ათანაბრებდნენ. ჯოხების ნატეხებსაც იყენებდნენ, თიხით ლესავდნენ და თუ მაინც სადმე ამოჩრილი დარჩებოდა, აუცილებლად მოტეხავდნენ ანდა გაღრღნიდნენ. ასე გრძელდებოდა, სანამ წკნელებისა და ჯოხების ექვსი ფუტის სიგრძის ხლართი მიწით არ დაიფარა.

თახვები ბეჯითად, გულმოდგინედ შრომობდნენ. მასალა ტბის ნაპირიდან მოჰქონდათ. ჯოხს წინა თათებით ნიჩაბივით იჭერდნენ, თიხას ტბის ფსკერიდან თხრიდნენ, ფრთხილად მოცურავდნენ, ტვირთი რომ არ დაკარგვოდათ. თახვები ქოხის პირდაპირ თავიანთ მისადგომთან მოცურდებოდნენ და უკანა თათებზე დგებოდნენ, შეუსვენებლად იღვწოდნენ და ერთი საათის განმავლობაში თორმეტ გზობას აკეთებდნენ, ხან ცალ–ცალკე, ხან წყვილად, თვითდაჯერებულად და მიზანდასახულად მიაბიჯებდნენ.

ჯელი კარებთან არ ჩერდებოდა და კარებს ძლიერი ბიძგით აღებდა. რაუხაიდმაც მიბაძა, თუმცა ჩვეული მორიდებითა და თავაზიანად იქცეოდა. დროთა განმავლობაში "დედოფალმა" კარების შიგნიდან გაღებაც ისწავლა. ჯელი წავახალისე და კარის სახელურს თასმის მარყუჟი მივამაგრე, ისიც იყენებდა. რაუხაიდი კი ძველებურად მოთმინებით იცდიდა კართან, რომ გარეთ გამეშვა. კარის სახელურზე მიმაგრებულ მარყუჟს ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს გადავწყვიტე, რომ კარი სულ ღიად ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ქოხში მოსკიტები შემოფრინდებოდნენ ხოლმე.

რვა წელმა გაიარა მას მერე, რაც ჩვენმა პირველმა თახვებმა: მაკ–ჯინისმა და მაკ–ჯინტიმ თავიანთი აღსასრულისკენ გაცურეს. რვა წელი გვაშორებს იმ საბედისწერო ღამეს, როცა მე და ანახარეო უსახელო ტბის პირას ვიდექით და მათ უკანასკნელ გაბმულ ჭყივილს ვეხმიანებოდით და ტალღებს ვუყურებდით. ეს უტყვი ტალღები ვერაფერს გვამცნობდნენ. იქნებ ეთქვათ რაიმე, ჩვენ რომ მათი ენა გვცოდნოდა.

ახლა, როცა ვაკვირდები, რაც ჩემს თვალწინ ხდება, აღვნიშნავ თუ როგორი აღტაცებითა და კმაყოფილებით შრომობენ რაუხაიდი და ჯელი როლი და უნებურად მახსენდება არყების ტბასთან, ჩვენს ქოხში პატარა თახვების მიერ მოგროვილი რაღაც–რაღაცეებით აგებული ბარიკადა და ვფიქრობ, თუ როგორი ბედნიერები იქნებოდნენ აქ. ამასთანავე მგონია, რომ თუ ისინი ჩვენთან დარჩებოდნენ, ალბათ ვერასოდეს ვიპოვიდით ჯელი როლსა და რაუხაიდს. ბოლოს და ბოლოს გამოგიტყდებით, რომ ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა. თუ შემომთავაზებდნენ ამერჩია ამ ორ წყვილ "უმცროს

ძმებს” შორის, არჩევანს ვერ გავაკეთებდი. წარსულს ვერ დავაბრუნებთ, მაგრამ ყოველთვის გავიხსენებთ.

ამჟამად ჯელიმ ქოხის პირდაპირ ორმოს თხრა დაიწყო. მიწას თხრიდა და ფხეკდა. ალბათ საკუჭნაოდ უნდოდა, ფესვები რომ შეენახა. მე დაჟინებით ვურჩევდი, რომ მიწის თხრისთვის თავი დაენებებინა, მეშინოდა ქოხი არ დანგრეულიყო. მომეჩვენა, რომ გამიგო, მაგრამ შევცდი. ჯელიმ მომატყუა. ერთხელ დილით ქოხიდან გამოვედი და ღრმა ორმოში ჩავვარდი, თურმე მიწის მთხრელს მოესწრო და ღამით ამოეთხარა. ამას გარდა რაუხაიდს მიბაძა და თიხის გუნდებს კარებთან აგროვებდა, მერე ქოხის იატაკზე მიაგორებდა და ტალახის კვალს ტოვებდა. ყოველ დილით ნიჩბითა და საფხეკით იატაკს ვწმენდდი.

თახვებმა სწრაფად, ორ კვირაში დაამთავრეს ჩვენს ოთახში თავისი სახლის მშენებლობა. ეროვნული პარკების სამმართველოს ვთხოვე კინოოპერატორი გამოეგზავნათ, რათა თახვების საინჟინრო ნაგებობა გადაეღო. კინოოპერატორი მალე ჩამოვიდა, სწორედ ის, რომელმაც მხედრის მთასთან ჩვენი თახვები გადაიღო ცოტა ხნით ადრე, სანამ აჟაუანის ტბასთან გადმოვსახლდებოდით. კინოოპერატორს რამდენიმე თანაშემწე ახლდა. გადაღებისთვის განათების გასაუმჯობესებლად ქოხს სახურავი ავხადეთ. დაახლოებით ორი ათასი ფუტის სიგრძის ფირი გადაიღეს. მათ თახვების ყოველდღიური საქმიანობის გარდა სასაცილო საქციელიც გადაიღეს, რამაც მათ სამარადჟამოდ სახელი გაუთქვა.

ცნობისმოყვარე სტუმრები თახვებს თავაზიანად ექცეოდნენ. უნდა ითქვას, რომ თავისებური ჯელი მათ ზოგჯერ მძიმე მდგომარეობაში აგდებდა, თავისი თავშესაქცევი მეომრული ცეკვით ხშირად მთელ სცენას იკავებდა.

კინოოპერატორებს ფოტოაპარატებიც ჰქონდათ. გადამღები ჯგუფი მუდამ მზად იყო შესაფერისი მომენტის გადასაღებად. ასეთი უჩვეულო მდგომარეობა თახვებს აღიზიანებდა. ჯელის ისე ბეზრდებოდა, რომ ხანდახან დემონსტრატიულად მიდიოდა და კარგა ხანს აღარ ბრუნდებოდა. რაუხაიდს თავი ღირსეულად ეჭირა. მე კი თახვებს ალერსიანად ვამხნევებდი. დროდადრო ხან ერთთან მივიდოდი, ხან მეორესთან და მათთვის კარგად ნაცნობ ჰანგს მივუმღერებდი: “ო–ო–ო–ო–ლ–ლ რ–ა–ა–იტ, ჯელი”, “ო–ო–ო–ო–ლ–ლ რ–ა–ა–იტ, რაუხაიდ”, “ო–ო–ო–ო–ლ–ლ რ–ა–ა–იტ, მაა–უი”. ჩემი ეს მონოტონური მოხმობა თვით თავისი საქმის დიდოსტატ, ჯელიზე არანაკლებ ფიცხ მხატვარ–ფოტოგრაფსაც კი აჯადოებდა და ბოლოს თავისდა უნებურად მომბაძა და თავის ხან ერთ, ხან მეორე

თანაშემწეს მიუმღერებდა ხოლმე: “ო–ო–ო–ო–ლ–ლ რ–რ–რ–რ–ა–ა–იტ, ტომი”, “ო–ო–ო–ო–ლ–ლ რ–რ–რ–რ–ა–ა–იტ, ჯიმი”. ვერავინ ბედავდა გაცინებას.

გულგრილი არ ვიყავი, რაც ჩვენს ქოხში ხდებოდა. ახლა აქ ნამდვილი კინოსტუდია იყო.

ისე ჩანდა, თითქოს თახვებმა თავიანთი საცხოვრებელი დაამთავრეს, მაგრამ ყოველ ზაფხულს მაინც რაღაცას მიაშენებდნენ ხოლმე. ამჟამად, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მათი ნაგებობა ჩვენი ოთახის იატაკის 1/3–ს იკავებს და დიდი სიმტკიცითაც გამოირჩევა. ახლა უკვე აშკარაა თუ თახვები ასე დაუცხრომლად რატომ იღწვოდნენ. წინ მნიშვნელოვანი ამბავი გველოდა.

ჯელი როლი როგორღაც ზანტად გამოიყურებოდა, უფრო ნაკლებად შრომობდა, მეტ დროს ჩემთან ატარებდა, მუხლებზე თავს დამადებდა და ისე იძინებდა. ჩემგან ყურადღება სიამოვნებდა და თუ ალერსიანად ჩავუჩურჩულებდი ანდა ხელს გადავუსვამდი, მეკვრებოდა და სიამოვნებისგან წმუკუნებდა.

ღამღამობით თახვები გარეთ გადიოდნენ. მომავალი დედა დიდხანს თხრიდა ტბის ნაპირზე და შინ ფიჭვისა და კიდევ რაღაც ფესვები შემოჰქონდა, რაუხაიდი კი ღამღამობით ტყის უღრანში შორს მიდიოდა. ქარიან ამინდში მალე ბრუნდებოდა, შინ ფესვები და ამოთხრილი ბალახი მოჰქონდა. ეს მომარაგებული ბალახი არ შეჭამეს და საგულდაგულოდ ინახავდნენ. თახვებს თავიანთი საცხოვრებლის ოთხი ფუტის სიგანის კედლები საშუალებას აძლევდა შიგნითა სათავსო გაეუმჯობესებინათ. კარგად გვესმოდა თუ როგორ შრომობდნენ.

თახვებმა თავიანთი საცხოვრებლის კედელში ხვრელი დატოვეს გასაძრომად. შეგვეძლო შიგ შეგვეხედა და დაგვეთვალიერებინა. საძინებელი იმ სიმაღლეზე ჰქონდათ, რომ ყოველთვის მშრალი ყოფილიყო. ორივეძილის წინ ბეწვს საგულდაგულოდ იწურავდა, ივარცხნიდა და იფხიკებოდა. ჯებირი ისე გაუმჯობესეს, რომ წყლის დონე საყვინთავში თითქმის იატაკამდე აიწია. ეს იმისთვის, რომ პაწია თახვები წყალში თავიანთი პირველი მოგზაურობისას სუსტი თათებით მსუბუქად ჩატყაპუნებულიყვნენ და ამოფორთხებულიყვნენ, სანამ მათი დედა ტყიდან საკვებს მოუტანდათ.

ჯოხებისა და ტოტების ჭილოფი–ტივი შესასვლელთან ჰქონდათ მიმაგრებული, რათაპაწია თახვები ღრმა წყლიდან იოლად ამოსულიყვნენ. შემოდგომაზე თახვებმა ტივზე საკვები მოიმარაგეს. ჭილოფ–ტივს უმთავრესად დამცავი დანიშნულება ჰქონდა. აქ პაწია

თახვები დაიმალებოდნენ, როცა მტაცებელი ფრინველი დაესხმოდათ თავს, რადგან თახვები სამი წლის ასაკამდე ვერ ყვინთავენ. მზრუნველმა მშობლებმა სათადარიგო გასასვლელებიც გააკეთეს, იქნებ გვირაბში მათ სახმელეთო მტერს – წავს ანდა მშიერ ქარიყლაპიას შემოეღწია.

რამდენიმე კვირის წინათ ერთი ინდიელი მესტუმრა. ის ცხენით მოვიდა და მისი წასვლის მერე ცოტაოდენი თივა დარჩა. რაუხაიდი რამდენჯერმე მივიდა თივასთან და აკვირდებოდა. მერე კი ღამღამობით თივას ეზიდებოდა. თახვს თივა წინა თათებით ეჭირა და უკანა თათებზე ამართული მოდიოდა. თივა მაღალი ნაპირის ფერდობიდან ოცდაათი ფუტის მანძილზე მოჰქონდა. ეს იოლი არ იყო. მარტო იმიტომ კი არა, რომ თივა თვალებზე ეფარებოდა და გზას ვერ ხედავდა, არამედ კიდევ იმიტომ, რომ თახვს ამართული სიარული სწორ ადგილზე ან კიდევ აღმართზე შეუძლია, დაღმართზე კი უძნელდებოდა. თახვს თივა საგებად სჭირდებოდა. ჯელი ბოლო ხანს არ ჩანდა და ვხვდებოდი, რომ მალე რაღაც უნდა მომხდარიყო და ერთ საღამოსაც, ყვავილობის თვეში, სავსე მთვარეობისას მათი საცხოვრებლის განიერი კედლიდან მომესმა ახალდაბადებული ბავშვის ტირილის საოცრად მსგავსი ახალდაბადებული თახვების ტირილის ხმა, რასაც მშობლების "იავნანა" ფარავდა. პაწია თახვები მეცოდებოდნენ, მათ ყურებს ასეთი უხეში და ბოხი ხმა რომ ესმოდათ. იქნებ ეს ოჯახური საუბარი იყო? იქნებ პაწიებით აღფრთოვანებული მშობლები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ?

მათ ოთახში შევიხედე და მოწმე გავხდი მათი ოჯახური სცენისა, რომელსაც გულგრილად ვერავინ შეხედავდა. ოთხი დიუმის [25] სიგრძის ოთხი ფუმფულა მოწითალო–მოყავისფრო, შავთვალა და პაწია კუდიანი ახალდაბადებული თახვები უმწეოდ იწვნენ და დედა თახვი ადამიანის ხელის მსგავსი ნაჯაფარი თათებით უნანავებდა, ალერსიანად ებუტბუტებოდა. მისი პაწიების ჭყვირილში ნათლად გამოსჭვიოდა პროტესტი ნოტი, როგორც ეს ახალშობილებს სჩვევიათ.

მამა–თახვზე დაკვირვებით დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ თუ მშობიარობისას არ დაეხმარა, ყოველ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად ყველაფერი გააკეთა. მოგვიანებით საყვინთავში ჩაძვრა და ისე ჩუმად, უხმოდ აღმოჩნდა წყალში, რომ ბინდბუნდში ვერც კი შევამჩნიე მისი გაუჩინარება. ის ჭყიოდა, კუდს ატყლაშუნებდა, აქეთ–იქით აშხეფებდა და

[25] დიუმი – ინგ. საზომი ერთეული, ფუტის 1/12 ნაწილი, უდრის 2,54 სმ–ს.

ყვინთავდა. ნაპირ–ნაპირ მიცურავდა, მე კი კანოეთი მივდევდი. თახვის ასეთი ქცევის მნახველი მიხვდებოდა, რომ ის ამით ოჯახურ სიხარულს გამოხატავდა. აღტაცებული თახვი დროდადრო ხმამაღლა ყვიროდა, ხან კანოეში ამობობღდებოდა, ხან ნაპირზე გადავიდოდა, მერე ისევ უკან ბრუნდებოდა. კანოეში მუხლებზე დავდექი და ალერსიანად ვუჩურჩულე და თან ჩემთვის გავიფიქრე, რომ ალბათ, სადღაც ბოროტი მტერია მიმალული, რომელიც პირველივე შემთხვევისთანავე დახოცავს დედა–თახვსა და მის პაწიებს და დაანგრევს მათ მიერ მტრისგან თავდასაცავად აგებულ მიწურს. მეცოდებოდა ჩემი ერთგული, უტყვი მეგობარი და ვინატრე, რომ მეც ასე აშკარად გამომეხატა მომავლის შიშით დანისლული სიხარული.

იმ ღამეს და მერეც რაუხაიდი დაუღალავად აგროვებდა და შინ მიჰქონდა საგები და საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული. როცა დედა–თახვი ფესვებისა და ბალახის მოსაგროვებლად გადიოდა, რაუხაიდი ამ დროს თავის პაწიებს უნანავებდა, ცდილობდა ჯელისთვის მიებაძა, მაგრამ ულაზათოდ გამოსდიოდა. როცა ჯელი შინ დიდხანს არ ბრუნდებოდა, რაუხაიდი მიწურს არ ტოვებდა, შვილებს არ სცილდებოდა და როცა პაწია თახვები წაკინკლავდებოდნენ, აშველებდა, უჩვეულოდ ეხმიანებოდა და პაწიებიც მშვიდდებოდნენ. დროდადრო მისი მამობა მაინცვიფრებდა კიდეც.

ერთხელ, როცა ჩვენს თახვებს ვაკვირდებოდით და ყურს ვუგდებდით, ერთი ამბავი გამახსენდა, რაც დიდი ხნის წინათ აბიტიბის რაიონში უკაცრიელ ადგილას შემემთხვა. ერთ საღამოს, მას მერე რაც დავბანაკდით, ერთმა ჩვენმა მონადირემ დიდი დედა–თახვი მოინადირა. ეს გაზაფხულზე მოხდა. არავის უფიქრია უმწეო, დაობლებულ თახვებზე, რომელთა სიცოცხლე დედაზე იყო დამოკიდებული. მახსოვს იმ მონადირის შემეხარბა კიდეც და ვნანობდი, მე რომ არ ჩამივარდა ხელში. მთელი ღამის განმავლობაში ჩვენამდე აღწევდა ჯერ არ გაგონილი ხმა. ხშირად მეორდებოდა ერთი გაბმული, სევდიანი ნოტი. მე ვერ გავერკვიე და ერთ შუა ხნის კაცს ვკითხე თუ რა ცხოველი იყო. მან საკმაოდ პირქუშად მიპასუხა, რომ ბუ კიოდა. მე ხომ ვიცოდი, რომ ბუ არ იყო. დილით, როცა გზას დავადექით, ეს ხმა ისევ ისმოდა. ახლა კი ვიცი, რომ მამალი თახვი დაჟინებით უხმობდა დაკარგულ მეწყვილეს. ახლა ვხვდები, რომ გამოცდილმა მონადირემ, როგორც ახლა მე, კარგად იცოდა ვინ ხმიანობდა, პირქუშად მომიგო, რათა პასუხისგან თავი აერიდებინა. ვხედავდი, როგორ ზრუნავდა პაწიებზე რაუხაიდი. ერთხელ, როცა ჯელი საკმაოდ დიდხანს შინ არ დაბრუნდა, მოწმე ვიყავი როგორი უცნაური, შეშფოთებული ხმა აღმოხდა მას. ეს სულისშემძვრელი ხმა,

რაც ახლა ხშირად მესმის, მახსენებს ოცდაათი წლის წინათ იმ ღამეს, როცა დარდიანი მამალი თახვი თავის მეწყვილეს ეძებდა. არ იცოდა, რომ ვეღარასოდეს ნახავდა და სულ უხმობდა და უხმობდა. დედა–თახვის ყურებს კი უკვე აღარაფერი ესმოდა და მანაც მის არყოფნაში ყველაფერი იღონა, რომ პაწიებისთვის ეშველა, მაგრამ ისინი მის თვალწინ ნელ–ნელა იხოცებოდნენ.

თავსხმა წვიმებისა და სუსხიანი ქარის გამო რაუხაიდმა გასაძრომი ხვრელი ორივე მხრიდან დაგმანა. ასე, რომ სამი კვირის განმავლობაში თახვების ოჯახი ჩვენგან დაფარული იყო. მათ ცხოვრებაში ჩაურევლობის აღთქმას მკაცრად ვიცავდით და გასაძრომი ხვრელის გახსნა არც კი გვიცდია. ჩვენ თახვებს სულ ვაკვირდებოდით, მაგრამ მათი ცხოვრების ეს პერიოდი ჩვენთვის დაფარული, გადაუშლელ წიგნად დარჩა.

დათვი უასკეზიედან

უასკეზიე – ეს ამავე სახელწოდების დიდი და უკიდეგანო ტბის ქვიშიან ნაპირზე მდებარე კარვების პატარა ქალაქია. ჰორიზონტის ხაზზე ფიჭვნარით დაფარული ჩამოფლატული ნაპირები თითქოს ერთმანეთს უერთდება, წყალი კი ისრის გასროლის მანძილზე მხოლოდ ზაფხულობით, მზის სინათლეზე მოჩანს.

როცა თქვენ ტბა უასკეზიეს ნაპირზე დგახართ, თქვენთვის ძნელად წარმოსადგენია სიტყვა "მანძილის" მნიშვნელობა. ამ პატარა საკურორტო ქალაქიდან ოცდაათი მილის დაშორებით, შორეული კლდეკარების უკან ტბა აჟაუანი მდებარეობს. აქ, კანადის ერთ–ერთ დიდ ეროვნულ პარკში ჩემთან ერთადჩემი თახვები ბინადრობენ. ჩემამდე მხოლოდ წყლის გზით თუ მოაღწევთ. ეს გასაოცარი ადგილები სრულიად მისაწვდომია მოგზაურობის მოყვარულთათვის და ჩემი თახვებიც სტუმართმოყვრულად შეგხვდებიან.

საჭაპანო ბილიკის მხრიდან ჩემსკენ მოახლოებულ კანოეს შევნიშნავ თუ არა, ანდა ტყის დაკლაკნილ ბილიკებზე ადამიანს მოვკრავ თვალს, გული სიხარულით მევსება და მაშინვე სიამოვნებით ვახარებ ჯელი როლს, რაუხაიდს და მათ ოჯახობას. აქ მარტო ვცხოვრობ, თუ არ ჩავთვლით ჩემს ოთხფეხა და ფრთოსან მეგობრებს. ადამიანებთან შეხვედრა ფრიად მეძვირფასება, აუცილებელიცაა. ისინი ბევრს მმატებენ.

ამ ველური მხარის უკიდეგანო სივრცეები ხელუხლებელი ტყეებითა და მრავალრიცხოვანი ტბებითაა დაფარული. თუ აღმოსავლეთისაკენ ანდა დასავლეთისაკენ ან კიდევ ჩრდილოეთისაკენ თვით პოლარულ წრემდე ივლით, ყველგან პირველყოფილი ბუნება და ალაგ–ალაგ სავაჭრო პოსტი შეგხვდებათ.

ყოველ გაზაფხულზე უასკეზიეში მრავალი ადამიანი ჩამოდის, დაბანაკდებიან, შემოდგომაზე კი უკან ბრუნდებიან და უკიდეგანო, უკაცრიელ მხარეს გარეული ნადირ–ფრინველისა და ჩემს ამარად ტოვებენ.

უასკეზიეში ყველაზე საინტერესო სტუმრები დათვებია. როგორს არ შეხვდებით. ასი ფუნტის წონის ბელებსაც, რომლებიც დამოუკიდებელ ცხოვრებას ახლა იწყებენ, დიდ დათვებსაც, რომლებიც ექვსას ფუნტს იწონიან, უფრო დიდებსაც. აქაური დათვები ჟღალი–ყავისფერები, მუქი ყავისფერები და ყავისფერებია. ერთხელ ღია ბრინჯაოსფერი

დათვი შემომხვდა. ამ ადგილებში გრიზლი არ ბინადრობს. დათვი უწყინარი, კეთილი ცხოველია. ის ყურადღებას არ აქცევს, ერთხელ გზაზე მიმავალიც კი შევნიშნე. კარვების პატარა ქალაქის ქუჩები ღამით განათებულია, ფანრები ერთმანეთისგან კარგა მანძილითაა დაშორებული და ამის გამო ხილვადობა ნაკლებია. ისიც მომხდარა, რომ ადამიანები სიბნელეში დათვს გადაჰყრიან და შეუშინებიათ. ამის გამო ურჩიეს, რომ განათება გაეუმჯობესებინათ. თავშესაქცევი საყურებელია რამდენიმე დათვი საზაფხულო სამზარეულოდან როგორ იტაცებს საკვებს. უნდა აღინიშნოს, რომ დათვები ერთმანეთს თავაზიანად ექცევიან და სრულიად არ აქცევენ ყურადღებას ცნობისმოყვარე ადამიანებს, რომლებიც ისე ოცი ფუტის მანძილიდან თვალებდაჭყეტილები უყურებენ და გაუთავებლად ფოტოაპარატებს აჩხაკუნებენ.

უასკეზიესთან ახლოს, ბუჩქნარში, სადაც დიდი შარაგზა გადის, დედა დათვი ბელებთან ერთად ბინადრობს. ისინი შარაგზაზე ხშირად გამოდიან და მანქანებს ელოდებიან. მანქანას გააჩერებთ თუ არა, დათვის ოჯახობა მოგიახლოვდებათ და მორცხვობის გარეშე სასუსნავს მოგთხოვთ. ასეთი ამბები სრულიად აბათილებს მოთხრობებს დედა დათვის მძვინვარებაზე. აღსანიშნავია, რომ მანქანაშ იმსხდომ ადამიანებს ეს ერთობს და ისინიც შემდეგ სიამაყით ყვებიან თუ როგორ ჩახედეს თვალებში საშინელ ნადირს – დედა დათვს.

უასკეზიეში ახალდასახლებული ახალგაზრდა და ჯერ გამოუცდელი დათვები ხანდახან რაღაცას მოიმოქმედებენ, ხან ცარიელ კარავში შეძვრებიან და დაიძინებენ, ხან ნაგვის ყუთებში ჩაყირავდებიან და ფართხალებენ, სანამ ვინმე არ მიეშველება. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მომიყვა, რომ როცა ის კარავში შევიდა,მწოლიარე შავი ძაღლი მოეჩვენა, რომელმაც ყურადღება არც კი მიაქცია. გაბრაზებულმა დაუპატიჟებელ სტუმარს ჯერ ხელი გაულაწუნა, მერეკი შეეცადა ცოცხით გამოეგდო. სწორედ მაშინ შენიშნა, რომ ძაღლი კი არა, საკმაოდ დიდი დათვი იყო. უწყინარი დათვი ადგა და გაერიდა.

ასეთი ამბავიც მომიყვეს. ერთმა ბელმა, რომელიც კარვებს შორის დაწანწალებდა, ქალის საცვლები წაიღო. ჯერ თამაშობდა, მერე ახალი თავგადასავლების საძიებლად გაეშურა, მაგრამ საცვალი ბრჭყალზე წამოედო და მოძრაობაში უშლიდა. დროდადრო ჩერდებოდა, ცდილობდა საცვალი მოეშორებინა. უკანა ტორებზე ამართული ბელი წინა ტორებს მაღლა სწევდა და საცვალს დროშასავით აფრიალებდა, აქეთ–იქით ბანცალებდა, ცდილობდა

საცვლისგან თავი დაეხსნა. ბოლოს და ბოლსო საცვალი მოძვრა და ხის ტოტზე დაეკიდა. ბელმა შვებით ამოისუნთქა და გზა გააგრძელა.

მოხდა ისიც, რომ ქალაქურ ყოფას გაუთვითცნობიერებელი დათვი საწყობს გადააწყდა. დიდი ზიანი არ მიუყენებია. დარაჯი დაადანაშაულეს, რომელსაც კარების დაკეტვა დავიწყებოდა. არც ერთი თავკერძა დათვი ამას არ იკადრებდა, რადგან უფრო იოლია საჭმელი სამზარეულოში მოითხოვოს.

ერთხელ სხვა საკურორტო ქალაქიდან გვაცნობეს, რომ დათვი ბუჩქნარში ბავშვებთან მოთამაშე ნახეს. კიდევ როგორ უნდა მოიქცეს დათვი, რომ ადამიანთა ნდობა დაიმსახუროს, ალბათ ბავშვები ზურგზე უნდა დაისვან და ქალაქში მოიყვანონ.

დათვი სიამოვნებით შეექცევა შეთავაზებულ ანდა მაგიდაზე დარჩენილ საკვებს. მხიარულია და თავშესაქცევი ხასიათი აქვს და არ არის საჭირო მისი ნაკლის გაზვიადება. მისი უნდა გესმოდეთ და არ უნდა დაწვრილმანდეთ. დათვები საკუჭნაოებს რომ ტეხავენ და ფქვილის ტომრებს იტაცებენ და მერე ასე ასი აკრის[26] ფართობზე მიმოაბნევენ და გორაობენ. ეს მათ სიცელქეს მიანიშნებს. მათ კოტრიალი სიამოვნებთ, მაგრამ თუ დათვს ასე 2 კგ–იან ხორცის კონსერვს დაანახვებთ (თავს ნუ შეიწუხებთ, დათვი თვითონ გახსნის), და კიდევ თაფლის ქილებს, მაშინ დათვის ყურადღებას ცოტა ხნით მაინც მიიპყრობთ.

ამ ადგილებს დათვები განსაკუთრებულ იერს სძენენ. უასკეზიეს ხშირი სტუმრები თვლიან, რომ აქ ადამიანებს სწორედ ეს ბაჯბაჯები იზიდავენ. ალბათ, ზოგიერთი მშიშარა ადამიანი შეცბება, როცა კარვების ქალაქის მთავარ ქუჩაზე დათვს დაინახავს. სტუმრების უმრავლესობას დათვებთან შეხვედრა სიამოვნებთ. დათვი ტყის კლოუნია, ტლანქი და ქურდბაცაცა. ამავე დროს საყვარელი, კეთილი და უწყინარია, როცა მას კარგად ექცევიან.

უასკეზიეს მიდამოებში არც ერთი უბედური შემხთვევა ან დათვების თავდასხმა არ მომხდარა, მხოლოდ თავშესაქცევი ამბები.

ველური ცხოველები როგორც კი ეროვნულ პარკში მოხვდებიან, გარემოს მალევე ეგუებიან, ადამიანებს მალე ეჩვევიან და საქმიანობაში ხელს არ უშლიან, თუ თვითონ ადამიანი არ ჩაყოფს ცხვირს მათ საქმეში. ჩანს ისინი აქ ერთობიან. რამდენიმე ლამაზბეწვიანი მელია, შავი, მოვერცხლისფრო–რუხი აქ, ამ საზაფხულო კურორტზე დასახლდა. მიუხედავად იმისა, რომ მელიები უკიდეგანო სივრცეებზე მაწანწალები არიან,

[26] აკრი – ფართობის ერთეული, უდრის 4047 კვ. მ–ს.

მეტწილად დროს კურორტზე ატარებენ. ძალიან ლამაზი მოვერცხლისფრო–რუხი მელია ოთხი კუპრივით შავ ლეკვთან ეთრად გზის პირას იდგა და მიცქერდა. ისინი ზამთრობით გამყოლი – თარჯიმანის ქოხს ხშირად აკითხავდნენ, სადაც გულუხვად უმასპინძლდებოდნენ.

მე უასკეზიეში იშვიათად ვარ და არ ვიცი რა ხდება იქ წლების განმავლობაში, ამიტომ გაკვირვებული ვუყურებდი თუ ირმის ჯოგი როგორ მისდევდა ცნობისმოყვარე სტუმრებს. ხუთი ირემი მსუბუქად და გრაციოზულად დამწკრივებულიყვნენ. ველური პირველყოფილი ბუნების ფეხმარდ, ლაღ შვილებზე, ტყის უღრანის წარგზავნილებზე ვიღაცას უთქვამს: “ეს სრულყოფილი არსებაა”.

ის მართალი იყო.

ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე ერთი ირემი უასკეზიეს შეეჩვია და სულ იქ ბინადრობდა. ის, როგორც ამბობენ თამბაქოთი დაიღუპა. არა, თამბაქოს კი არ ეწეოდა, არამედ ღეჭავდა და როგორც მითხრეს თავისებური ნარკომანიც ყოფილა. საღამოს ერთი ახალგაზრდა ქალი ტბის ნაპირზე სასეირნოდ წავიდა. ირემიც უკან მიჰყვა. ქალი ირემს იცნობდა, არ გააგდო და ერთად სეირნობდნენ ტბის ნაპირზე. დაღლილი ქალი დასასვენებლად დაჯდა, ირემმაც მიბაძა. მერე ქალი ადგა, რათა შინ დაბრუნებულიყო. ჩანს ირემს შინ დაბრუნება არ ეჩქარებოდა, ქალს უბიძგა და აიძულა დამჯდარიყო, თვითონ კი მის გვერდით წამოწვა. კარგა ხანმა გაიარა, ქალი კვლავ წამოდგა, მაგრამ თანამგზავრმა ირემმა კვლავ აიძულა დამჯდარიყო. ეს რამდენჯერმე განმეორდა. ქალი ვერ დგებოდა, ირემი რომ არ გაეჯავრებინა. ირემიც მის ფეხებთან იწვა. ბოლოს ქალს მისი ამხანაგები მიეშველნენ, ირემი დანებდა და მათთან ერთად კარვების ქალაქში დაბრუნდა.

ის ცხოველები, რომლებიც უასკეზიეს ირგვლივ სერებზე ბინადრობენ, მათგან გაქცეულებს ალმაცერად უყურებენ. ისინი თანამოძმეებს არ ეწინააღმდეგებიან და გაქცეულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

ტყის დიდი და პატარა ბინადარნი

მზე ჩაესვენა. ტბა აჟაუანის თავზე მკრთალი მთვარე ამოცურდა და ტყეს მუქი გრძელი ჩრდილები დაეფინა. პატარა, მაგრამ ღრმა აჟაუანი ვერცხლისწყალივით ლაპლაპებს ტყიან სერებს შორის, რომლებიც მწვანე ტალღებივით გადაჭიმულა შორს, ჩრდილოეთით, ყინულოვანი ოკეანის ნაპირებამდე.

დღე–ღამის განმავლობაში გარემომცველი ბუნება ტბის წყლის სარკეზე სხვადასხვაფრად ირეკლება. დღისით ტბა ზურმუხტისფერია, გამჭვირვალე და მის სარკეზე ტყე ირეკლება, ღამით, მთვარის შუქზე ვერცხლისფერი დაჰკრავს, საღამოობით კი, დაბინდებისას, დაისის საზეიმო წუთებში მეწამულად გამოიყურება.

ტბის პირას მორებისგან აგებული ქოხი დგას. ეს, ჩემი და თახვების საცხოვრებელია. ეს მოკრძალებული ქოხი ავაგე და მაკ–ჯინისის ადრინდელი, დღეს უკვე გაუკაცრიელებული ქოხის მიხედვით შორეულ ტემისკაუატში, სადაც მოთხრობების წერა დავიწყე.

ამ ქოხში ჩემი თახვების გარდა თავს იყრიან იმ ტყის სხვა ბინადარნიც, რის შუაგულშიც ჩვენ ვცხოვრობთ. დიდი და პატარა ველური ცხოველები, მფრთხალებიც კი, ხშირ ბალახში ჩამალულნი თავიანთ იდუმალ ცხოვრებას თავს ანებებენ და ტყის უღრანიდან მეწვევიან ხოლმე, რათა ზოგიერთი მათგანი ჩემთან დასახლდეს, ზოგი კი დროდადრო მაკითხებს. პატარა, თაგვისოდენა თახვი სულ ჩემს სიახლოვეს ტრიალებს, იმის იმედით, რომ საკარაქეს სახურავის დახურება დამავიწყდება და ცხენისოდენა ცხენ–ირემი სამნახევარი ფუტის სიგანის თვალწარმტაცი რქებით. ის ჩემი ხშირი სტუმარია, ფიქრებში ჩაძირული ჩემს სარკმელთან ხშირად ჩერდება ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებისგან შორს, განმარტოებით ვცხოვრობ, მარტოობას არ ვუჩივი. საკმარისია ჩემი ქოხის ზღურბლს გადავაბიჯო, რომ უმალ ჩემკენ გამოეშურებიან პატარა, ფუმფულა კუდიანი და ჭრელბეწვიანი ცხოველები და მელოდებიან თუ რით გავუმასპინძლდები. ამ წვრილფეხობამ იცის, თუ სად ვცხოვრობ და რომ ჩემგან სასუსნავის გარეშე არავინ მიდის. დიდი ცხოველები ჩემთან საკვებისთვის არ მოდიან, რაც ტყეში უხვად მოიპოვება, ალბათ უფრო სულიერთან ურთიერთობა სიამოვნებთ, როგორც ტყის უღრანში მცხოვრები ადამიანი დროდადრო გასართობად ქალაქში მიემგზავრება. ზოგი ფრთოსანი ნამდვილი მათხოვარია, განსაკუთრებით ჩხიკვი. ისინი ცულის

პირველსავე დარტყმაზე ანდა კოცონის კვამლზე უხმოდ გამოჩნდებიან და სხვადასხვა ეშმაკურიოინებითა და ხრიკებით საწადელს აღწევენ. მათი სასაცილო ქცევა ცხოვრებისეულ ერთფეროვნებას თავშესაქცევარს ხდის. ტყის უღრანში მცხოვრებ ადამიანს ჰგონია, რომ ჩხიკვი მასთან პურისა და ხორცისთვის მეგობრობს, მაგრამ მალე მიხვდება, რომ მას ნასუფრალი ეცოტავება და ისინიც დაღვრემილნი ირგვლივ ტოტებზე ჩამოსხდებიან და მოგაშტერდებიან, თითქოს შიმშილით სული სძვრებათ, სანამ გამოუცდელი მოგზაური გულუხვად არ გაუმასპინძლდება.

ირმა ჩხიკვმა ტყის იმ ნაწილში, სადაც თავდაპირველად დავსახლდი, ჩემს ირნგვლივ ხუთი მილის მანძილზე თანამოძმეებს მოუხმო. ტყის შემოვლისას მათხოვრების ეს ჯგრო სულ თან დამდევს. როგორც კი ქოოხიდან გამოვალ, მნიშვნელობა არა აქვს ხელში ცული მიჭირავს თუ ცარიელი ქოთანი, უმალ საათობით მომლოდინე მზვერავების ხმა გაისმის. თუ ჩიტების გადაძახილს ჩვენს ენაზე გადავთარგმნით: “ძმებო! აი ისიც!” შევჩერდები თუ არა, ჩემს ირგვლივ ხის ტოტებზე ჩამოსხდებიან და ერთმანეთს უსტვენენ. ზოგი ცელქობს, ზოგი ლაქუცობს, განწყობილების მიხედვით. მე გარინდებული დაჟინებით ვუყურებ და ზოგიერთი ამ დროს თავს შეაბრუნებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ან ხელი აიღეს დაფარულ განზრახვაზე (მათ შეუძლიათ ბრინჯაოსფერ მაიმუნს თვალი ამოკორტნონ), ანდა თავს გულგრილად აჩვენებენ. ამას ვერ გამოვიცნობთ. თვალს არ მაცილებენ, ყოველ ჩემს მოძრაობას აკვირდებიან, მათ თვალს არაფერი გამოეპარება, ერთი ნამცეციც კი. ბევრი მათგანი ჩემი ხელიდან ნამცეცებს კენკავს, ზოგი ჩამიქროლებს და თავის წილს ფრენისას წაიღებს. ჩხიკვები ღორმუცელები არიან და შემთხვევას არ გაუშვებენ, რომ არ იქურდონ, სამაგიეროდ უწყინარი დაუცხრომლები არიან და მათთან ადამიანი არ მოიწყენს. ეს ეშმაკუნები თითქოს დაღლილი მოგზაურის ყურის საამებლად ჭიკჭიკებენ. ისინი გასაოცარი მიზანდასახულობით მოიპოვებენ სასუსნავს. ერთხელ დავინახე, რომ კოდალამ ჩხიკვს გაყინული ხორცის ნაჭერი წაართვა. ჩხიკვი მოთმინებით ელოდა, სანამ კოდალა ძვალს ისე ამტვრევდა, როგორც ხეს. გაყინული ხორცის ნაწილები სხვადასხვა მხარეს ცვიოდა. როცა კოდალა საქმეს მორჩა, მხოლოდ გასუფთავებული ძვალიღა შერჩა, ჩხიკვი კი ხორცის ნაწილებს აგროვებდა. კარგადაც გამოძღა, საწყალი კოდალა კი ამაოდ დაშვრა.

ჩრდილოეთში მკვეთრი შეფერილობის ფრთოსნები იშვიათია და ჭრელი – ჟოლოსფერი ქოჩორა კოდალა თვალს ახარებს, როცა ის ხიდან ხეზე ისარივით გადაფრინდება. მერე როგორი ხმაურიანია! ქოხის ირგვლივ თახვებს ხეებისთვის ქერქი რომ არ შემოეღრღნათ,

ღეროს ქვედა ნაწილში ფესვებთან თუნუქი შემოვაკარი. აქაური კოდალები კონცერტებს ატარებენ, თავს იქცევენ, ერთობიან. უკვე კარგა ხანია უძილობა ჩვევად მექცა და დასაძინებლად მხოლოდ გათენებისას ვწვები. დავწვები თუ არა, კოდალები თუნუქზე ისე აკაკუნებენ, რომ მხოლოდ ტყვიამფრქვევის ხმა თუ შეედრება. ასეთ ჯოჯოხეთურ ხმაურში ვცდილობ დავიძინო, ხან მეძინება, ხან არა. ის დრო მახსენდება, ნადირობა რომ დავიწყე. მაშინ საათი არ მქონდა და ადრე რომ ავმდგარიყავი, აი როგორი "მაღვიძარა" მოვიფიქრე: ძალიან გაყინული ხორცი თუნუქის თასში ჩავდე და ჩემი ქოხმახის სახურავზე, პირდაპირ ჩემი საწოლის ზემოთ დავდე. როგორც კი გათენდებოდა ჩხიკვები გაყინულ ხორცს ამტვრევდნენ და ისე ხმაურობდნენ, რომ ყველას გაეღვიძებოდა. ვფიქრობ, ჩემს გარდა ასეთი რამ თავში არავის მოსვლია. ასეთ "მაღვიძარას" ჩვეულებრივთან შედარებით უპირატესობაც კი ჰქონდა, რადგან ცუდ ამინდში ჩიტები არ მოფრინდებოდნენ ხოლმე და ჩემი "მაღვიძარაც" დუმდა, დიდთოვლობისას ხმა ყრუდ ისმოდა და მეც ვხვდებოდი, რომ ადრე არ უნდა ავმდგარიყავი.

ჩემს ქოხთან ახლოს კოდალების ოჯახი ბინადრობს. დედალმა კოდალამ ბუდე ფუღუროში გაიკეთა და ბარტყები გამოჩეკა. დილაუთენია ისმის მათი მონოტონური გაუთავებელი ჟღურტული და საღამომდე არ წყდება. მგონია, რომ არც არასოდეს შეწყდება. თუ რადიოს ოდესღაც ფრთოსანთა გაუთავებელი გამკინავი ხმები დასჭირდება, ამ ბარტყებს დიდი მომავალი ელით.

უკვე რამდენი წელია ქოჩორა კაკაბი ბარტყებთან ერთად გამოჩნდება ხოლმე. ორი–სამი ბარტყი ბუს მსხვერპლი ხდება, უმეტესობა დედის მზრუნველობით გადარჩება. იხვები, ჩიბუხები, წყლის სხვა ფრინველები, ის მგალობელი ჩიტებიც, რომლებიც ბუდეებს მიწაზე იკეთებენ, დაჭრილებივით უმწეოდ გამოიყურებიან და მტრის მოტყუებას ცდილობენ, რათა ბუდეებიდან შორს გაიტყუონ. კაკბებიც ასე იცავენ თავს. შეიძლება ადამიანსაც კი შეუტიონ. დედალი პირდაპირ სახეში მიაფრინდება. ფრთებს აფართხუნებს და გველივით სისინებს. ასეთი თავდაუზოგავი სიმამაცის წინაშე ყველაზე გულქვა და უხეში ადამიანიც კი ქედს მოიხრის. ზამთარში, როცა მისი ბარტყები უკვე გაფრინდნენ, ის ნამდქერში იძინებს, დღისით კი ეზოსთან მოხდენილად სეირნობს. ძლიერ ყინვებისას კაკაბი ბუმბულს აიშლის, ხან მიიკრავს, თითქოს ხან იბერება და ხან იჩუტება შებუმბლული ბურთივით, ხან ბუმბულდაწყობილი მოკლე მოხდენილი ფეხებით დაიარება. ჩემს ქოხთან ახლოს ერთი

ლამაზი ვერხვი ამოირჩია და წლების განმავლობაში მისი კვირტებით იკვებებოდა, სანამ ვერხვი არ გახმა.

დღეს ჩემს ქოხს არწივი დასტრიალებდა. ისე დაბლა დაფრინავდა, რომ მისი ფრთების ხმა სიჩუმეში ავის მომასწავებლად ხმამაღლა ისმოდა. ცოტა ხანს ფრენა შეანელა, თითქოს უნდოდა დამჯდარიყო, მაგრამ მერე ჩანს გადაიფიქრა და გზა გააგრძელა. ორი წელია, რაც ეს არწივი არ მინახავს, ბუდე ჩემგან ორი მილის დაშორებით ჰქონდა გაკეთებული. ჩემი დაკვირვებით არწივი ერთადერთი ფრინველია, რომელიც ფრენისას თავს აბრუნებს და ირგვლივ აკვირდება. ამ არწივმა ფრენისას თავი მოაბრუნა და გამომცდელად შემომხედა.

უეცრად ზურგზე ციყვი დამაჯდა, მერე მხარზე ამოფორთხდა და ხელდან მიწის თხილი გამტაცა. მისთვის მიწის თხილი ყოველთვის შენახული მაქვს. ახლა ჩემი ქოხის კედელზე მისთვის გაკეთებული თაროსკენ გაეშურა, მოხერხებულად მოეწყო, თხილი მარჯვედ გაასუფთავა და შეჭამა. ციყვი, როცა კარგ ხასიათზეა, ჩემს სტუმრებსაც არ ერიდება. ჩემთან მოჩვეული ციყვების უმრავლესობა მიწის თხილს სწრაფად არჩევს და გულს შეექცევა. ციყვები საათში ასი მილის სიჩქარით დარბიან. მე მას შეპავი დავარქვი ანუ "ხტუნია". ამ ციყვს სულ არ ჰგავს ჩემი პატარა მეგობარი ციყვი "მთვარეული". ჯერ კიდევ მაშინ, როცა სულ პაწია იყო, ჩემს ქოხში შემოდიოდა და აქეთ–იქით უაზროდ დაეხეტებოდა. ჩემს ნაცნობ ციყვებში ერთადერთი იყო, რომელიც ზანტად, აუჩქარებლად დადიოდა და რომელსაც ხელში ვიყვანდი. როცა შეშას ვჭრიდი, მაშინაც არ მტოვებდა. ერთხელ გახურებულ ღუმელზე ახტა და მერე უცებ სადღაც გაქრა. მის არყოფნას განვიცდიდი და ვრადობდი, ცოცხალი აღარც მეგონა. უიმისოდ თითქოს ეზო დაცარიელდა. ხის ტოტებს, რომელთაც ის თავს აფარებდა, დაათოვა და სხვა ციყვები გამოჩნდნენ... მაგრამ ამ ზაფხულს "მთვარეული" დაბრუნდა. ის ძველებურად საყვარელი და მიმნდობი იყო, მაგრამ სხვა ციყვების გამოჩენისას გაბრაზდებოდა ხოლმე.

როცა "მთვარეული" გაუჩინარდა, სხვა ციყვი მოვიჩვიე, მერე სხვაც. ახლა სამი, ერთმანეთის მეტოქე ციყვი მყავს. თითოეული ჩემს ქოხს და თანამოძმეებს, ვინც კი აქ ფეხს დაადგამს თავის საკუთრებად მიიჩნევს. ციყვი კოლექტიური ცხოველი არ არის და მისი უფლება ტერიტორიაზე აღიარებულია. მინდოდა, რომ ჩემთან ყველა ცხოველს თავი კარგად ეგრძნო. ვცადე ციყვები ცალ–ცალკე გამომეკვება, მაგრამ ჩემს შეცდომას მაშინვე მივხვდი. საკვების მეტ წილს ციყვები არ ჭამდნენ და სადმე ხის ტოტზე ინახავდნენ. როცა ერთს საკვებს მივცემდი, ისმაშინვე დამალავდა, მერე კი გაბმული ყვირილით სხვების

ყურადღებას იქცევდა. ისინიც გამოჩნდებოდნენ თუ არა, მათ შორის სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლა იწყებოდა. მიწაზე ციყვები ერთმანეთს გაშმაგებული დასდევდნენ. დაუპატიჟებელი სტუმრები თავისი შესაძლებლობის მიუხედავად მასპინძელთან თავს დამნაშავედ გრძნობდნენ. შევამჩნიე, რომ მდევარი ციყვი მომხდურს არ უსწრებდა და მათ შორის მანძილი არ იცვლებოდა. მერე სადღაც ჩერდებოდნენ ხოლმე.

ერთხელ "ხტუნია" და "მთვარეული" სხვადასხვა მხრიდან ერთდროულად მესტუმრნენ. ვეცადე თითოეულისთვის მიწის თხილი ისე მიმეცა, რომ ერთმანეთი არ შეემჩნიათ, მაგრამ ვერ მოვახერხე და ერთმანეთს მრისხანედ შეხედეს. უცებ შებრუნდნენ და ერთმანეთისგან საპირისპიროდ გაიქცნენ. თითოეულს ალბათ ეგონა, რომ მეორე მისდევდა და როგორც შეეძლოთ ისე მიჰქროდნენ. ასე, რომ სირბილში ივარჯიშეს.

სხვა ცხოველებთან შედარებით ციყვები გონიერებით არ გამოირჩევიან, მაგრამ სულელებადაც ვერ ჩავთვლით. ჩემი დაკვირვებით კარგი მეხსიერება აქვთ და ადამიანთა შორის ყოველთვის მცნობენ. ერთი წლის ჩემი არყოფნის მერეც კი მიცნეს. ციყვები ჩამოცვენილ გირჩებს სანამ საზამთროდ საკუჭნაოში შეინახავენ, კარგად ამოწმებენ. საუკეთესოებს ინახავენ, დაწუნებულს კი ცალკე აგროვებენ. ციყვის ძალა მისი ზომის პროპორციული არ არის. ერთხელ ვნახე ციყვი, რომელსაც პირით ნახევარი ვაშლი ეჭირა და წაქცეული ხის დიდ ფესვზე ძალდაუტანებლად ხტებოდა, ასე თორმეტი დიუმის სიმაღლეზე. ეს იგივეა, რომ ადამიანი ათი ფუტის სიმაღლეზე ახტეს და ხელში კარტოფილით სავსე ტომარა ეჭიროს.

ერთხელ ონდატრამ ჩემი ქოხის იატაკის ქვეშ სორო გაიკეთა, რაც ზუსტად მიაგავდა თახვების ფაცხას. მისი უწყინარი, თვინიერი შვილები ჩემს მოხმობაზე თახვებივით მოდიოდნენ. ქოხში გაბედულად შემოდიოდნენ. კარებს თვითონ ვერ აღებდნენ, მაგრამ მალე გამოსავალი მოძებნეს. პატარა ონდატრები კარებზე მიყუდებულ ფიცარს აყანყალებდნენ და არახრახებდნენ, თან ბურტყუნებდნენ, თითქოს ერთმანეთს ებაასებოდნენ და მოთმინებით იცდიდნენ, სანამ ქოხში არ შევუშვებდი. ერთი მათგან ითახვებს მიეჩვია. მოთმინებით იცდიდა, სანამ მათ დავაპურებდი და როცა პატარა თახვებს ვეხმიანებოდი "მაა–უი!", ეგონა, რომ მას ვუხმობდი და წყალში პატარა თახვებთან ერთად ჩადიოდა, ცდილობდა მათ არ ჩამორჩენოდა. თანამოძმეებისგან განსხვავებით ეს ონდატრა თახვებთან მეგობრობდა. გარდა ჯელი როლისა, რომელიც მასზე ჩემს გამო ეჭვიანობდა. როგორც კი ჯელის თვალს მოკრავდა, როგორც შეეძლო ემალებოდა. როცა ონდატრის

შვილები წყალში პირველად გამოჩნდნენ (ჩემი ნაცნობი ონდატრის მეურვეობით), ჯელი როლი მათთან ახლოს მიცურდებოდა, აკვირდებოდა და მტრობას არ ამჟღავნებდა. ამ საინტერესო და ჭკვიან მღრღნელებს არასწორად ჰქვიათ მუსკუსის ვირთხა. მათ ვირთხებთან საერთო არაფერი აქვთ, თახვევბის უახლოესი ნათესავები, ბიძაშვილები არიან და მათ ცხოვრების ნირით და გარეგნულადაც ჰგვანან.

რამდენიმე წლის განმავლობაში მათთან ვმეგობრობდი. სამწუხაროდ ყველა ეპიდემიამ იმსხვერპლა ტყის ბოცვრებთან ერთად. ხანდახან მეჩვენება, რომ მათი ჩრდილები ტბა აჟაუანზე ცურავენ და მათი ლანდები კი ჩემს მყუდრო ქოხში დაფარფატებენ, სადაც ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ.

მყავდა გულითადი მეგობარი – დედალი ზაზუნა. ის წლების განმავლობაში ჩემი ქოხის იატაკის ქვეშ სოროს თხრიდა და ყოველწლიურად მრავლდებოდა. ეს იყო ძალიან საყვარელი ცხოველი. ის დიდხანს აკვირდებოდა ჩემს საქმიანობას და ისე მომეჩვია, რომ თავისი პაწიების ხელში აყვანის ნებას მაძლევდა, მაგრამ როცა ჩემთან სტუმრები მოდიოდნენ, მიწაზე გაიშხლართებოდა და თავისი სოროს შესასვლელს ფარავდა, რათა მისი პაწიები გარეთ არ გამოსულიყვნენ და როცა სტუმრები მიდიოდნენ, გამარჯვებულის იერით რაღაც სტვენისმაგვარ ხმას გამოსცემდა, თითქოს მომხვდურნი გარეკა. გავიდა ხანი და მოკვდა. მის მყუდრო სოროში სხვა ზაზუნა დასახლდა, ესეც ახალგაზრად დედალი იყო, აღნაგი, თავისი სოროს შესასვლელთან ადამიანივით გაჭიმული დგომა უყვარდა და ზოგჯერ ჩემს სარკმელში შემოხედვასაც ცდილობდა ხოლმე.

ხშირად მახსენდება ჩემი მორიდებული პატარა მეგობრები, რომლებიც მალე დაიხოცნენ.

ადამიანების უმრავლესობას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ცხოველებზე. თუ დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ თითოეული ცხოველი თავისებურია. ზუსტად ერთნაირი არსება განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ, გონიერ სახეობებშიც კი არ მოიძებნება, თითოეული განუმეორებელია. ქცევით ზოგჯერ ადამიანსაც კი ჰგვანან. ეს განსაკუთრებით მღრღნელებს ეხება. გონიერები მიზანდასახულად მოძრაობენ. მათი გრძნობების გამოხატვის მანერა საოცრად მიაგავს პატარა ბავშვებს (გაფაციცებული გამოხედვა, ჭირვეულობა, ბუტიაობა, გულუბრყვილობა, გაჯავრება, ერთმანეთისადმი მიჯაჭვულობა). ეს ყველაფერი მინახავს, დავკვირვებივარ და ვნანობ, რომ ახალგაზრდობაში მათზე ვნადირობდი. მაშინაც კი მემძიმებოდა მათი დახოცვა, მერჩივნა უკვე დახოცილები მეპოვა.

აღარ მენახოს მათი სულთმობრძაობა და უნუგეშო მწუხარება. ახლაც კი, რაც ნადირობას თავი დავანებე და ამის გამო ცხოვრებაში მრავალი სიძნელე შემხვდა, მაინც ყოველთვის მგონია, რომ მათთან ვალში ვარ. მხოლოდ ისინი, ვინც ჩვენი უმცროსი ძმების ტანჯვა გულთან ახლოს მიიტანა, წარმოადგენს რას ნიშნავს ტყის ბინადართათვის ნადირობის თანამედროვე მეთოდები.

იქნებ თქვენ, ჩემო მკითხველო, ვისაც ჩემს აზრებს გიზიარებთ, ჩემი მსჯელობა გაზვიადებულიც კი მოგეჩვენოთ. ტყეში მცხოვრები ყურადღებით აკვირდება და ღრმად აზროვნებს. გახსოვდეთ, რომ ვინც ხელუხლებელ ტყეში ცხოვრობს, ბუნების ამ ტაძარში უფრო ღრმად ამჩნევს ყველაფერს, ვიდრე ქალაქში მცხოვრები.

მხოლოდ ადამიანების უგუნურების, უვიცობის და გაბოროტების გამო სრულიად უწყნარმა ცხოველებმა საშიშისა და მრისხანეს სახელი შეიძინეს. ცოტა გულისხმიერება და მათი თავისუფლებისადმი პატივისცემა, აი რა სჭირდებათ გარეულ ცხოველებს თქვენგან. ამავე დროს აღვნიშნავ, რომ ისინი თავისუფლებით ყოველთვის მართებულად არ სარგებლობენ. ასე იყო ჩემი სკუნსიც. ის ჩთემს კარავს ათვალიერებდა, სადაც სურსათ–სანოვაგეს ვინახავდი. იქ ხშირად იმალებოდა და ბოლოს ყუთებსა და პარკებს შორის მისი ახალდაბადებული ნაშიერნი აღმოვაჩინე. რა თქმა უნდა, ყველა გარემოება ვერ გაითვალისწინა და არც ბოროტი განზრახვით გაუკეთებია, ამიტომ მასთან პრეტენზია არა მაქვს, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა და ორივე კმაყოფილები დავრჩით. სკუნსი ნამდვილი ჯენტლმენია, მაგრამ როცა სიბნელეში გადააწყდებით, თქვენს განზრახვასა და აზრებს ვერ მიგიხვდებათ. თუ მისადმი მტრულად იქნებით განწყობილი, ისიც შესაბამისად რეაგირებს. მისი გაბრაზება იოლი არაა, საოცრად მომთმენია, უკიდურეს შემთხვევაში თუ გააშმაგებთ. მთვარის შუქზე სკუნსი ზღაპრულად გამოიყურება. თქვენ მხოლოდ გრძელ, თეთრ, ჰორიზონტალურ ზოლებს და თავზე თეთრ ჩაჩს შეამჩნევთ, შავი ბეწვი კი თვალისთვის უხილავია, ხან ერთ მხარეს შეტრიალდება, ხან მეორე მხარეს და თქვენ გეჩვენებათ, რომ თითქოს თეთრი, თავზე თეთრი ლაქიანი შხამიანი გველი იკლაკნება. ეს უდარდელი ცხოველი დარწმუნებულია, რომ ადამიანებს სიამოვნებთ, რომ ის ხშირად ესტუმრება მათ ქოხში, კარვებში და აგარაკების იატაკების ქვეშ. როგორც არ უნდა უსიამოვნო იყოს ის, რომ სკუნსი სურსათ–სანოვაგის საწყობში გამოჩნდა, მაინც უმჯობესია, ვიდრე ის, რომ ცხენ–ირემი თქვენს კანოეში აღმოჩნდეს. აი, რა შემემთხვა. ამ დილით კანოე ტბის ქვიშიან ნაპირზე გამოვათრიე, უასკეზიეში წასვლას ვაპირებდი, რაც ჩემგან წყლის

გზით ოცდაათი მილის დაშორებით იყო. სამგზავროდ ვემზადებოდი, რომ უცებ ჭახანის ხმა მომესმა. ქოხის სარკმელიდან გამოვიხედე და დავინახე, რომ ჩემი მეგობარი ცხენ–ირემი ჩემს კანოეში წინ და უკან დადიოდა. ქოხიდან ყვირილით გამოვვარდი, ჩანს, რაღაც გაახსენდა, ცდილობდა ფეხი ნახვრეტიდან ამოეღო. კანოედან ამოვიდა, განზე გადგა და გაოგნებული კანოეს ნამტვრევებს უყურებდა. ეს ამბავი აშკარად დაუდევრობით მოუვიდა, მახსოვს როგორი გულმოსული ვიყავი მასზე. მის საქციელს ახალგაზრდული გამოუცდელობა ამსუბუქებდა, მაგრამ ეს ჩემთვის მანუგეშებელი არ იყო. კანოე ჩემთვის ოცდაათი მილის წყლის გზაზე შეუცვლელია. ცხენ–ირემი ცხენივით დიდი ცხოველია და სახიფათო სტუმარი, განსაკუთრებით თუ ხშირად გაკითხავთ. სამართლიანობა მოითხოვს ჩემი შეცდომაც ვაღიარო. კანოე მაღლა ხეზე უნდა დამემალა და მტკიცედ მიმემაგრებინა. ასე რომ ცხენ–ირემზე აღარ ვჯავრობდი. დაზიანებული კანოე შესაკეთებლად ჯოჯგინაზე დავდე, რამაც თახვებს ცნობისმოყვარეობა აღუძრა. და ერთხელაც, ღამით ამ ყოჩაღმა და საოცრად გონიერმა ცხოველებმა ჩემი მრავალჭირგამოვლილ კანოეზე გარდიგარდმოდ ხე წააქციეს და კანოეც პატარ–პატარა ნაფოტებად დაიმტვრა.

ჩემი სტუმართაგან არც ერთი ჩემგან არაფერს ელოდა. ჩემს აქ გამოჩენამდე არსებობისთვის თვითონ იბრძოდნენ. თუ მე აქედან სხვაგან გადავსახლდებოდი, ისინი ალბათ სხვადასხვა მხარეს გაიფანტებოდნენ, მაგრამ ცუდად არ იქნებოდნენ. სულის სიღრმეში მჯეროდა, რომ ალბათ რომელიმე მათგანს ვენატრებოდი და უჩემოდ ნაღვლობდა. დიდ სიხარულს მანიჭებდა ჩემი მეგობრების გამასპინძლება და მათ ქცევაზე დაკვირვება. მაინტერესებდა თუ როგორ მიახლოვდებოდნენ და როგორ იქცეოდნენ ნუგბარის მირთმევის მერე. უძილო ღამის მერე, გვიან დილით გაღვიძებისას ვხედავდი, რომ მათთვის დატოვებული საკვები წაეღოთ. დიდ სიამოვნებას მანიჭებს რამდენიმე საათიანი შრომით დაქანცული, დამშეული თახვების ბურტყუნის მოსმენა, როცა ისინი ორივე ლოყაში ორცხობილებს იტენიან და ვაშლებსა და ბრინჯის ფაფას ორივე თათებით მიირთმევენ. ზამთარში მიხარია, როცა თოვლში ფესვის ქვეშ ამოთხრილს მივაგნებ, რადგან ვიცი, რომ იქ მაძღარ, ბედნიერ, პაწია არსებებს სძინავთ.

ველური ბუნების თითოეული ბინადარი თავისებურია და ღირს, რომ მოთმინებით დააკვირდე. ბევრ საინტერესოს გაიგებთ წყალში და წყალზე ბინადრებზე. მაგალითად, წყლის ხოჭოები, რომლებიც თავის ბუნებრივ გარემოს ტოვებენ და მზეზე გასათბობად კლდეებზე მიცოცავენ, ანდა თეთრკისერა ღორიხვები. ის დიდი, მყვინთავი ფრინველია.

ღორიხვები ტბის ირგვლივ გროვდებიან და მათი ჟივილ–ხივილი თახვებს აღიზიანებს. აღსანიშნავია, რომ ღორისხვებს სიარული არ შეუძლიათ, სამაგიეროდ შესანიშნავად ფრენენ, წყალში კი არტისტულად გამოიყურებიან.

ღორიხვა ძირითადად ერთ ან ორ ბარტყს ჩეკს. დედა ზურგზე შეისვამს ბარტყებს და ასე მხიარულად ცურავენ. ზოგჯერ სხვა ღორიხვებიც ეწვევიან. ერთხელ ჩემი ქოხის სარკმელიდან რვა ცალი შევნიშნე. ტბაზე ძირითადად ღორიხვების ერთი წყვილი ბინადრობს. თუ ტბა დიდია, მაშინ შეიძლება მეტიც იყოს. ტბაზე ღორიხვები მთელი ზაფხულის განმავლობაში რჩებიან, ადრე შემოდგომით კი სამხრეთისკენ მიფრინავენ, მერე ყოველთვის უკან ბრუნდებიან. ღორიხვები, როგორც მითხრეს ასი წელი ცოცხლობენ. სარწმუნოა, რომ ღორიხვები არწივებისა და გარეული ბატების მსგავსად მხოლოდ ერთხელ წყვილდებიან. ამას იმით ვამტკიცებ, რომ როცა მე ტბა აჟაუანთან დავსახლდი, ყოველ ზაფხულს ღორიხვების ერთი და იგივე წყვილი მოფრინდებოდა ხოლმე. არ ვიცი ჩემამდე აქ რამდენი წლის ბინადარნი იყვნენ. ეს წყვილი კარგად მიცნობს, მეტწილად მამალთან ვმეგობრობ. ის ყოველ დილით ქოხთან მოცურდება და ასი ფუტის სიშორიდან მესაუბრება. მაღალი ხმა აქვს, ბევრი არაფერი მესმის. როცა ტბაზე კანოეთი გამოვჩნდები, მეგობრობის ნიშნად საყვირივით მესალმება, მაგრამ თუ ტბაზე ან ტყის პირასვინმე უცხო გამოჩნდება, მაშინ რაღაც უჩვეულოდ, უცნაურად ახმიანდება. ღორიხვა დიდებული, ფრიად ლამაზი ფრინველია და აქაურობას ამშვენებს და გვეხმარება კიდეც.

ტყისა და ტბის თითოეულ ბინადარს, როგორი არარაობადაც არ უნდა ჩანდეს, ბუნების მიერ ბოძებულ დანიშნულებას ასრულებს. ამ უკიდეგანო ტყეებში პაწაწინა, ძლივს შესამჩნევ ჩიტებსაც თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. შეხედეთ, როგორ ხტუნავენ ჩამოცვენილ ფოთლებში, საკვებს როგორ იმარაგებენ, როგორი ცოცხალი თვალები აქვთ და როგორი გონიერები და თვითდაჯერებულნი არიან. ყურადღებით დააკვირდით და აღარ დაეჭვდებით მათი არსებობის მართებულობაში და იმაშიც, რომ ისინი თავის მოვალეობას ასრულებენ.

გარეული ნადირი ეროვნულ პარკს სწრაფად ეჩვევა. ეს როგორ ხდება, არ ვიცი, ჩანს გარეული ნადირი განსაკუთრებული ალღოთი გრძნობს საფრთხეს. ზოგიერთს გარკვეული დრო ჭირდება, რათა ვითარება შეაფასოს, ზოგი კი წამიერად რეაგირებს. ყველაფერი ცალკეული ინდივიდის განწყობილებასა და ალღოზეა დამოკიდებული.

ვეცდები ჩემი შეხედულება მაგალითით განვამტკიცო. ეს ორი წლის წინათ, შემოდგომის საღამოს მოხდა. სარკმლიდან ვიყურებოდი და იქვე შორიახლოს სერზე მობალახე ირემი შევნიშნე. წყნარად, აუჩქარებლად კარი გამოვაღე და ქოხიდან გამოვედი. ირემი დაიძაბა, თავი ასწია და მომაშტერდა. ამ დროს ციყვმა გაირბინა უხმოდ. ირემმა ყურადღება ციყვზე გადაიტანა, მერე თავი მოატრიალა და ისევ ჩემკენ გამოიხედა. მე ალერსიანად შევეხმიანე, რომ დამშვიდებულიყო. ყურებაცქვეტილი მიყურებდა. კუდი გააქნია. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ან გაიქცეოდა ანდა დარჩებოდა. ჯერ არ ვიცოდი თუ როგორ მოიქცეოდა. კვლავ შევეხმიანე. დაძაბულობა გაუქრა, მერე კი ნდობის ნიშნად ზურგი შემაქცია, ციყვის მიერ ფიჭვის კენწეროდან ჩამოყრილ ტოტებს წიწკნიდა და დროდადრო ჩემკენ იყურებოდა. ასე დავმეგობრდი ირემთან.

ჩემი მოჩვეული ცხოველები ყოველთვის არ მხვდებიან თვალში... ხან მათგან წაქცეული ხის ჭახანი მესმის, ხან პატარა თახვების ყვირილი ტბის მხრიდან. უცებ კარი იღება და შემოსულ თახვს თათებით თიხა და ჯოხები შემოაქვს ჩემს ოთახში აგებული მიწურისათვის. მერე ქოხის შიგნით, ჩემკენ მსუბუქი ნაბიჯის ხმა მესმის. ზაზუნამ შემოირბინა ვაშლისთვის. ტირიფის ტოტების ლაწა–ლუწის ხმა გაისმა. ჩანს ირემმა გაიარა. ჩემთვის ეს კარგად ნაცნობი ხმები იმის მანიშნებელია, რომ მარტო არ ვარ.

ამ ადგილებშიც, როგორც ნებისმიერ ველურ, დაუსახლებელ ადგილას, მტაცებელი ნადირიც გვხვდება, ამიტომ სულ ფხიზლად უნდა ვიყო, რათა ჩემი ტყიური მეგობრები ხიფათისგან დავიცვა. მგელი, კოიოტი, დათვი, ბუ, წაულა და კვერნა, ყველანი შესაძლო მტრებია. ღამის მტაცებლები, რომლებიც როგორც დღისით, ისე ღამით ნადირობენ, მარჯვენი, ცბიერნი, მუდამ მშიერნი არიან, მსხვერპლს თავს ესხმიან და სწრაფად უჩინარდებიან ხოლმე. ამიტომ, მრავალი წელია არც ერთი ღამე ლოგინში არ ვწოლილვარ. დაბინდებისას ტყის შემოვლას ვიწყებ და მთელი ღამე მდუმარე ტყის სიშავეში დავდივარ. ამ მდუმარე, ზღაპრულ დარბაზში ჩემს ყურს ჩქამი არ გამოეპარება. გაფაციცებული ვაყურადებ, რომ სწრაფად და უშეცდომოდ გამოვიცნო, რადგან ჩემზეა დამოკიდებული მათი სიცოცხლე, ვინც იმედით მიცქერს და ჩემგან შველას ელოდება. ჩემი მეგობრებიც ისეთივე ყურადღებით მიხდიან სამაგიეროს.

ჩემი ცხოვრება ტყის ომების მზვერავის ყოფას ჰგავს, ამიტომ ძილშიც კი რაიმე უჩვეულო ხმა ტყიდან ანდა ჩემს ქოხში, თახვების მიწურში მოულოდნელი ფაციფუცი წამიერად მაღვიძებს. ხიფათის მოლოდინში სულ ყურადღებით უნდა ვიყოთ, თუმცა

საფრთხეს გაფრთხილების გარეშე ვერც კი აღმოვაჩენთ. მაგალითად, ჩემს შეშაში დასახლებული ზაზუნა უცებ გამაყრუებლად უსტვენს იმის ნაცვლად, რომ მშვიდად ეძინოს. მოულოდნელად ჩხიკვის შეშინებული ხმა მომესმა, ციყვი საფარში შეიმალა, ბუს კივილი გავიგონე. ის, ლანდივით თეთრ სიმწვანეში შემალულა და ვიცი, რომ სადაცაა მსხვერპლს დააცხრება. აი, რაღაცამ გაიშრიალა, ალბათ ტყის ავაზაკმა, მარდმა და დაუნდობელმა თრითინამ გველივით გაიკლაკნა. ერთიც და მეორეც, სხვა გამოსავალი არაა, უნდა გავანადგურო.

ცოტა ხანი გაივლის და ჩემს ყურს მოსწვდება, რომ მშვიდად მობალახე ირემი უცებ შეშინებული გადახტება, მთვარის შუქზე მობალახე ცხენ–ირემი კი გაფაციცდება, ძოვას თავს დაანებებს, რათა მონაბერი სიოთი საფრთხე იგრძნოს. ტბიდან ჩემამდე აღწევს ღორიხვას შეშფოთებული, იდუმალი და სევდიანი ყვირილი. მათ მერე კი ღამეულ ხმათა შორის თოფის გასროლასავით ყველაზე გამაყრუებელი, წყალში თახვების კუდების ტყლაშუნი გაისმის. მერე ავისმომასწავებელი და დაძაბული მდუმარება გამეფდება. თითოეული სულიერი გაირინდება და მიწას გაერთხმება. უცებ დაკლაკნილ ბილიკზე მოჩვენებასავით გამოჩნდება ტყის უღრანის ავაზაკი – მგელი!

და თუ მთვარე ანათებს და მეც დროულად დავუმიზნე, ჩემი თოფი მტერს ბოლოს მოუღებს და ჩემს მეგობრებს კარგა ხნით იხსნის ხიფათისა და საშინელი გაურკვევლობისაგან.

აი, ყველაფერი, რაც შეიძლება ნახოთ და მოისმინოთ და რასაც ვერ გაიგებთ და ვერ ნახავთ, უნდა ივარაუდოთ, თუ როგორ ცხოვრობენ ტყის ბინადარნი, რომლებიც დღე და ღამე მახსენებენ ჩემს მათდამი პასუხისმგებლობას, რადგან მათ ჩემი იმედი აქვთ.

ადამიანი და ბუნება

ადამიანი რაც უფრო დიდხანს იცხოვრებს ტყის უღრანში, მით მეტად შეიყვარებს მრავალფეროვან ველურ ბუნებას. ბოლოს და ბოლოს ნადირობა აღარ ესიამოვნება და თუ აუცილებლობის გამო ინადირებს, სინანული და სინდისის ქენჯნა შეაწუხებს. წარმართულ ადათ–წესებს მიმდევარი ძველი ინდიელები, (სხვათა შორის ამ ადათ–წესებს შორის მრავალი შენარჩუნების ღირსია), როცა განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ცხოველს მოინადირებდნენ და თუ ეს ცხოველი ადამიანთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა, დამარხვის წესს ასრულებდნენ. ეს გრძნობა ნელ–ნელა მიპყრობდა. ვერ წარმომიდგენია, რომ ასეთი სულიერი გარდატეხა მხოლოდ მე დამემართა. ვიცი, რომ იგივე დაემართა სხვებსაც, თაკერძა, გაუცნობიერებელი, უბირი ადამიანების გარდა.

ტყეში დიდხანს მობინადრე ადამიანი, რომელმაც ტყის იდუმალება შეიცნო და მისი მშვენიერებით მოიხიბლა, თავისდა უნებურად მის ირგვლივ ყოველ სულიერს ყურადღებას მიაქცევს, ტყისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა გაუჩნდება და ბილიკის გაკვალვისას შეეცდება ყვავილები არ გაქელოს. არაერთხელ შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებსაც დაცინვის შიში გადაულახავთ და გადაურჩენიათ ჭიანჭველები, გომბეშოები, გველები და სხვა განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი არსებები. ისინი ძლიერი ადამიანები იყვნენ და მათ ყურადღებას ეს უმნიშვნელო არსებები არც იმსახურებდნენ. გომბეშოების, უშხამო გველების და სხვა უფრო სასარგებლო ცხოველების სიძულვილი გამოწვეულია მათდამი გაუცნობიერებელი შიშით.

ბევრი ადამიანი ტყეში ბრმასავით დადის. ისინი არნახული სილამაზის, მშვენიერ, ტანმაღალ ხეებს უყურებენ და ანგარიშობენ, თუ რამდენი კვადრატული ფუტი ფიცარი გამოვა და რამდენ დოლარს აიღებენ თახვების თოთოეული ფაცხიდან. მახსენდება, ერთხელ, მრავალი წლის წინათ, როცა გამყოლად ვმუშაობდი, ერთი ტურისტი მთის მწვერვალზე ავიყვანე, რათა ხელუხლებელი ფიჭვნარის ხედი მეჩვენებინა. ფიჭვნარი ჩვენს თვალწინ ლაჟვარდოვან შორეთში იკარგებოდა. ჩემმა თანამგზავრმა ქვემოთ გაიხედა. იშვიათად თუ ვინმე ნახავდა ასეთ ზღაპრულ სურათს. მე მის აღტაცებულ შეძახილს

ველოდი, მაგრამ მან ამოულოდნელად საქმიანი კილოთი წარმოთქვა: “ეს მთლიანად რომ გაიჩეხოს და ესტაკადაზე დაიტვირთოს, კარგი იქნებოდა”.

ეკონომიკისადმი ხარკს ვიხდი, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ ტყე მხოლოდ სამშენებლო მასალა როდია. აუცილებელია შევინარჩუნოთ ხელუხლებელი ტყის დიდი მასივები, არა მარტო ესთეტიური ან პატრიოტული, არამედ ეკონომიკური მიზნითაც, აღარაფერს ვამბობ ტყის განახლებაზე. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, თუ სატყეო მეურნეობას გონივრულად წარვმართავთ, მრეწველობას ტყის მასალით ისე მოვამარაგებთ, რომ ტყეები არ განადგურდება. აუცილებელია, რომ ერთი მოჭრილიო ხის ნაცვლად ექვსი–შვიდი ხე დაირგოს და ამით მრეწველობა უზრუნველყოფილი იქნება სამშენებლო მასალით. დაე ნურავინ შეხედავს ხარბი თვალით კანადაში ჯერ კიდევ შემორჩენილ ხელუხლებელ ტყეებს. კომერსანტები ტყეებს სწრაფად გაანადგურებენ.

ამბობენ, რომ ყოველი სულიერი ადამიანის მსახურებისთვისაა გაჩენილი. ასეა? მონობა მოდიდან გადავიდა და არავინ იტყვის, რომ ფიჭვის გირჩები ციყვებისთვის მწიფდება ანდა ირმები ტყეში იმისთვის ბინადრობენ, რომ მგლები მაღძარნი იყვნენ. ტყეში ადამიანი მის ბინადრებთან შედარებით უპირატესობას ვეღარ გრძნობს, პირიქით, უმწეოდაც გამოიყურება. ადამიანების უმეტესობას არ სჯერა, რომ ცხოველებს გონება აქვთ და მათ ქცევას ინსტიქტებით ხსნის. ბევრი ცხოველი გონებრივი შესაძლებლობებით გამოირჩევა. დედამიწაზე ადამიანი განვითარების უმაღლეს საფეხურზე დგას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბუნება მხოლოდ მას ეკუთვნის, როგორც მას ჰგონია. ადამიანი ეკუთვნის ბუნებას. გულუხვმა ბუნებამ ბევრი სიმდიდრე უბოძა თავის შვილებს და თუ ადამიანი თავის წილს სამართლიანად აიღებს, სხვა სულიერი არსებები არ უნდა შეავიწროვოს და მათთვის აუცილებელი არ უნდა წაართვას, არსებობა მათაც უნდათ.

ბუნებრივი სიმდიდრეები გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. წარმოვიდგინოთ წალკოტში მოსეირნე ადამიანი. მას, როგორც სტუმარს, ნება დართეს რამდენიც უნდოდა იმდენი ყვავილი დაეკრიფა. მან კი იმდენი დაკრიფა, რომ ვერც კი წაიღებდა, დააბნია და ფეხით გაქელა. იქნებ გადაჭარბებული არ იყოს იმის თქმა, რომ ხშირად ბავშვებივით ვიქცევით (ვამბობთ “ჩვენ”, რადგან ჩემს ახალგაზრდობაში მეც შემიცოდავს.).

თითოეული სულიერი არსება არსებობისათვის ბრძოლაში სხვათა მიმართ მეტ–ნაკლებად დაუნდობელია. ადამიანი ყოველთვის იმაზე მეტს მოიპოვებს, ვიდრე სჭირდება და ამით ბუნებას ანადგურებს, არ ფიქრობს მომავალზე. დედამიწაზე ადამიანი

ყველაზე დიდი მძარცველია. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანმა განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, თავის თავზე უნდა იმუშაოს. რათა კეთილმოსურნე, თავმდაბალი გახდეს არა მარტო ცხოველების, არამედ თანამოძმეთა მიმართაც.

ტყის უღრანში ცხოვრებისას ამ საკითხებზე ფიქრისა და განსხის მერე დავასკვენი, რომ აუცილებელია გამოიცეს კანონი, რომელიც მრეწველობაში ბავშვთა შრომას აკრძალავს. წარმოვიდგინოთ, ერთი წლის განმავლობაში რამდენი მოზარდი დასახიჩრდება, ზოგი დაიღუპება, მაშინ, როცა მტაცებლური ინსტიქტის მეწარმე იაფი მუშახელით მდიდრდება.

როცა ამის შესახებ პირველად გავიგე, ძლივს დავიჯერე. საჭირო კანონი, რაც ამ ბოროტებას დაასრულებს.

ჩემო მკითხველო, ხომ არ გაწყენინეთ? ეს არ მინდოდა და თუ ჩემი უცოდინრობითა და არასაკმაო განათლებით რაიმე შემეშალა, ალბათ იმიტომ, რომ ცივილიზაციის ცენტრებში ჩემი ამასწინდელი მოგზაურობისას, ბევრი ჩემთვის მოულოდნელი რამ ვნახე, რამაც განმაცვიფრა და გამაოცა. ჩვენ, ტყის ბინადარნი, ჩვენი, დაუწერელი კანონებით ვცხოვრობთ. ზოგიერთი, უნდა გამოგიტყდეთ მართებული არც არის.

მე კვლავ ვნადირობ, ოღონდ ძველებურად არა. ფოტოკამერა ჩემი იარაღია. მხოლოდ საჭიროების გამო ვნადირობ. ზოგს მოსწონს ნანადირევით სავსე ჩანთა, თავისი ქოხის კედლები ნადირთა ტყავებით რომ მორთოს. ეს გემოვნებაზეა დამოკიდებული, მე კი ცოცხალი ნადირ–ფრინველი მიყვარს.

არ მინდა ვინმეს მსაჯული ანდა მოძღვარი ვიყო და მთელ ქვეყანას ჭკუა ვასწავლო. მინდა ჩემი შესაძლებლობების მიხედვით იმ უტყვ არსებებს დავეხმარო, რომელთა შორისაც ჩემმა ცხოვრებამ გაიარა და თუ ჩემს თანამოძმეებს რაიმე სარგებელს მოვუტან, ორმაგად კმაყოფილი ვიქნები.

ჩემს დარჩენილ სიცოცხლეში ალბათ ბევრს ვერაფერს მოვასწრებ, მაგრამ ჩემი მოკრძალებული შესაძლებლობებით საძირკველს ჩავყრი, რაზედაც შემდეგ უფრო მარჯვე ხელები და გონიერი თავები შენობას ააგებენ. ამგვარად შემიძლია ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო ჩვენი უკიდეგანო სივრცეების ზოგიერთი საყურადღებო და სასარგებლო ბინადართა დაცვისა და განადგურებისგან გადარჩენის საქმეში. ისინი ადამიანებისაგან სიკეთეს ელიან, რათა განვითარების საშუალება მიეცეთ. მე გეუბნებით ბუნების ურიცხვი, რიგით, უტყვი არსების შესახებ.

ბუნების დაცვის საქმეში ბევრ სხვადასხვა პროფესიის ადამიანს ვხვდებოდი, ბევრს დავუმეგობრდი და ვიმედოვნებ, რომ კვლავაც ბევრს დავუმეგობრდები. გარდა აიმისა, რომ თვალსაწიერი მიფართოვდება და განათლება მემატება, ეს დიდ სიხარულსაც მანიჭებს.

დიდ დროს ვუთმობ სკოლის მოსწავლეებთან მიმოწერას. მათგან უამრავ წერილს ვღებულობ. ზოგი ბავშვური ბატიფეხურითაა დაწერილი, ზოგი საჩქაროდ, ზოგი დალაქავებულია, ზოგი კი კოხტად გამოყვანილი ასოებითაა დაწერილი. თითოეული წერილი დამაფიქრებელია. ამ მიმოწერით ფრიად ვამაყობ. ვცდილობ ყველას ვუპასუხო. წერილებს ვუგზავნი კოლექტივებს, პედაგოგებს, ცალკე მომწერსაც.

ეს, ჩემი ყველაზე საპასუხისმგებლო მიმოწერაა. ასე ვმონაწილეობ შემოქმედებით მუშაობაში. ალბათ ცოდნას მოწყურებულ ახალგაზრდათა გონებაში დათესილი თესლი აღმოცენდება და სიკეთის ყვავილებად გაიფურჩქნება მაშინ, როცა მებაღე უკვე დიდი ხნის მივიწყებული იქნება.

ეპილოგი

ტბა აჟაუანზე მთვარე ამოცურდა. მისი სხივები სარკმლიდან იჭრება და ქოხის შიგნით აგებულ თახვების სახლს ანათებს.

მარტო ვზივარ. ჩემს ირგვლივ ღამეული ხმები ისმის. მესმის წყნარი ჩურჩული და აჩქარებული შრიალი.

ხეთა შორის ჩრდილები დაფარფატებენ, ათინათები მოვერცხლისფრო ტბორის ლივლივა ზედაპირზე ირეკლება და ირგვლივ არემარე იდუმალად გამოიყურება.

ნაპირზე პატარა თახვები მოგროვილან, აქეთ–იქით იყურებიან, ბავშვებივით ბურტყუნებენ, თითქოს ფუძის ანგელოზი მოეჩვენათ.

წერა დავამთავრე.

და სანამ ვწერდი, თითქოს ჩემი მოთხრობების გმირები გაცოცხლდნენ.

სანამ მათზე მოგითხრობდით, თუ რაზე ფიქრობდნენ, რას აკეთებდნენ, იქნებ ამ დროს წყნარ, თვალწარმტაც კორომში მდგარ ჩემს ქოხთან მოგროვდნენ. მე მათი ხმები მესმის, თითქსო ქოხში კვლავ სიცოხცლე ჩქეფს, კარი კვლავ სტუმართმოყვარულად ღიაა, სარკმლიდან სინათლე აღწევს და კერაზე კვლავ ცეცხლი ანთია.

ვიცი, რომ ქოხი აღარ გაუკაცრიელდება და კორომსაც არავინ მიატოვებს და დაივიწყებს, სანამ ჩემი წიგნების თუნდაც ერთი მკითხველი იარსებებს. ის ბუნების მეგობარი თანაგრძნობით გაიხსენებს მოგონებებით მდიდარ ველს და მის მომლოდინე ბინადართ.

სარჩევი

უკაცრიელი ქოხი …….…..……. 8

კი–უეი–კენოს ვაჟები ……. 13

ერთი დღე იდუმალ ქალაქში ……... 18

ფიჭვი (მოთხრობა–ლეგენდა) …….. 26

გამოთხოვება …….…….. 45

ეული ცხენ–ირემი ……..… 50

თახვების სახლი ……. 57

პატარა მოხეტიალეები. თავი I ……..…….. 59

პატარა მოხეტიალეები. თავი II …….…….. 65

დათვი უასკეზიედან ……. 74

ტყის დიდი და პატარა ბინადარნი …….…... 78

ადამიანი და ბუნება …….. 89

ეპილოგი …….…. 93